

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 22 ნოემბერი, 2008 წელი.

№ 220 (6077)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## რას შეეწირა „ამირანი“ – ადეიშვილის რესტორანს თუ სააკაშვილის ვერტმფრენის დასაჯდომს?



### ჯერ დოდაშვილის ძეგლი აიღეს, ახლა „ამირანს“ ეძგერნენ

3

### ხმა ამოიღეთ, ჩადენილია თავზარდამცემი დანაშაული!





## გილოცავთ გიორგობას!

23 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს დიდმოწამე გიორგის ბორბალზე წამების დღეს. ეს დღე, გადმოცემით, წმინდა ნინოს დაუდგენია დღესასწაულად.

...წმინდა გიორგი საქართველოს განსაკუთრებული მფარველია. გიორგობა წელიწადის ყოველ დღეს იზეიმებოდა, რომელიც წმინდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულთან იყო დაკავშირებული...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: „ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის ყოველთვის იყო და იქნება, ვიდრე დედამიწა არსებობს. ერთადერთი მალა, რომელიც ადამიანს, ერს, ქვეყანას ამ ბრძოლის დროს შეეწევა, ღვთის მალა და მადლია. წმინდა გიორგი სისხლით რომ იცლებოდა, მოესმა უფლის ხმა: „ნუ გეშინინ, გიორგი, მე შენთანა ვარ“. დღეს ჩვენც გვესმის ეს ხმა იესო ქრისტესი: „საქართველოვ, ნუ გეშინინ, მე შენთან ვარ“!



4

### იოსებ შატბერაშვილი:

ეს არის უუნარო და პოლიტიკურად იმპოტენტი ხელისუფლება, რომელიც ქვეყანას ვერ მართავს

### ესენი „ვანოს შოუს“ აფინანსებენ, ავადმყოფებს კი ატყავებენ

თვითონ საქმეში სამკურნალწამლო ბიზნესი



11

## მკვდარი „ტირანები“ ისტორიას ჩავაბაროთ და ცოცხალ ტირანებს მივხედოთ

6–7

### გვამიჭამიათობისა და ძეგლთმნგრეველობის შესახებ

### „კახა ბენდუქიძე „გრუ“-ს აგენტია!“



16

ალიანსი

## ამერიკა კვლავ ნატოში გვექაჩება



ოფიციალური ვაშინგტონი უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრების მომხრედ რჩება.

ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა შონ მაკკორმაკმა განაცხადა.

მაკკორმაკმა კომენტარი გააკეთა უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს განცხადებაზე, რომ შეერთებულ შტატებში ამ საკითხზე პოზიცია არ შეცვლილა, თუმცა პროგნოზების გაკეთებისგან იუშჩენკომ თავი შეიკავა.

— ნატოს მინისტერიალი დეკემბრის პირველ კვირაში ჩატარდება, სადაც ნათლად გამოჩნდება, მიენიჭება თუ არა ამ ორ ქვეყანას წევრობის სამოქმედო გეგმა, — აღნიშნა მაკკორმაკმა.

გარდა ამისა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ჯორჯ ბუშის დავალებით თავდაცვისა და სახელმწიფო დეპარტამენტების მაღალჩინოსნები ევროპელ პარტნიორებთან ამ საკითხზე აქტიურ კონსულტაციებს განაგრძობენ.

## თან გაფართოვდება, თან რუსეთთან ითანამშრომლებს

ნატო განაგრძობს გაფართოებას და პარალელურად ამ საკითხში რუსეთთან პარტნიორული უსაფრთხოების განვითარებას აპირებს. ამის შესახებ ალიანსის წარმომადგენელმა ოელიო ბუშამ უნგრეთის პარლამენტში ნატოს ტრანსფორმაციისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე განაცხადა.

„ჩვენ არ ვაპირებთ უარი ვთქვათ საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში არსებულ გეგმებზე. ადრე თუ გვიან ისინი ალიანსის წევრები მაინც გახდებიან“, — აღნიშნა ბუშამ.

ამავე კონფერენციის ფარგლებში უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ დეკემბრის მინისტერიალზე უნგრეთი იმ ქვეყანათა რიცხვში იქნება, რომლებიც საქართველოსა და უკრაინის ნატოს წევრობას მიემხრობიან.

პარლამენტის თავმჯდომარე

## ბაქრაძე ლატვიის პრეზიდენტს ემადლიერება

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, რომელიც ლიტვაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, ვიზიტის ფარგლებში ლატვიის პრეზიდენტს ვალდის ზატლერს შეხვდა.**

პრეზიდენტის სასახლეში გამართულ შეხვედრაზე ლატვიის პრეზიდენტმა საქართველოსადმი სრული პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერა დააფიქსირა.

შეხვედრაზე დავით ბაქრაძემ და ვალდის ზატლერმა ორ ქვეყანას შორის არსებულ პარტნიორულ ურთიერთობებზე ისაუბრეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ლატვიის მიერ საქართველოსადმი გაწეული პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერისთვის, მათ შორის აგვისტოს კრიზისის დროს, ვალდის ზატლერს მადლობა გადაუხადა.

კანონმდებლები

## სპიკერს კობას წასვლა ზაზას მოსვლამ გადაატანინა

**საპარლამენტო უმრავლესობას დეპუტატი ზაზა კიკალეიშვილი შეემატა.**

პარლამენტმა კობა სუბელიანის ადგილმონაცვლის, მმართველი პარტიის საარჩევნო სიის მომდევნო ნომრის ზაზა კიკალეიშვილის უფლებამოსილება 76 ხმით, ერთხმად სცნო.

კენჭისყრის შემდეგ ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ახალ კოლეგას მიმართა, რომ როგორც ერთმა გურულმა მეორე გურულს უთხრა, მეც ისე ვიტყვი, კობას წასვლა თქვენმა მოსვლამ გადაგვატანინაო.

კობა სუბელიანს, რომელიც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად დაინიშნა, დეპუტატის უფლებამოსილება პარლამენტმა უკვე შეუწყვიტა.

## მაჭავარიანი უდისციპლინო პარლამენტარებს ემუქრება

**პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი დეპუტატებს ხელფასების დაქვითვით კვლავ დაემუქრა.**

პარლამენტის სხდომა გუშინ 11:00 საათზე უნდა დაწყებულიყო, თუმცა კვორუმის არარსებობის გამო გადაიდო. რეგისტრაცია მხოლოდ 62 დეპუტატმა გაიარა, რის გამოც მაჭავარიანმა 10-წუთიანი შესვენება გამოაცხადა.

შესვენებისას ვიცე-სპიკერმა დეპუტატებს შეახსენა, რომ „პარლამენტი მათი სამსახურია და გაცდენაში ხშირად შენიშნულ დეპუტატებს ისე მოექცევა, როგორც — უდისციპლინოებს“.

მაჭავარიანისგან შენიშვნა ბიუროს სხდომაზე კომიტეტების თავმჯდომარეებმაც მიიღეს.



კერძოდ, მაჭავარიანმა განაცხადა, რომ წინა სესიაზე რამდენიმე საკითხი გადაიდო, რადგან მომხსენებელი დარბაზში არ იმყოფებოდა. ვიცე-სპიკერი სხდომაზე იგივეს გამეორებას აღარ აპირებს და ასეთი მომხსენებლებისთვის ხელფასის დაქვითვას გეგმავს.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

თვალსაზრისი: თემის გაგრძელება

# ირაკლი მენაღარიშვილი: უნდა შევთანხმდეთ, რომ ყველგან, სადაც რიჩარდ ჰოლბრუკის სახელი გამოჩნდება, სეპარატიზმის მხარდაჭერა არ იგულისხმება

**პოლიტოლოგებმა ალექსანდრე ქულმა და ბორუტ გრჟიჩმა ამერიკულ The Wall Street Jornal-ში გამოაქვეყნეს სტატია, რომელშიც მათ მხარი დაუჭირეს გაეროს ეგიდით აფხაზეთზე საერთაშორისო მეურვეობის დაწესებას. ავტორთა აზრით, აფხაზეთის სტატუსზე მსჯელობა არა ნაკლებ 10 წლით მაინც უნდა გადაიდოს და აფხაზეთზე გაეროს ეგიდით საერთაშორისო მეურვეობა დაწესდეს, რომლის ფარგლებში ეუთოს ეგიდით ისე განხორციელდება სამშვიდობო ოპერაცია, რომ აფხაზეთს ექნება საკუთარი სამართალდამცავი ორგანოები, აფხაზეთის სამინისტროებში ეკონომიკის უკეთ მართვისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისათვის გაეროსა და ევროკავშირის სპეციალისტები იმუშავებენ.**

**პოლიტოლოგთა პროექტი ითვალისწინებს აფხაზეთის პირდაპირ ურთიერთობებს ბრიუსელთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან. გარდა ამისა, აფხაზეთში მოქმედ კერძო კომპანიებს კრედიტების მიღების საშუალება ექნებათ.**



**პოლიტოლოგ ალექსანდრე ქულისა და ბორუტ გრჟიჩის პროექტის რეალიზაციის შესაძლებლობაზე ინტერპრესნიუსი საქართველოს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო ირაკლი, რამდენად რეალიზებადია ალექსანდრ ქულისა და ბორუტ გრჟიჩის პროექტი აფხაზეთზე გაეროს ეგიდით საერთაშორისო მეურვეობის დაწესების შესახებ, რომლის ვრცელი ვერსია ამერიკულ ჟურნალ The Wall Street Jornal-ში დაიბეჭდა? დათანხმდება კი რუსეთი ჟურნალში წარმოდგენილი სცენარით აფხაზეთში პროცესების განვითარებას?**

— ამ ეტაპზე ძალიან ძნელად სავარაუდოა, რომ რუსეთმა არა მარტო თანხმობა განაცხადოს ამ პროექტის რეალიზაციაზე, არამედ საერთოდ განიხილოს მსგავსი საკითხი. როგორც ადრე ხდებოდა ხოლმე, მოსკოვი აფხაზურ მხარეს ურჩევს, რომ მათ უარი თქვან ამგვარი გეგმების რეალიზაციაზე.

თუმცა, სტატიის ავტორებს მოაზრებული აქვთ კონფლიქტის უამრავი ასპექტი, რომლებზეც პასუხის გაცემის გარეშე კონფლიქტის გადაწყვეტა პრაქტიკულად შეუძლებელია. ზოგადად უნდა ვთქვათ, რომ მიდგომა, რომელსაც ავტორები ეფუძნებიან, ერთადერთი სწორი გზაა და ამის შესახებ ქართველ ექსპერტებსაც არაერთხელ გამოუთქვამთ თავისი აზრი.

სტატიის ავტორთა მიდგომა საკმაოდ კონსტრუქციულად მიმაჩნია, მასზე სერიოზული მუშაობა იქნება საჭირო იმ შემთხვევაშიც კი, თუ მის მიმართ კონფლიქტში ჩართული ყველა მონაწილის პოზიტიური დამოკიდებულება იქნება გამოხატული. საჭიროა სტატიაში გამოთქმული ყველა იდეის დროში გაწერა, კარგადაა დასათვლელი ყველა ეტაპზე მოსალოდნელი შედეგები.

**— ქულისა და გრჟიჩის პროექტის ამერიკულ ჟურნალში გამოჩენა უცნაურად დაემთხვა აშშ-ს სახელმწიფო მდივნობის ერთ-ერთ კანდიდატად რიჩარდ ჰოლბრუკის დასახელებას, რომელიც კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში ბალკანეთში, ბოსნიასა და კოსოვოში განხორციელებული პოლიტიკის ავტორად ითვლება.**

— რიჩარდ ჰოლბრუკი მართალაც გახლდათ პერსონალური ავტორი დეიტონის ცნობილი ხელშეკრულებისა, რომელმაც სათავე დაუდო ბალკანეთში დაწყებული აურზაურის დალაგების პროცესს. კოსოვოსთან დაკავშირებით ხაზგასმით აღვნიშნავდი, ბატონ აჰტისაარის როლს და დასავლეთის იმ მიდგომას, რომელიც რეალიზებულ იქნა კოსოვოში — ეს არის სამშვიდობო პროცესის წარმართვის კლასიკური მოდელი. რამდენად სრულყოფილად იქნა შესრულებული დასახული ამოცანები იმ ყველა ელემენტის გარეშე, რომელიც კოსოვოში განხორციელდა, ამ შემთხვევაში შემოთავაზებულ სტატიაშიც აისახა. ობიექტურია ყველა, ვინც აფხაზეთში მიმდინარე პროცესს აკრიტიკებს და აცხადებს, რომ მას სამშვიდობო პროცესთან საერთო არაფერი აქვს.

**— კიდეც რომ მოხერხდეს ქულისა და გრჟიჩის პროექტის რეალიზაციის დაწყება, ხომ არ არსებობს იმის ალბათობა, რომ აფხაზეთის შემთხვევაშიც კოსოვოს პრეცედენტის განმეორება გახდეს შესაძლებელი?**

— უნდა შევთანხმდეთ, რომ ყველგან, სადაც რიჩარდ ჰოლბრუკის სახელი გამოჩნდება, სეპარატიზმის მხარდაჭერა არ იგულისხმება. აფხაზეთს თავისი, სრულიად კონკრეტული, განსხვავებული რეალობა გააჩნია კოსოვოსაგან და აფხაზეთის, ისევე როგორც სხვა კონფლიქტების ბედი, გადაწყდება იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება ძალისხმევა იმ მოთამაშეების, ვინც ამ პროცესში არის ჩართული.

მე, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს სახელმწიფოს ვგულისხმობ. რამდენად იქნება იგი დიდი მიმზიდველობის ძალის მქონე, რომ განმდგარი რეგიონების მოსახლეობის გულებისა და გონების კვლავ მონადირება შეძლოს? ეს სერიოზულად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განხორციელდება შერიგების პროცესი. იქნება ეს მართლაც ტერიტორიის დაბრუნება თუ აფხაზებთან, ოსებთან და სხვა პრობლემურ პარტნიორებთან შერიგების პროცესი, რასაც შემდეგ დაექვემდებარება ყველა პროცესი სახელმწიფო პოლიტიკიდან დაწყებული რესურსების მიმართვის ყველა გზა.

ამდენად, იმის საშუალება, რომ შედეგი პოზიტიური იყოს, არსებობს, საჭიროა მათი გონივრულად გამოყენება.

**— ჟენევაში აფხაზურმა დელეგაციამ დევნილთა დაბრუნების თავისი გეგმა წარადგინა. სოხუმი დაბრუნებული დევნილებისაგან აფხაზეთის მოქალაქეობის აღიარებას მოითხოვს. რამდენად მისაღები შეიძლება იყოს აფხაზური მხარის მოთხოვნა?**

— მე არ ვიქნებოდი მომხრე, რომ აფხაზური ან სხვა მხარის წინადადებაში მაინცდამაინც დესტრუქციის სურვილი დავინახოთ. ამ შემთხვევაშიც კი შეიძლება მოიძებნოს ისეთი გამოსავალი, რომელიც უპასუხებს იგივე აფხაზეთის ინტერესებს, შეამცირებს მათგან ეჭვისა და დაძაბულობის საფუძველს.

თანამედროვე ცხოვრება ასეთი არაორდინარული გადაწყვეტილებების საშუალებას გვაძლევს. მთავარია კონსტრუქცია, რომელზეც მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, უნდა იძლეოდეს საკმარისად მყარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ჩამოყალიბების საფუძველს და არ უნდა ტოვებდეს „ჩადებულ ნაღმებს“, რომელთა ამოქმედებით სახელმწიფოს წინააღმდეგ გარეშე ძალებს მოქმედება შეეძლებათ.

**კობა ბენდელიანი**

# რას შეეწირა „ამირანი“ – ადეიშვილის რესტორანს თუ სააკაშვილის ვერტმფრენის დასაჯდომს?

ინფორმაცია

## ჯერ დოდაშვილის ძეგლი აიღეს, ახლა „ამირანს“ ეძგერნენ

(რადიო „ჰერეთი“) სიღნაღის „რეაბილიტაციას“ სოლომონ დოდაშვილის შემდეგ, ქართული ხალხური ეპოსის გმირის, კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის გიგანტური ქანდაკებაც ემსხვერპლა. 1980 წელს ვახტანგ ონიანის მიერ გაცოცხლებული მითი უკვე ნაწილ-ნაწილ დაშლილი ყრია ყოფილი ტურისტული ბაზის ეზოში.

არაოფიციალური ინფორმაციით, ძეგლის ადგილს შვეულმფრენის ასაფრენი მოედანი დაიკავებს, ადგილობრივები კი ამბობენ, ქანდაკების ადგილზე იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის რესტორანი აშენდებაო. იქვე მცხოვრები ზაქარია ღვინიაშვილი აცხადებს, რომ ქანდაკების ადგილი რესტორნისთვის არასაკმარისი იქნება და შეიძლება დაუპატიჟებელი სტუმრები ტერიტორიის გაფართოების მიზნით მასაც მიადგნენ. სიღნაღის გამგეობაში ძეგლის დემონტაჟის მიზეზები არ იციან. გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრე მათეშვილის თქმით, დემონტაჟის შესახებ ოფიციალური ბრძანება მათ ცენტრიდან მიიღეს.



სამარშრუტო ტაქსით „სიყვარულის ქალაქისკენ“ მიმავალთ ორი ბერძენი ტურისტი დაგვემგზავრა, განახლებული სიღნაღის ამბავი მათაც შეეტყოთ და უნდოდათ, საკუთარი თვალით ენახათ გომბორის მთაზე ამაყად შეფენილი საოცრება. ძალაუნებურად საუბარში ავყევით. ვუქეთ და ვუქეთ ქიზიყის თვალი, მისი ღირსშესანიშნაობანი — წმინდა ნინოს სამარადისო სასუფეველი, სიღნაღის თვალუწვდენელი ციხე-გალავანი, საქართველოს ბულბულის — ვანო სარაჯიშვილისაც ვთქვით და, ბუნებრივია, მათი პრომეთეს ქართული ანალოგის (თუ პირიქით) — ამირანის ამბავიც გავიხსენეთ. ვუთხარით, რომ ის ახლა კავკასიის ქედზე კი არ არის მიჯაჭვული „ქვეყნად ცეცხლის მოტანისათვის“, არამედ დიდებული ქართველი მოქანდაკის ვახტანგ ონიანის მადლიანი ხელით ძეგლადაა გაცოცხლებული და სწორედ მისით იწყება სიღნაღის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება. თქვენც პირველად სწორედ მას იხილავთო — ცისკენ მძლავრად ხელაპყრობილი ამაყად რომ გადასცქერის კავკასიონსაც და ზღაპრულ ალაზნის ველსაცო. ჩვენს ნათქვამს თან აკაკის ლექსის „ამირანის“ სტრიქონებით „ვამაგრებდით“.

...თქვენს მტერს დაემართოს, რაც ჩვენ დაგვემართა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ფილიალის შენობის გადასწვრივ ამირანის ძეგლი კი არა, მისი კვარცხლბეკის ნანგრევები რომ დავინახეთ. ძეგლი კი დაეშალათ და თვალისთვის მოეფარებინათ.

როგორც იტყვიან, დანა პირს არ გვიხსნიდა. უმალ სიღნაღელ ნაცნობ-მეგობრებს შევეხმაურე და ამბავი ვკითხე. იმ ქიზიყური გინების შესახებ არაფერს ვიტყვი, რომლითაც ისინი ამ საქმის ჩამფიქრებელ-გამკეთებლებს ამკობდნენ, ერთნი მიმტკიცებდნენ, რომ ეს ადგილი თავისი ვერტმფრენის დასაჯდომად სააკაშვილს მოსწონებია და იმიტომ დაანგრიესო. მეორენი კი ჯიუტად იმეორებდნენ — მანდ მალე ადეიშვილის რესტორანი აშენდებაო (ადვილი მისახვედრია, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრსა და გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს გულისხმობდნენძ).

ფოსმა ასეთი რა დააშავა-მეთქი. რა გიკვირს, თბილისელებმა დავით აღმაშენებლის ძეგლი გადაკარგეთ სადღაც ქალაქის ბოლოს, თუ დასაწყისში და მის ცხენს გავა თბილისისკენ მიაშვერინეთ. ჩვენი გამგებელი რა, უგულავაზე ნაკლები იყო. დოდაშვილი დღეს ბულვარის თავში ქალაქისკენ ზურგშემობრუნებული დგასო. ისიც თქვეს, ამ კვარცხლბეკზე უზარმაზარი მონიტორის დამონტაჟებას აპირებენ, რათა უფრო კარგად დავინახოთ და მოვისმინოთ ჩვენი ქვეყნის წინსვლაზე პრეზიდენტ სააკაშვილის ყოველი გამოსვლაო.

დოდაშვილის ახალმოსახლეობისკენ წასულმა კი უკვე მესამე „საოცრება“ ვიხილე. დაენგრიათ მეორე მსოფლიო ომიდან შინმოუსვლელთა ობელისკი და ახლა კი თურმე მემორიალის დანგრევასაც აპირებენ, ომიდან შინ ველარ დაბრუნებული თითქმის 4 900 ქიზიყელის გვარი რომ არის ამოტვიფრული.

## „ძეგლთა მსხვრევა“ სიღნაღურად

თურმე ერთ ღამეს, ხალხს წინააღმდეგობა რომ არ გაეწია, ნილბიანი „ყვავ-ყორნების“ გუნდი შესევია ამირანს და სასწრაფოდ აუღიათ. როცა ვიკითხე, სად წაიღეს ძეგლის ნაწილები-მეთქი?, მიპასუხეს, ხომ იცი, აქაური გამგებლები როგორ იყვნენ ფულს დახარბებულები, ალბათ ეგაც ჯართში ჩააბარეს და ხელი მოითბესო“: აკაკისებურად რომ ვთქვათ **„ბოლოს მაინც დაამარცხეს! გაქრა! ყველა გაიოცა!“**

გამგეობის წინ, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, მეორე „საოცრება“ დამხვდა — იქ, სადაც ადრე ჯერ ლენინის ძეგლი იდგა, შემდეგ კი დიდი ქართველი მოაზროვნე სოლომონ დოდაშვილი დააყენეს, ოღონ მინგრეულ-მონგრეული კვარცხლბეკიღა შთენილა. ვიკითხე ამ დიდმა ფილოსოფოსმა ასეთი რა დააშავა-მეთქი.

სიღნაღელები მწარედ ხუმრობენ: „სააკაშვილს ალბათ გერმანიის კანცლერის მერკელის ჩამოყვანა უნდა სიღნაღში, რათა საქართველოსთვის ნატოში შესასვლელი მაპის მისაცემად შემოუბრუნოს გული და აბა, აქ მის ქვეყანასთან ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალს ხომ არ დაახვედრებს მწვადის საჭმელად რესტორნისკენ მიმავალ სტუმარსო“.

არა, მაინც რა „ძეგლთა მსხვრევის“ ჭია შეუძვრათ სიღნაღის რაიონის თავკაცებს, თუმცა მათ თავიანთი გასაჭირიც ეყოფათ, „კაი კაცობისთვის“ წამდაუწუმ რომ ცვლიან! როგორც ამბობენ, ყველაფერი ზემოდან მოდისო „ზემოთში“ კი ვის გულისხმობენ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ“.

**კახი ქიზიყურაშვილი**

**P. S. გუშინ რედაქციაში ცნობილი მომღერალი და თამადა გელა ქოქიაშვილი გვეწვია. ცრემლმორეული გვიყვებოდა: სიღნაღში ვანო სარაჯიშვილის მუზეუმი გაუუქმებიათ, ძვირფასი ექსპონატები კი სადღაც საკუჭნაოში შეუყრიათო. ახლა კი, შეიძლება, ძეგლთა მსხვრევით გადარეულებმა მისი ძეგლიც აიღონო.**

**მოდი და ნუ დაიჯერებ!**

**სიღნაღში „ამირანი“ მოსპეს, თბილისში კი პრომეთეს ნაზი ჭაბუკის ძეგლი დაუდგეს?!**

**კ. ქ.**

# საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

### მოქანდაკე ვახტანგ ონიანის განცხადება

ბატონო პრეზიდენტო,

არავითარი იმედი არ მაქვს, რომ ჩემი განცხადება თქვენამდე მოვა.

ჩადენილია დიდი, სამარცხვინო დანაშაული ქართველი ერის წინაშე — ქ. სიღნაღში დაანგრიეს და გაანადგურეს „ამირანის“ მონუმენტი. ეს ტრაგედიაა, როგორც საქართველოსთვის, ისე მონუმენტის ავტორისთვის.

ეს ბრინჯაოს მონუმენტი აღიმართა 1980 წელს (სიმაღლე — 12 მეტრიძ, შემკვეთი — საქართველოს მინისტრთა საბჭო; დამფინანსებელი — საქართველოს ტურისტული სამმართველო. მონუმენტის ადგილი შეირჩა და გამოიყო სიღნაღის ადგილობრივი მთავრობის დადგენილებით.

ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ დაავალოთ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს, სასწრაფოდ მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ამ ბოროტების ფაქტზე. მონუმენტის ყველა დეტალი გადასცენ ქ. თბილისის ქანდაკების კომბინატს, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლისა და ავტორის თანდასწრებით სარესტავრაციოდ, მონუმენტი უნდა აღდგეს ბოროტმოქმედთა ხარჯით პირვანდელი სახით.

წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ბარბაროსული ქმედება ეცნობება მსოფლიოს ძეგლთა დაცვის ყველა ორგანიზაციას, უპირველესად — იუნესკოს.

ღია წერილი

# ხმა ამოიღეთ, ჩადენილია თავზარდამცემი დანაშაული!

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდეს და უნეტარეს ილია II-ს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, შინაგან საქმეთა და კულტურის მინისტრებს, საქართველოს მხატვართა, არქიტექტორთა, ჟურნალისტთა, მწერალთა, კომპოზიტორთა კავშირებს, მეცნიერებათა აკადემიას, სამხატვრო აკადემიას, ყველა პოლიტიკურ პარტიას, საქართველოს სახალხო დამცველს, რადიოსა და ტელევიზიის ყველა არხს, საქართველოს მასმედიას, საქართველოს ყველა რეგიონის მცხოვრებთ, ყველა ქართველსა თუ არაქართველს, ვინც საქართველოში ცხოვრობს, საზღვარგარეთ გახიზნულ თანამემამულეებს,

ყველას, ყველას, ყველას!

ქალაქ სიღნაღში დაანგრიეს „ამირანის“ მონუმენტი! ამაზე დიდი ტკივილი რა უნდა იყოს მონუმენტის ავტორისთვის, რომელმაც ოთხი წელი მოანდომა მის შექმნას, შიგ ჩააქსოვა ქართველი ერის მარადიული იმედი და ბრძოლის უნარი!

დღეს, როცა ქართული სახელმწიფო დაჩეხილია, სულიერების ძეგლებს სპობენ და ამით შინაური მტრები იარაღს აძლევენ საქართველოს მტრებს, რომ მოსპონ ერის ნიშნები.

სამწუხარო ფაქტი ასეთია: საქართველოში არ დარჩა არც ერთი მოქანდაკე, რომელსაც არ მიაყენეს მორალური ტკივილი... აი ისინი, რომელთა ნამუშევრებიც გაანადგურეს: ნიკოლაძე, კალაძე, წერეთელი, შხვაცაბაია, ტაბატაძე, გ. ოჩიაური, ი. ოჩიაური, სიხარულიძე, კაკაბაძე, თოფურიძე, მიქაუტაძე, ურუშაძე... გაქარცვეს გალერეა, გამოუსწორებელი მორალური ტკივილი მიაყენეს ჩვენს დიდ მოქანდაკეს მ. ბერძენიშვილს.



ნება მომეცით, ჩემი ნამუშევრები ჩამოგითვალოთ, რომლებიც განადგურებულია: „ოქროს ვერძის“ აქსესუარები საქართველოს სამხედრო გზაზე; ილიას, აკაკის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ვაჟას, ნინო ჭავჭავაძის, ერეკლე II-ს, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ფიროსმანის, ალექსანდრე პუშკინის, სულხან-საბა ორბელიანის, რაზმაძის რელიეფური და გორელიეფური ნამუშევრები: „დედაბოძი“, „აღორძინება“ (ბრინჯაოძ, არსენა მარაბდელი, ამას დაემატა „ამირანის“ მონუმენტი ქ. სიღნაღში... რას ნიშნავს ყველაფერი ეს? ეს ნიშნავს ეროვნული ძირების გადაჭრას, აღმოფხვრას, რათა საქართველოში ქართველი ისე დაკნინდეს, საცოდავი მსახური გახდეს, მოლაღობე თაღლითისთვის წაიშალოს ტანჯვით აღმდგარი საქართველოს ისტორია.

ყველამ კარგად იცის (და ვინც არ იცის, უნდა შეიგნოსძ, ყველა დარგის შემოქმედებითი ნამუშევარი, დიდი თუ მცირე შედევრი, ერის ენერგიის ნაწილია, ვინც ამას ანადგურებს, მოსყიდული მტერია. ამ ბოროტების ჩამდენი შემკვეთი და შემსრულებელი უგუნური თუ შეგნებული მტერია. გთხოვთ, გამოთქვათ თქვენი აზრი — ვინ უნდა დაიცვას ეროვნული ენერგია! ჩვენდა სამარცხვინოდ, როგორც მორალურად, ასევე ფიზიკურად და ეკონომიკურად ყველა დარგის ჭეშმარიტი ხელოვანი დაუცველია! ამის შესახებ უნდა ეცნობოს მსოფლიოს ადამიანის უფლებათა და ძეგლთა დამცველ ორგანიზაციებს: დაგვეხმარონ!!!

მივმართავ ყველა ქართველს და არაქართველს, ვინც საქართველოში ცხოვრობს, ხმა აიმაღლოს ამ ბარბაროსული ვანდალიზმის წინააღმდეგ, პრაქტიკულად ჩაებან ხელოვნების დასაცავად — ამ შემთხვევაში „ამირანის“ მონუმენტის აღსადგენად. ყველამ უნდა გაითავისოს ჩემი თხოვნა. არადა ხვალ სხვა ობიექტებს მიადგებიან, მიადგებიან მართლმადიდებლურ ეკლესიებს, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით და მისი უწმინდესობის ილია II-ის მფარველობით შენდება.

**ვახტანგ ონიანი,**
**„ამირანის“ მონუმენტის ავტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი-მოქანდაკე, აკადემიკოსი.**
18.11.2008 წ.

## ◉ რადიკალური ოპოზიცია

***ვიდრე ლეიბორისტული პარტიის მოსაზრებებს და რუსეთთან ურთიერთობის მათეულ ხედვას გაგაცნობდეთ, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის სოსო შატბერაშვილის განცხადებას შემოგთავაზებთ, რომელიც მან პარტიისავე ოფისში შეკრებილ ჟურნალისტებს გააცნო:***

# იოსებ შატბერაშვილი:

# „ეს არის უუნარო და პოლიტიკურად იმპოტენტი ხელისუფლება, რომელიც ქვეყანას ვერ მართავს"



— როდესაც ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისია და ომის შედეგად დაღუპულები ჯერ კიდევ მიწას არ არიან მიბარებულები, საქართველოს პრეზიდენტი თავს უფლებას აძლევს, ესპანეთში, ქალაქ ვალენსიაში ნატოს საბჭოს სხდომაზე გაემგზავროს. შემდეგ კი, იქვე ახლოს ესპანეთის ცნობილ კურორტზე — პალმა დე მალიორკაზე ფეშენებელურ სასტუმროში „გრანდ მედია ვიქტორიაში" საპრეზიდენტო აპარტამენტები აიღოს. მეხუთე დღეა იგი ამ სასტუმროში ისვენებს.

ეს ის სასტუმროა, სადაც ძალიან უყვართ დასვენება არაბ შეიხებს, ევროპელ მონარქებს. ამ სასტუმროში ხშირად ჩერდება პრინცი ჩარლზი, კლაუდია შიფერი, მაიკლ დუგლასი და სხვა ჰოლივუდელი თუ როკ ვარსკვლავები. ჩვენ გავარკვიეთ ისიც, რომ საპრეზიდენტო აპარტამენტები ერთ დღე-ღამეში ათი ათასი ევრო ღირს. ჩვენმა პრეზიდენტმა, საკუთარი აპარტამენტის გარდა, დაიკავა კიდევ 4 ნომერი თანმხლები პირებისათვის. ასე რომ, ჩვენს ბიუჯეტს პრეზიდენტ სააკაშვილის ერთი დასვენების დღე ათი ათასობით დოლარი უჯდება.

გვინდა იმ ხალხს, ვინც იძახის „მიშა მაგარიაო", კიდევ ერთხელ შევახსენო, თუ როგორია მიშა. იმ დროს, როდესაც ხალხი შიმშილის პირასაა, ადამიანები ოპერაციას ვერ იკეთებენ და სწავლის ფული არა აქვთ, აი, რის უფლებას აძლევს თავს ბატონი მიხეილ სააკაშვილი.

**პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ სოსო შატბერაშვილს ლეიბორისტული პარტიის რუსეთთან ურთიერთობის შესახებ ვესაუბრეთ.**

***— თქვენი პარტია აუცილებლად მიიჩნევს რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას, თანაც რაც შეიძლება სასწრაფოდ. ასეთ დაძაბულ ფონზე, როგორ წარმოგიდგენიათ ამ ქვეყანასთან ურთიერთობის მოგვარება?***

— სწორედ ასეთ დაძაბულ ფონზე უნდა აღდგეს ურთიერთობა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ მეგობრული ურთიერთობები დამყარდება, ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა აღდგეს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობები. ჩვენი პარტია მზად არის, დაიწყოს დიალოგი რუსეთის სახელისუფლებო შტოებთან. სახელისუფლებო შტოებში, პირველ რიგში, ვგულისხმობ სახელმწიფო სათათბიროს, ფედერაციის საბჭოს და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ უნდა დაიწყოს დიალოგი რუსეთის ოპოზიციურ პარტიებთან. ამის ინიციატივით გამოვიდა ბორის ნემცოვი, რომელმაც მედიით გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთის ოპოზიციური პარტიები მზად არიან, მოლაპარაკებები გამართონ ქართულ ოპოზიციასთან. ჩვენ ბორის ნემცოვის პასუხადაც ვამბობთ, რომ ეს მოლაპარაკებები დაუყოვნებლივ დაიწყება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ელოდება შემდგომი დაშლა-დანაწევრება და ქართულ სახელმწიფოებრიობას შეიძლება წერტილი დაესვას. ამიტომ, ჩვენ ასეთი ინიციატივით გამოვდივართ — რადგანაც რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლებას საერთოდ არ ელაპარაკება, ეს მოლაპარაკებები პოლიტიკურმა პარტიებმა იტვირთონ.

***— თქვენ თუ გაქვთ რეალურად რაიმე კავშირები რუსეთთან და მათ თუ იციან თქვენი ინიციატივის შესახებ?***

— ეს გადაწყვეტილება ახლახან მივიღეთ და ჯერ კონკრეტული ნაბიჯები არ გადაგვიდგამს. ჩვენი ინიციატივა რუსული მედიით ცნობილი გახდა იმ რუსული სახელისუფლებო სტრუქტურებისათვის, რომლებთანაც მოლაპარაკებას მოვიაზრებთ. ახლა ველოდებით პასუხს ჩვენს შეთავაზებაზე, ან ისინი ჩამობრძანდებიან ან ჩვენ ჩავალთ მოსკოვში ან მესამე, რომელიმე ნეიტრალურ სახელმწიფოში შევხვდებით ერთმანეთს.

***— ხელისუფლების საპარლამენტო ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელიც თქვენს პარტიას ბრალს სდებდა რუსეთის მოკავშირეობაში. ასეთი ინიციატივის შემდეგ, კიდევ უფრო ხომ არ მისცემთ მათ მიზეზს ბრალდებებისათვის?***

— კი, გიორგი თარგამაძეს უკვე უთქვამს, რომ ლეიბორისტული პარტია რუსეთის ფილიალია საქართველოშიო და, რა თქმა უნდა, ასეთ უგუნურ შეფასებებს, კიდევ ველოდებით საქართველოს ხელისუფლებისგანაც. ეს არის უუნარო, პოლიტიკურად იმპოტენტი ხელისუფლება, რომელიც ვერ მართავს ქვეყანას და ვერც ერთ მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობა ვერ მოაგვარა. არამცთუ მეზობელთან, მან ვერ მოაწესრიგა ურთიერთობა ევროპასთან, რათა მაპი მაინც მიეცათ, თუ ნატოში არ მიგვიღებდნენ. ვინაიდან ამ ხელისუფლებას არაფრის უნარი არ შესწევს, მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენს წინააღმდეგ ასეთ ბაკქანალიას გამართავდა. ეს ჩვენთვის არახალია. გავიხსენოთ თუნდაც შარშანდელი 8 ნოემბერი, როდესაც ბრალი დაგვდეს და შალვა ნათელაშვილი რუსეთის ჯაშუშად გამოიყვანეს. ეს საქმე მაშინვე შეწყდა, რადგანაც არ არსებობს ამის დამადასტურებელი არანაირი საბუთი. ასე რომ, ჩვენ ახლაც ველოდებით ასეთ ბრალდებებს და მათ დაიწყეს კიდევაც ჩვენი შეფასებები, თუმცა ეს ნაკლებად გვაინტერესებს. ჩვენ ქვეყნისათვის თავი გადავდეთ და გვაინტერესებს მხოლოდ ჩვენი სამშობლოს ბედი, რათა მსგავსი მოვლენები არ განვითარდეს ჯავახეთში, აჭარაში, ქვემო ქართლში და, საერთოდ, არ დაიშალოს საქართველო. მავანთა მსგავს განცხადებებს ჩვენი ხალხი უკვე კარგა ხანია ყურადღებას აღარ აქცევს და ჩვენი ჯაშუშობა და აგენტობა ყველას სასაცილოდ მიაჩნია.

რუსეთთან დიალოგის აღდგენის შემთხვევაში, გაცხადდება მათი მოთხოვნები, პირობები, რისი დათმობა და შეთანხმებაა შესაძლებელი. მას შემდეგ, რაც რუსეთმა სისულელე ჩაიდინა და აღიარა ე. წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, სერიოზულად დაიძაბა ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში. სერიოზული აფეთქების წინაშეა მთელი რუსეთის სამხრეთი და ყველაზე მეტად ახლა რუსეთს უნდა აძლევდეს ხელს დიალოგი საქართველოსთან. თუმცა, ვიმეორებ, მათ განაცხადეს, რომ არ აპირებენ საუბარს სააკაშვილთან. ქვეყანას კი შველა სჭირდება და ამიტომ ჩვენც ასეთ შეთავაზებაზე მივდივართ.

ესაუბრა
**თამარ ბუზალაძე.**

## ◉ ინფორმაცია

### გვეწვევა ამერიკის სამხედრო კრეისერი

**აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების სარაკეტო კრეისერი მეგობრული ვიზიტით საქართველოს პორტებს ეწვევა.**

**22 ნოემბერს კრეისერი „Barry" ბათუმის პორტში შევა, ხოლო 26 ნოემბერს ფოთში იქნება.**

**ვიზიტის ფარგლებში ეკიპაჟის წევრები ადგილობრივ მოსახლეობას, ხელისუფლებისა და საქართველოს სანაპირო დაცვის სამსახურის ხელმძღვანელობას შეხვდებიან.**

**კრეისერის საქართველოში ყოფნის პერიოდში რაიმე სახის სწავლების ჩატარება დაგეგმილი არ არის.**

**კრეისერი „Barry" აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების ერთ-ერთი ცნობილი მეთაურის ჯონ ბარის სახელს ატარებს. გემი წყალზე 1992 წელს ჩაუშვეს.**

**წინასწარი ინფორმაციით, საქართველოში ვიზიტის შემდეგ კრეისერი მეგობრული ვიზიტით ეწვევა თურქეთს, ბულგარეთსა და რუმინეთს.**

### შტაინმაიერი ჟენევის მოლაპარაკებებით კმაყოფილია

**საქართველოში მდგომარეობის სტაბილიზაციის გზა პარტნიორების პირდაპირ მოლაპარაკებებზე გადის, — ამის შესახებ განცხადება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ ვალტერ შტაინმაიერმა გააკეთა.**

**იგი საქართველო-რუსეთის კონფლიქტის დარეგულირების და საქართველოში არსებული კონფლიქტების ფართომასშტაბიანი პოლიტიკური მოგვარების შესახებ ჟენევაში გამართული მოლაპარაკებების მეორე რაუნდს მნიშვნელოვან ნაბიჯს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ეს საკმაოდ პოზიტიური შეხვედრა იყო.**

**— ის, რომ აგვისტოს მოვლენების შემდეგ ყველა მხარის ერთ მაგიდასთან დასხდომა და მოლაპარაკების პროცესის გამოცოცხლება მოხერხდა — პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ბოლო დღეების მოვლენებმა გვიჩვენა, თუ როგორი დაძაბულია რეგიონში ვითარება, ამიტომ, კონფლიქტის ყველა მონაწილემ საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს იმაში, რომ შეძლებისდაგვარად განმუხტოს ვითარება, — აცხადებს შტაინმაიერი.**

**იგი იმედს გამოთქვამს, რომ ამიერიდან მოლაპარაკებების მონაწილეები სერიოზულად განეწყობიან მოლაპარაკებათა პროცესის გაგრძელებაზე.**

**შეგახსენებთ, რომ ამიერკავკასიის საკითხზე ჟენევის დისკუსიის მესამე რაუნდი 17-18 დეკემბერსაა დაგეგმილი.**

### „ემნისთი ინთერნეიშნლი" ომის მიზეზების გამოძიებას ითხოვს

**ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „ემნისთი ინთერნეიშნლი" კონფლიქტის ზონაში დაზარალებული ქართველების დაბრუნებას და ომის მიზეზების გამოძიებას ითხოვს. ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „რუსთავი 2" ავრცელებს.**

**ორგანიზაციას მომზადებული აქვს სპეციალური გეგმა, რომელსაც დაინტერესებულ მხარეებს გააცნობს. ზოგადი სტატისტიკის თანახმად, 22 ათასი ქართველი საცხოვრებელ სახლებს ვერ უბრუნდება.**



**რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გამოქვეყნებულ ანგარიშში ორგანიზაცია შეშფოთებას გამოთქვამს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული არასტაბილური ვითარების გამო. მოხსენებაში ნათქვამია, რომ რუსმა სამხედროებმა ე.წ „ბუფერული ზონები" მასობრივი ძარცვისა და ადამიანთა გატაცების შემდეგ დატოვეს, მაგრამ მოსახლეობას იქ დაბრუნების საშუალებას მაინც არ აძლევენ.**

**— „ემნისთი ინთერნეიშნლმა" რეკომენდაციების სერია მოამზადა, რომელსაც ყველა მხარეს წარუდგენს. მხარეებმა უნდა შექმნან უსაფრთხოების გარანტია დაზარალებულთა დასაბრუნებლად. საერთაშორისო დამკვირვებლებს კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიაზე მონიტორინგის ჩატარების საშუალება უნდა მიეცეთ", — განაცხადა „ემნისთი ინთერნეიშნლის" წარმომადგენელმა ჯონ დალსენმა.**

### რუსეთის პრეზიდენტი 6 წლით „იგულავებს", დუმელები კი – ხუთით

**რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ მესამე მოსმენით გუშინ საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღო.**

**ცვლილებები პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გაზრდას ითვალისწინებს.**

**ცვლილებებს დუმაში 392 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი ფრაქცია „კომუნისტების" 57 წევრი იყო.**

**პრეზიდენტობის ვადა 4-დან 6 წლამდე, ხოლო პარლამენტის 4-დან 5 წლამდე იზრდება.**

**შეხვედრაზე ნატოს წევრი და პარტნიორი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ თავდაცვის სფერომ საქართველოში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ალიანსმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენეტის მიმართ ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოხატა.**

### ჩეხეთში ჩვენმა ელჩმა თანამდებობა დატოვა



**ჩეხეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლადო ჭიპაშვილმა თანამდებობა უკვე დატოვა.**

**როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ჭიპაშვილმა განცხადება საკუთარი ინიციატივით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაწერა.**

**წინასწარი ინფორმაციით, ჩეხეთში საქართველოს ელჩი ყოფილი დეპუტატი ნინო ნაკაშიძე იქნება.**

**საგარეო პოლიტიკურ უწყებაში კი აცხადებენ, ნაკაშიძის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის.**

ინტერპრესნიუსი

პირველად ქართულად

# ბარაკ ობამა
# „იმედის შემართება“

## რამდენიმე ამონარიდი იმ კაცის წიგნიდან, რომელსაც შეუძლია ამერიკისა და მთელი მსოფლიოს შეცვლა

მე ეს არ მაღელვებდა. ალბათობა ძალიან მცირე იყო, მაგრამ გადავეშვი ომში თავად ჩემთვის მოულოდნელი ენერგიითა და სიხარულით. მცირე თანხებით დავიქირავე ოთხი ერთი ასაკის – დაახლოებით ოცდაათი წლის ნიჭიერი თანამშრომელი. გამოვძებნეთ პატარა ოფისი, დავბეჭდეთ ბლანკები, დავდგით ტელეფონი, კომპიუტერები. ყოველდღე ოთხი-ხუთი საათის განმავლობაში ვურეკავდი დემოკრატიის ყველაზე დიდ მომხრეებს, ვცდილობდი, მიმეღო რაიმე სარგებელი მაინც. ვიწვევდი პრესკონფერენციებს, რომლებზეც არავინ მოდიოდა. ჩვენ განაცხადიც კი შევიტანეთ წმინდა პატრიკის დღის აღსანიშნავ ყოველწლიურ პარადში მონაწილეობის მიღებაზე, მაგრამ ადგილი გამოგვიყვეს კოლონის სულ ბოლოს და ათ მოხალისესთან ერთად მე მივაბიჯებდი პირდაპირ ნაგავსაზიდების წინ და ვუქნევდი ხელს მცირერიცხოვან მაყურებელს, რომლებიც ჯერ კიდევ გვიყურებდნენ, ჩვენს უკან კი მენაგვეები საჩქაროდ აგროვებდნენ ნაგავს, ხევდნენ ბოძებიდან სამყურას ფურცლების სახით გაკრულ მწვანე სტიკერებს.

მაგრამ უფრო მეტად ვმოგზაურობდი – ჩიკაგოს ერთი რაიონიდან მეორეში, ოლქიდან ოლქში, ქალაქიდან ქალაქში, შტატის ერთი ბოლოდან მეორეში, სიმინდისა და პარკოსნების ნათესების გავლით, შორსმსროლელთა მანქანებისა და სასილოსე კოშკების გვერდით. სასიამოვნოსა და იოლს ამ მოგზაურობებს ვერ უწოდებდი. პროცესი ნაკლებეფექტიანი იყო. მე არ მქონდა დემოკრატიული პარტიის არც მოწესრიგებული მანქანა, არც გაგზავნილი წერილების სია, ინტერნეტიც უსარგებლო იყო, მრჩებოდა მხოლოდ მეგობრებისა და ნაცნობების იმედი, რომლებიც მზად იყვნენ, გაეღოთ ჩემთვის თავიანთი სახლების კარები ან მოეწყოთ ჩემთვის ამომრჩევლებთან შეხვედრა ეკლესიაში, ბრიჯის მოყვარულთა საზოგადოებაში, ან „როტარი ინტერნეიშნლის“ ადგილობრივ განყოფილებაში. ყოფილა შემთხვევებიც, როცა რამდენიმე საათის შემდეგ, საჭესთან რომ ვიჯექი, მივდიოდი ორსამ კაცთან, რომლებიც მოთმინებით მელოდნენ სამზარეულოს მაგიდასთან. კომპლიმენტებად ვიღვრებოდი მასპინძელთა მისამართით, ვარწმუნებდი, რომ ყველაფერი ბრწყინვალედაა, ვაქებდი ვახშამს. ყოფილა ისეც, რომ თავიდან ბოლომდე ვუსმენდი საეკლესიო სამსახურს, პასტორს კი უბრალოდ ვავიწყდებოდი ანდა პროფკავშირის ადგილობრივი განყოფილების უფროსი მაძლევდა სიტყვას, შემდეგ კი აცხადებდა, რომ გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ სხვა კანდიდატს.

მაგრამ მაინც, გამოვდიოდი ორი ან ორმოცდაათი მსმენელის წინაშე, ვიმყოფებოდი ნორდ შორის ცივ, დიდებულ ცალკე სახლებში, ულიფტო მრავალსართულიან შენობებში უესტრაიდში ან ფერმერის სახლში ბლუმინგტონში, მხვდებოდნენ მეგობრულად, გულგრილად, აშკარად მტრულად – ყველგან ვცდილობდი მელაპარაკა, რაც შეიძლება ცოტა, მომესმინა კი მეტი. მიყვებოდნენ სამუშაოს შესახებ, საქმეებზე, ადგილობრივ სკოლაზე; უჩიოდნენ ბუშს და ბუზღუნებდნენ დემოკრატებზე; ვგებულობდი ძაღლების, რადიკულიტის, სამხედრო სამსახურის, ბავშვობის მოგონებების შესახებ. იყვნენ თეორეტიკოსებიც თავიანთი შეხედულებებით მრეწველობაში სამუშაო ადგილების შემცირების მიზეზების ან ძალიან მაღალი ფასების მკურნალობასთან დაკავშირებით. მოჰყავდათ რაშ ლიმბოს ციტატები და ეროვნული საზოგადოებრივი რადიოს გადაცემები. და მაინც ხალხს ყველაზე მეტად აღელვებდა სამუშაო და ბავშვები და არა პოლიტიკა, მიზიარებდნენ უმთავრესს: დაიხურა ქარხანა, ვიღაცა დააწინაურეს, მოვიდა დიდი ანგარიში გათბობაზე, მშობლები გაგზავნეს ხანდაზმულების სახლში, ბავშვმა ახლახან აიდგა ფეხი.

მთელი ეს საუბრები მრავალი თვის განმავლობაში არ იყო ჩემთვის აღმოჩენა. მაკვირვებდა მხოლოდ, რომ ხალხის მოლოდინი და იმედი იყო ასეთი მოკრძალებული და ერთიმეორის მსგავსი, მიუხედავად სხვადასხვა ოლქის, სხვადასხვა რასის, რელიგიისა და კლასისა. უმეტესობას მიაჩნდა, რომ თუ სამუშაოს ეძებ, ეს უნდა იყოს ისეთი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს საარსებო მინიმუმს. ამტკიცებდნენ, რომ ადამიანმა არ უნდა განაცხადოს თავისი შეუძლებლობის შესახებ მხოლოდ იმიტომ, რომ ავად გახდა. მარწმუნებდნენ, რომ ყველა ბავშვმა უნდა მიიღოს ნამდვილად კარგი განათლება, და არა ლაყბობა, შემდეგ კი უნდა ჰქონდეს სწავლის გაგრძელების საშუალება მაშინაც კი, თუ მისი მშობლები არ არიან მდიდრები. ყველას სურდა დაცვა დამნაშავეებისა და ტერორისტებისგან, ყველას უნდოდა სუფთა ჰაერი, წყალი, ბავშვებთან ურთიერთობა. მოხუცებულობის ჟამს კი – ღირსეული პენსია და პატივისცემით დამოკიდებულება.

აი, არსებითად, რა სურდა ხალხს. ჩანდა, ბევრს არ ესოდა, რომ ცხოვრებაში ბევრი რამ დამოკიდებულია თავად ადამიანზე – თუმცა არავინ არც ელოდა მთავრობისაგან ყველა პრობლემის გადაჭრას, და, მით უმეტეს, არავინ ელოდა გადასახადების გადამხდელებისგან ფულის უაზრო ფლანგვას – თითოეულს მიაჩნდა, რომ მთავრობა გაუწვდიდა დახმარების ხელს.

მე ვეთანხმებოდი: დიახ, მთავრობას არ შეუძლია ყველა პრობლემის გადაჭრა. მაგრამ, პრიორიტეტების რამდენადმე შეცვლით ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ის, რომ ყველა ბავშვმა მიიღოს კარგი სტარტი ცხოვრებაში და გაართვას თავი სირთულეებს, რომლებსაც მთავრობა აწყდება. ყველაზე ხშირად ჩემს საპასუხოდ ხალხი თანაგრძნობით იქნევდა თავს და მეკითხებოდა, თუ როგორ და რით შეუძლიათ დამეხმარონ. და როცა გზას ვაგრძელებდი, მძღოლის გვერდით სკამზე ვდებდი რუკას, ვიღებდი პასუხს შეკითხვაზე, რატომ წავედი პოლიტიკაში.




### ამდენი ჩემს ცხოვრებაში არ მიმუშავია

ეს წიგნი შედგა სწორედ იმ საუბრებისგან, რასაც ვაწარმოებდი წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ჩემმა საუბრებმა ამომრჩევლებთან დაადასტურეს, რომ ღირსება თავიდანვე ახასიათებს ამერიკელ ერს და რომ ამერიკულ გამოცდილებას საფუძვლად უდევს იდეალები, რომლებიც არ აძლევენ დამშვიდების საშუალებას ჩვენს საერთო სინდისს; რომ ჩვენ ყველას გვაქვს საერთო ღირებულებანი და სწორედ ეს ღირებულებანი გვაერთიანებს ჩვენ ყოველგვარი განსხვავების მიუხედავად; რომ იმედი ამოძრავებს ჩვენს არაჩვეულებრივ დემოკრატიულ ექსპერიმენტებს. ეს ღირებულებანი და იდეალები ასახულია არა მხოლოდ ძეგლების მარმარილოსა და წიგნებში. ისინი ცოცხლობენ ამერიკელთა უმეტესობის გულებში, და სწორედ ამიტომ განვიცდიდით ჩვენ სიამაყის გრძნობას, გვახსოვს ვალი და მზად ვართ თავგანწირვისთვის.

მესმის, რომ რისკს ვეწევი, როცა ამას ვამტკიცებ. გლობალიზაციის, ტექნოლოგიების უსწრაფესი განვითარების, მწვავე პოლიტიკური ბრძოლისა და დაუნდობელი კულტურათაშორისი კონფლიქტების დროს ჩვენ, ასე მგონია, არ გვაქვს საერთო ენა, რომ ვუამბოთ ერთმანეთს ჩვენი იდეების შესახებ, და, მით უმეტეს, არ გაგვაჩნია რაიმე სახსრები, რომ მივიდეთ თუნდაც მყისიერ შეთანხმებამდე და გადავწყვიტოთ, თუ როგორ განვახორციელოთ ეს იდეალები. ბევრმა ჩვენგანმა არ იცის იმ სიბრძნის ფასი, რასაც რეკლამისტები, ინტერვიუს მიმცემები, სიტყვების შემდგენლები და პოლიტიკის ბრძენი წარმომადგენლები გვთავაზობენ. ჩვენ შესანიშნავად გვესმის, რომ ყველაზე მაღალფარდოვანი სიტყვები შეიძლება ემსახურებოდეს ყველაზე სულმდაბალ მიზნებს და რომ ყველაზე კეთილშობილი გრძნობები შეიძლება მიიტანო ხელისუფლების, მიზანშეწონილობის, სიხარბისა და მოუთმენლობის საკურთხეველზე. როცა უნივერსიტეტის ჩვეულებრივ ისტორიის სახელმძღვანელოს კითხულობ, ადვილად შეამჩნევ, თუ რამდენად ადრე დაიწყო ამერიკის რეალური ცხოვრების გადახრა მითებისა და მათ შესახებ წარმომადგენლებისაგან. ასეთ პირობებში მოწოდება ზოგადი იდეალებისა და ღირებულებებისკენ შეიძლება გეჩვენოს გასაოცრად მიამიტურად, თუ სახიფათოდაც არა – ის ხომ უარყოფს ღრმა განსხვავებას სტრატეგიასა და მის შესრულებას შორის, უფრო უარესიც, ახშობს იმათ ხმას, ვინც გამოთქვამს უკმაყოფილებას ჩვენი ახლანდელი სახელმწიფო მანქანის მუშაობის გამო.

და მაინც ვამტკიცებ, რომ არჩევანი ჩვენ არ გაგვაჩნია. არავითარი გამოკითხვა არ არის საჭირო, რომ დაადასტურო: ამერიკელთა უდიდესი უმრავლესობა – რესპუბლიკელებიც, დემოკრატებიც, დამოუკიდებლებიც – გვარიანად დაიღალა მკვდარი ზონისაგან, რადაც გადაიქცა დღეს პოლიტიკა, სადაც ერთმანეთს ეჯახება ვიწრო ინტერესები, იდეოლოგიური უმცირესობანი კი ყველას თავს ახვევენ აბსოლუტური ჭეშმარიტების თავიანთ ვერსიებს. მნიშვნელობა არა აქვს, რომელი შტატიდან არის ადამიანი – წითელი თუ ლურჯი, – ყველა გრძნობს ჩვენი პოლიტიკური დებატების სიცრუეს, ყალბსიტყვაობასა და უნიჭობას და უბრალოდ ვერ იტანენ სულიერად ერთსა და იგივე კერძებს, რომლებიც გუშინწინდელი დაპირებებისგან არის მომზადებული. მორწმუნეებსაც და ურწმუნოებსაც, შავებს, ყავისფერებს, თეთრებს – ჩვენ ყველას გვესმის – და სწორადაც! – რომ ერის პირველი რიგის მოთხოვნილებებს ვერ ამჩნევენ, რომ თუ არ შევცვლით კურსს, რაც შეიძლება ჩქარა, ჩვენს შემდეგ დავტოვებთ გაცილებით უფრო სუსტსა და გახლეჩილ ამერიკას, ვიდრე ჩვენ მივიღეთ მემკვიდრეობით. იქნებ ახლა, როგორც არასდროს ადრე, ჩვენ გვჭირდება სხვა პოლიტიკა, ისეთი, რომლისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება ყველა ამერიკელისთვის საერთო იდეალები და შეხედულებები.

ჩემი წიგნი არის იმის შესახებ, თუ როგორ დავიწყოთ ცვლილებანი პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ნუ ელოდებით ჩემგან ფასეულ მითითებებს: მე თავადაც ზუსტად არ ვიცი, კერძოდ, რითი უნდა დავიწყოთ. დიახ, თითოეულ თავში მე თქვენთან ერთად განვიხილავ ყველაზე სერიოზულ და საჭირბოროტო სტრატეგიულ საკითხებს და შევეცდები გასაგებად განვმარტო, თუ რატომ ვაყენებ მათი გადაჭრის ამ და არა სხვა საშუალებას, მაგრამ ხშირად ჩემი პასუხები არ იქნება სავსებით ამომწურავი. მე არ გთავაზობთ ამერიკის სახელმწიფო მოწყობის მწყობრ თეორიას, არ ვაყენებ მოწოდებებს მოქმედებებისთვის, არ ვამაგრებ მათ სისწორის მიზნით გრაფიკებით, დიაგრამებით, განრიგებითა და ათი პროექტისგან შემდგარი გეგმებით.

ჩემი ამოცანა გაცილებით მარტივია: მე ვფიქრობ იდეალებსა და ღირებულებებზე, რომლებმაც მიმიყვანეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვმსჯელობ იმის შესახებ, თუ კერძოდ დღეს რა გვიბიძგებს არასაჭირო განხეთქილებისკენ; სენატორისა და იურისტის, ქმრისა და მამის, ქრისტიანისა და სკეპტიკოსის გამოცდილებაზე დაყრდნობით, გამოვთქვამ მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რა სახით უნდა აიგოს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება საზოგადოებრივი სიკეთის საწყისებზე.

მოკლედ იმის შესახებ, თუ როგორაა აგებული ეს წიგნი. პირველ თავში განვიხილავ თანამედროვე პოლიტიკურ ისტორიას და მაქვს მცდელობა განვმარტო იმ დამამძიმებელი გაერთიანების წარმოქმნის მიზეზები, რომლის მოწმენიც ჩვენ თქვენთან ერთად ვართ. მეორე თავში საუბარი წავა ზოგად ღირებულებებზე, რომლებსაც შეეძლებოდათ საფუძველი ჩაუყარონ ახალი პოლიტიკური თანხმობისთვის. მესამე თავში ვსაუბრობ იმის შესახებ, რომ ჩვენი კონსტიტუცია არა მხოლოდ იძლევა პიროვნების უფლებების გარანტიას, არამედ არის ჩვენი საერთო მომავლის ნამდვილად დემოკრატიული განვითარების ორგანიზაციის საშუალება.

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 218.

**კერძო აზრი: თემის გაგრძელება**

***ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა სტალინისა და ბერიას გარდაცვალებიდან და უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ პიროვნებებს საფლავშიც არ ასვენებენ. მათ, ცხადია, თავთავისი ცოდვები აქვთ ჩადენილი, მაგრამ ნურც მადლს დავუკარგავთ, რასაც გულისხმიერი ისტორიკოსი, უთუოდ აღმოაჩენს, თუ მოინდომებს, ამ ტრაგიკულ პიროვნებათა მოღვაწეობაში. მარტოოდენ ცუდის მაძებარი ისტორიკოსი არაერთ ცოდვას აღმოაჩენს დიდი მეფე დავით აღმაშენებელშიც, მაგრამ ათასი წლის შემდეგ, მას თავისი „აღმაშენებლობით" ვაფასებთ და არა ჩადენილი ცოდვებით. იქნებ სტალინს არაფერი აღუშენებია?! მისი დავიწყება ჩვენივე საკუთარი ისტორიის დავიწყება იქნება, ისტორიის დავიწყება კი, როგორც დიდი ილია გვასწავლის, ცხოველად აქცევს ადამიანს.***

# მკვდარი „ტირანები" ისტორიას ჩავაბაროთ და ცოცხალ ტირანებს მივხედოთ

## გვამიჭამიაობისა და ძეგლთმნგრეველობის შესახებ



ვიღაც-ვიღაცეებმა დამოუკიდებლობა და თავისუფლება იმისათვის გამოიყენეს, რომ საკუთარ ხალხს აუკრძალონ იგივე, რასაც უკრძალავდნენ მას ხრუშჩოვი და ხრუშჩოველები (ჩანს, ჩვენი ახალი „ინტერნაციონალური" ბატონები და მათი „ნაციონალური" ლაქიებიც ისტორიის სანაგვეზე გადაყრილი ხრუშჩოველების თანამოაზრენი არიან!ძ. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ჯერ განმტკიცებული არ იყო, მისმა კნეინამ, „პირველმა ლედიმ", არსენას ლექსის სასწავლო პროგრამებიდან ამოღება (!ძ მოითხოვა (და, ალბათ, მიაღწევდა კიდეც, აბა, რისთვის უნდათ ძალაუფლება?!ძ.. ორიოდე წლის წინათ, ერთმა „დამოუკიდებელმა და ზეპარტიულმა გაზეთმა" ვიღაც ავტორს გამოუქვეყნა წერილების სერია, დიდი რეკლამით, ფოტოსურათით და გაგრძელებებით, სადაც ავტორი დაჟინებით მოითხოვდა არსენას ძეგლის მცხეთიდან სადღაც გადატანას! ეს ახლადმოვლენილი „ლიტერატურათმცოდნე" სერიოზულად გვიმტკიცებდა (თუ გაზეთი ამტკიცებინებდა?ძ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი „არსენა მარაბდელში" არსენა ოძელაშვილს კი არა, ქაქუცა ჩოლოყაშვილს გულისხმობდაო. ამ „ნაშრომს", მეც, ვიფიქრე „თავისუფლებაა"-მეთქი და, გამოვეხმაურე წერილით „აქა ამბავი არსენას გაქაქუცებისა", რომელიც „ზეპარტიულმა" გაზეთმა, ცხადია, არ გამომიქვეყნა, საიდანაც დავასკვენი, რომ ეს მისი პოზიცია ყოფილა და არა „ლიტერატურათმცოდნისა".

იმაში ცუდი არაფერია, როდესაც გაზეთს ისევე, როგორც პარტიას, თავისი პოზიცია ჰქონდეს. პირიქით, გაზეთი თუ პარტია იმისათვის არსებობს, რომ თავისი პოზიცია ჰქონდეს (მრავალპოზიციურობა ისეთივე უბედურებაა, როგორც ერთპოზიციური მრავალპარტიულობაძ, მაგრამ ამისათვის იგი ღიად უნდა ადასტურებდეს მას და ვიღაც „მცოდნეებს" არ ეფარებოდეს.

მათი „პოზიციისა" არ ვიცი, მაგრამ ჩემი ხალხური პოზიციით, არსენა ოძელაშვილი ისეთივე ეროვნულად მნიშვნელოვანი ფიგურაა, როგორც ინგლისელი რობინ ჰუდი. ყველა ერს როდი ჰყავს მათი სადარი ისტორიული პერსონაჟები. არა, თავისებურნი სხვებსაც ჰყავთ, მაგალითად, ფრანგებს – ჟანა დარკი (იგი უფრო მაია წყნეთელის სადარიაძ, რომაელებს – სპარტაკი, რუსებს – სტენკა რაზინი, ესპანელებს - დონ კიხოტი (ლიტერატურული პერსონაჟიძ, ჩეხებს – ჯარისკაცი შვეიკი (აგრეთვე ლიტერატურული პერსონაჟიძ და ა.შ. მაგრამ ჩვენი არსენა და ინგლისელების რობინ ჰუდი მაინც თავისებური დამამშვენებელი არიან ქართული (სანამ არსებობს!ძ და ინგლისური ისტორიებისა. ამიტომ იყო აღტაცებული მისით დიდი ილია: „არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა, ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული, ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა, ის იყო ჩემი გული და სული"...

მაგრამ აქ მარტო არსენაზე არ არის ლაპარაკი. საქმე ეხება ავადმყოფურ მოვლენას, რომელსაც გვამიჭამიაობა და ძეგლთმნგრეველობა ჰქვია. ლაპარაკობენ მთაწმინდიდან სტალინის დედის სადღაც გადასვენებაზე, ნინო ჭავჭავაძის თანამეცხედრის საფლავის ამოთხრაზე, პუშკინის ძეგლის ხელყოფაზე, ქუჩების სახელების გადარქმევა-გადმორქმევაზე და თვით სტალინის ძეგლისა და მუზეუმის ხელყოფაზე მის მშობლიურ ქალაქ გორში!

რა ხრუშჩოვი და რა ბუშ-სააკაშვილი! ამისთვის უნდოდათ „დამოუკიდებლობა" და "თავისუფლება" (თვითნებობა!ძ? ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სტალინის ძეგლი და მუზეუმი ერთადერთი კაცობრიულად მნიშვნელოვანი რელიკვიაა, რომელიც უცხოელი ტურისტის ინტერესის ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს საქართველოში. პირველი, რაც მოინახულა ჩვენი ვაიპრეზიდენტის ჰოლანდიელმა სიმამრმა, ეს რელიკვია გახლდათ! იმიტომ, რომ მასზე მნიშვნელოვანი, უცხოელის თვალისათვის, საქართველოში არაფერია. და ისიც უნდათ მოსპონ. ე.ი. მოსპონ ტურიზმი საქართველოში, მოსპონ საქართველო როგორც ტურიზმის ქვეყანა და როგორც საერთოდ ქვეყანა! აკი ამბობენ კიდეც, საქართველოში დღემდე არაფერი შექმნილა, ჩვენ ვიწყებთ შექმნასო. თქვენ რომ შემქმნელები ყოფილიყავით, თქვენთან შექმნიდით, თუმცა თქვენ და ჩვენ რას გავუყვივართ, თქვე ბრიყვებო?!

როცა იმხელა ბუმბერაზთან გვაქვს საქმე, როგორიც სტალინია, მნიშვნელობა აღარა აქვს დიქტატორი იყო თუ ტირანი. თუმცა ისიც საკითხავია, რისთვის და ვის მიმართ იყო იგი ასეთი?! მამა აბრამის ბატკნები არც ალექსანდრე მაკედონელი იყო, არც იულიუს კეისარი ან ნაპოლეონი, მაგრამ ვის მოუვა თავში, არა მარტო ბერძენ-მაკედონელებს, იტალიელებს და ფრანგ-კორსიკელებს, არამედ „უცხოელებს" (კაცობრიული ღირებულების მიმართ უცხოელი აღარავინ არისძ და თვით მათს მტრებს, რომ მათი სახელები წაშალონ ისტორიაში და მათი ძეგლები დაანგრიონ?! დიდი ისტორიული პიროვნებები, როგორი ტირანებიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ისტორიულ ასპექტში უნდა განვიხილოთ და არა თანამედროვე პოლიტიკის აქტუალურ ასპექტში, რასაც ადგილი აქვს არამარტო პოსტსტალინური, არამედ აგრეთვე პოსტსაბჭოთა პერიოდის მანძილზე და რითაც აქტივში მყოფი ხელისუფალნი ღლენიადაგ სპეკულირებენ, რომ საკუთარი აქტუალური გადაცდომებიდან საზოგადოების ყურადღება გადაიტანონ ისტორიად ქცეულ, უკვე უვნებელ გადაცდომებზე, რომელიც ოდენ ისტორიული კვლევის (ოღონდ ობიექტური და პატიოსანი კვლევის!ძ საგანია და რეალურად აღარ ეხება მას. სწორედ ამის გამოხატულებაა დღევანდელი ხელისუფლების გვამიჭამიაობისა და ძეგლთმნგრეველობის „პოლიტიკის" მიზანიც, რომლის ანკესზე, ზოგჯერ ისეთი გონიერი ადამიანებიც ეგებიან, როგორიც, მაგალითად, ბატონი ამირან გაბისონია გახლავთ.

ვინმეს გასაკილად ერთი ეშმაკური ხერხი არსებობს: ადამიანი უმნიშვნელო რამეში შეაქო და მნიშვნელოვანში ტალახი მიასხა. ასეთი ტალახწუწიაობა მეტი ობიექტურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. სწორედ ასეთი ხერხი აურჩევია „საქართველოს რესპუბლიკის" ა.წ. 11 და 12 ნოემბრის ნომრებში გამოქვეყნებული წერილების ავტორს სტალინისათვის (და ბერიასთვისაც!ძ კიდევ ერთი წუწის მისასხმელად.

პატივცემული ამირან გაბისონია სტალინის განქიქებას (თითქოს განქიქება აკლდესძ მისი „ქებით" იწყებს: „არა მგონია, იყოს ქართველი, დიდი თუ პატარა, სოსელოს „დილა" ზეპირად რომ არ იცოდეს! მოდით, გავიხსენოთ. აი ისიც: „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადაჰხვეოდა იასა, ზამბახსაც გაჰღვიძებოდა და თავს უხრიდა ნიავსა. ტოროლა მაღლა ღრუბლებში ტრიალ-ტრიალით გალობდა, ბულბულიც გახარებული ნაზის ხმით ამას ამბობდა: აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ივერთ მხარეო და შენც ქართველო სწავლითა სამშობლო გაახარეო!" დიდებული სტრიქონებია! მას თვით დიდი ილია და აკაკიც ხელს მოაწერდნენ... ისე, გვახსოვს ყველას ზვიად გამსახურდიას ნათქვამიც: ნეტავ, ლექსებს გაჰყოლოდაო! ნეტავ!.."

ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო, ამაზეა ნათქვამი. ნეტავ, მართლა ზვიად გამსახურდია ლექსებს გაჰყოლოდა, ოსეთი და აფხაზეთი ხომ არ დაიკარგებოდა! მაგრამ ბ-ნ ამირანს, ჩანს, ოსეთ-აფხაზეთის დაკარგვა არ ანაღვლებს ან კავშირს ვერ ხედავს მათს დაკარგვასა და ზვიად გამსახურდიას ნაციონალისტურ „პოლიტიკას" შორის და ამასაც, სერიოზულად, სტალინს (და, მგონი, ორჯონიკიძესა და ბერიასაცძ აბრალებს: „....თავის ყოფილი სამშობლოს მიწებს მარჯვნივ და მარცხნივ საქართველოს მეზობლებს ურიგებდა!.. ამიტომ საქართველოს დღევანდელი ტრაგედია არა მხოლოდ იმპერიული რუსეთის, არამედ სწორედ ამხანაგ იოსებ სტალინისა და მისი ქართველი თანამებრძოლების სინდისზეცაა!"

სინდისი იქით იყოს, მაგრამ „ბოროტების" სათავე კი თურმე მათ მიერ კომუნიზმის აჩრდილის ევროპიდან რუსეთსა და კავკასიაში ჩამოყვანაში ყოფილა (საინტერესოა მხოლოდ, რით ჩამოიყვანეს – თვითმფრინავით, მატარებლით თუ ურმით, აბა ამ სიშორეზე ფეხით ხომ ვერ ჩამოიყვანდნენ?! რა მაგის პასუხია და, „მიშა მაგარმა" რით ჩამოიყვანა კაპიტალიზმის აჩრდილი ამერიკიდან საქართველოში?ძ:

„ჯერ კიდევ აქტიური იყო კ.მარქსისა და ფ.ენგელსის მიერ გახმოვანებული ლოზუნგი: „აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა!" და ამ აჩრდილის რუსეთსა და კავკასიაში „ჩამოსაყვანად" ჭაბუკი ი. ჯუღაშვილი და მისი თანამებრძოლები რევოლუციურ მოძრაობაში ჩაებნენ, ჩაებნენ კი არა, გადაეშვნენ! და სოსო – „სოსელო" მალე კობა ჯუღაშვილი, ხოლო შემდეგ ამხანაგი სტალინი (!ძ გახდა. მართალია, ის „აჩრდილი" ევროპაში მალევე გაჰქრა, მაგრამ რუსმა და ქართველმა რევოლუციონერებმა თავი გაიგიჟეს და იმ აჩრდილს დედამიწის ერთი მეექვსედი შესწირეს" (იქ კიდევ ბევრ უაზრო ბრალდებებზეა ლაპარაკი, მაგრამ ამ ერთი „მარგალიტით" შემოვიფარგლოთ, რადგან ყველას განსასჯელად არც გაზეთის ფურცლები გვეყოფა და არც აზრიძ.

ჯერ ერთი, ის „აჩრდილი" ევროპაში მთლად არ გამქრალა. ბ-ნ ამირანს, ეტყობა, ევროპა ამერიკა ჰგონია, ყოველ შემთხვევაში, განსხვავებას ვერ ხედავს მათში. ამერიკაში (აშშ-შიძ კომუნიზმის აჩრდილი არასოდეს ყოფილა და რაც არ ყოფილა, რა გაქრებოდა; ევროპაში კი იყო და დარჩა, ოღონდ არა იმ სახით, როგორსაც ის აჩრდილი გულისხმობდა, არამედ კაპიტალიზმთან სოციალიზმის ელემენტების შეზავების სახით. ევროპა, აშშ-ისაგან განსხვავებით, ცოტა სოციალისტურია. ცხადია, არა ისეთი, როგორიც იყო რუსეთში. რუსეთი რის რუსეთია, რომ რაღაცით არ განსხვავდებოდეს ევროპისაგან?! თუმცა ისეთიც, როგორიც იყო „რუსეთში" (საბჭოთა კავშირში!ძ, სამოთხეა იმასთან შედარებით, რაც არის დღეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, განსაკუთრებით საქართველოში. რაც შეეხება ევროპას, სოციალიზმით შეზავებული კაპიტალიზმი ერთგვარი შეღავათია ევროპელი ადამიანებისათვის, და ქართველი ხალხის უბედურებაც ის არის, რომ „მისი" ხელისუფლება ამერიკის წმინდა კაპიტალიზმისაკენ ექაჩება მას და არა ევროპის სოციალიზმით შენაზავი კაპიტალიზმისაკენ.

მეორე, კომუნიზმის აჩრდილი რუსეთსა და კავკასიაში ჭაბუკ ი.ჯუღაშვილს არ „ჩამოუყვანია". რუსეთში ტროცკიმ (ამერიკის ებრაელი ბანკირების აგენტმაძ და ლენინმა (გერმანიის საიდუმლო სამსახურის აგენტმაძ ჩამოიყვანეს, კავკასიაში კი – ნოე ჟორდანიამ და კომპანიამ. სტალინი, რომელიც თებერვლის რევოლუციის შემდეგ ციმბირიდან პეტროგრადში დაბრუნდა, საპარლამენტო ბრძოლის გზას უჭერდა მხარს და არ იზიარებდა ლენინ-ტროცკის ხელახალი რევოლუციის იდეას, მაგრამ ბოლო მომენტში იძულებული გახდა „გაეზიარებინა", რომ პარტიის გარეთ არ დარჩენილიყო და მარტო ამ მგლების განსაკითხი არ გაეხადა რუსეთზე მიბმული საქართველოს ბედი.

მესამე, სტალინი და მისი თანამებრძოლები რომ რევოლუციურ მოძრაობაში არ „გადაშვებულიყვნენ" და თავი არ „გაეგიჟებინათ", არ იარსებებდა საბჭოთა კავშირი და იქნებოდა სოციალისტური, მაგრამ უნიტარული რუსული სახელმწიფო. საბჭოთა კავშირი, როგორც „ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური" რესპუბლიკების ერთობა, სტალინმა შექმნა, ქართული, და არა მარტო ქართული, ენისა და კულტურის გადასარჩენად. რუსეთის იმპერიაში შემავალი არარუსი ხალხების ენებისა და კულტურების გადარჩენის ამოცანა ლენინ-ტროცკის გეგმებში არ შედიოდა. მით უმეტეს, რომ ეროვნული პრობლემა საერთოდ გაკვრითაც კი ნახსენები არ იყო მარქსისა და ენგელსის თეორიაში. ამიტომ იყო, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც გულგრილად უგულებელყოფდნენ მას (სანამ რევოლუციის შემდეგ ურუსეთოდ არ დარჩნენ და გახელისუფლებულნი იძულებით არ „გაპატრიოტდნენ"ძ. სტალინი პირველი და ერთადერთი გახლდათ მარქსისტებს შორის, რომელმაც ეროვნულად გადაამუშავა მარქსიზმი („მარქსიზმი და ეროვნული საკითხი"ძ და აიძულა ლენინი, ტროცკი და სხვა დერჟიმორდა რუსები, რომლებსაც მთელი ცხოვრება ებრძოდა, რომ, რუსულ-სოციალისტური იმპერიის ნაცვლად, ეროვნულ-სოციალისტური სახელმწიფო დაემკვიდრებინათ. ამრიგად, იოსებ სტალინმა საბჭოთა კავშირის შექმნით, სოციალურ სამართლიანობასთან ერთად, სახელმწიფოებრიობა, ენა და კულტურა გადაურჩინა ქართველ და სხვა არარუს ხალხებს.

სოციალურ პრობლემასთან ეროვნულის დაკავშირების საკითხში სტალინი ილიადან ამოვიდა. ილია ჭავჭავაძე, განსხვავებით, ერთის მხრივ, სოციალ-დემოკრატებისაგან და, მეორეს მხრივ, ეროვნულ-ფეოდალისტებისაგან, რომელთაგან პირველნი უგულებელყოფდნენ ეროვნულ საკითხს, ხოლო მეორენი – სოციალურ საკითხს, – ერთ

ფოკუსში აქცევდა ეროვნულ და სოციალურ პრობლემატიკას. მოვუსმინოთ პავლე ინგოროყვას: „რაც მთავარია, ილიამ „აჩრდილში“ (ამირან გაბისონიას მარქსის „აჩრდილი“ არ ეგონოს! - ო.ხ.) სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია და დაუკავშირა რა ერის განთავისუფლების საქმე შრომის განთავისუფლების საქმეს, — გარკვეული სამოქმედო პროგრამა დასახა“ (იხ. მისი ნარკვევი „ილია ჭავჭავაძე“).

ზემოხსენებული სამი მიმდინარეობიდან ყველაზე ანაქრონული და უპერსპექტივო ფეოდალ-„პატრიოტთა“ პოზიცია იყო, რადგან იგი ანგარიშს არ უწევდა არც ეპოქის მოთხოვნას და არც გეოპოლიტიკურ ვითარებას. რუსეთის კლანჭებიდან რომც თავი დაეღწია, საქართველო უდავოდ ირან-ოსმალეთის კლანჭებში აღმოჩნდებოდა (ამერიკულ-ევროპული ალტერნატივა იმხანად არ არსებობდა). რუსეთი იმით იყო „მცირე ბოროტება“, რომ მის ფარგლებში საქართველო გაერთიანებული მაინც იყო; ირან-ოსმალეთის ბოროტება კი მას კვლავ აღმოსავლეთ-დასავლეთად გაყოფას უქადდა. ამ მხრივ, სოციალ-დემოკრატების პოზიცია უკეთესი გახლდათ, რამდენადაც რუსეთთან დარჩენას გულისხმობდა. შექმნილ ვითარებაში ყველაზე გონივრული და პერსპექტიული ილიას გზა იყო, რომელიც რუსეთის ფარგლებში ავტონომიის მოპოვებას ესწრაფოდა, რაც ქართველ ხალხს ეროვნულ თვითმყოფადობასაც შეუნარჩუნებდა, ქვეყნის ერთიანობასაც უზრუნველყოფდა და საგარეო საფრთხიდანაც დაიცავდა.

ამ ვითარებაში, ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილმა, თავისდა სასახელოდ, ილიას სამოქმედო პროგრამა აირჩია, რაც საფუძვლად დაედო მის მიერ შექმნილი საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სოციალისტურ სტრუქტურას. ამასთან, მცირე ერები, დიდი რუსი ერის შოვინიზმისაგან დასაცავად, ინტერნაციონალიზმის ფარით უზრუნველყო. გავრცელებულია აზრი, თითქოს დიდი ერის ნაციონალიზმისაგან თავის დაცვის საშუალება მცირე ერის ნაციონალიზმი იყოს. მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. მცირე ერის ნაციონალიზმი დიდი ერის შოვინიზმს კიდევ უფრო ამწვავებს, რაც საბედისწერო ხდება მცირე ერისათვის. დიდ ერებს ნაციონალიზმებისა არ ეშინიათ. ამიტომ მცირე ერისათვის საუკეთესო გამოსავალი ორმხრივი ინტერნაციონალიზმია. იგი ფარია მცირე ერისათვის დიდი ერის შოვინიზმის მიმართ. მაგრამ არ გინდა ინტერნაციონალიზმის არტახებში ჩასვა დიდი შოვინისტი რუსი ერი?! სტალინს ეყო ძალა, მოეხერხებინა ეს. მაგრამ ჩვენ არ გვეყო ძალა, შეგვენარჩუნებინა იგი. და ქვეყანა ეთნოკონფლიქტების ჯოჯოხეთში ჩაიძირა.

საბჭოთა კავშირი, მიუხედავად მისი სამართლებრივი არასრულყოფილებისა, უნიკალური სახელმწიფო იყო კაცობრიობის ისტორიაში, ეროვნული და სოციალური პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით (უფასო განათლება, უფასო მკურნალობა, უფასო იურიდიული მომსახურება, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფა, სიმბოლური და სტაბილური ფასები პროდუქტებზე, ტრანსპორტზე, ტელეფონზე და ა.შ.). ამ მხრივ, მას დღევანდელი ევროკავშირი თუ გაუწევს მეტოქეობას, ოღონდ უფასობაზე — ბოდიში! საბჭოთა კავშირს სამართლებრივი სრულყოფა სჭირდებოდა, რისთვისაც ქართველებს, რუს და სხვა არარუს ხალხებთან ერთად, ერთობლივად უნდა ევლვაწათ. სწორედ ამას გულისხმობდა მერაბ მამარდაშვილი, როდესაც ამბობდა, „უმჯობესია, გარკვეული პერიოდი რუს ხალხთან ერთად ვიაროთო“. ამ აზრამდე მიდის დღეს ა.წ. 8 ნოემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი გულნარა სტურუაც: „იმპერიული შოვინიზმით გაჟღენთილი სახელმწიფოს გადამკიდე (რუსეთი ხომ ჩვენი მეზობელიაძ საქართველოს საშველი არ იქნება, სანამ რუსი ხალხი არ აირჩევს დემოკრატიის გზას“. ეს აზრი რომ 1989 წელს გაგვეთავისებინა, უკეთესი იქნებოდა. მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს, თუ ძალიან გვიანი არ არის.

დასავლელი პოლიტოლოგები გაშტერებული არიან თავიანთ მიერვე „ბოროტების იმპერიად“ შერაცხილი საბჭოთა სახელმწიფოს მიერ, რუსეთის სახსრებით, მოკავშირე რესპუბლიკებში ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის აღმავლობაზე ზრუნვით:

„იმის შეფასებისას თუ რა გაიღეს და რა მიიღეს ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკებმა განვითარების საბჭოთა მოდელით, ალეკ ნოუვი და ჯ. ნიუთი ასკვნიან, რომ საბჭოთა რესპუბლიკები არ უნდა იქნენ განხილული როგორც კოლონიები, რადგან მაშინ, როცა კოლონიური სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია კოლონიათა ეკონომიკის გამოყენება, მათი სამრეწველო განვითარების შეზღუდვა, კაპიტალდაბანდებებიდან მაქსიმალური მოგების მიღება და ა.შ., საბჭოთა კავშირი ყველანაირად ხელს უწყობდა მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველობაში დიდ კაპიტალდაბანდებებს და რაც ყველაზე საოცარია, ეროვნულ რესპუბლიკათა სამრეწველო განვითარების ფინანსირებისთვის სახსრებს თავად რუსეთი იღებდა, შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი კი ხმარდებოდა ადგილობრივ მოთხოვნილებებს, რაც არსებითი ფაქტორი იყო რესპუბლიკათა ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში... მოკავშირე რესპუბლიკათა სწრაფი ინდუსტრიალიზაცია — მათი აზრით — საეჭვო იქნებოდა თავისუფალი კონკურენციის შემთხვევაში, ის იყო „საბჭოთა მთავრობის სამრეწველო იდეოლოგიისა“ და წინათ ჩამორჩენილი ხალხების განვითარებისადმი განსაკუთრებული ყურადღების შედეგი“ (ა.ათანელიშვილი, „სოვეტოლოგები საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ“, თბილისი, „მერანი“ 1991, გვ.37-38).

იქნებ საქართველო იყო სხვა რესპუბლიკებზე უფრო დაჩაგრული?

ბელგიელი კავკასიოლოგი სავატორე დი როსა ასე აღწერს საქართველოს მდგომარეობას საბჭოთა პერიოდში: „საქართველოში მოიპოვებოდა ყველა სიკეთე: მანდარინი აფხაზეთიდან, კაკალი, კარალიოკი, გემრიელი ხორცი, მწვადი, წარმტაცი ღვინო, ჩინებული არაყი და ჭაჭა, ქართული ხუმრობა და მხიარულება გადმოჩქეფდა ნაკადულებად. იყო ქეიფი და კარგი განწყობილება. აი, ასეთად აღიქვამდა მთელი საბჭოთა კავშირი საქართველოს: პატარა სამოთხედ“ (ბელგიური ჟურნალი Humo, №34, 19.08.2008; თარგმანი იხ. „სრ“ 18.09.2008).

ერთი რამ კი ნამდვილად ვერ გავიგე ბ-ნი ამირან გაბისონიას ნათქვამში: ყოველივე იმ „უბედურების“ შემდეგ, რაც სტალინმა დაგვმართა, რატომ არის იგი „წინააღმდეგი“ სტალინის ძეგლის აღებისა, მაგრამ, ჩანს, ესეც ავტორის ხერხია: ადამიანებს უკუღმა უთხრას, რომ წაღმა გაიგონ!

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე

*P. S. ამ სტრიქონების ავტორი არც სტალინისტია და არც ბერიას აპოლოგეტი. იგი რეპრესირებული ოჯახიდან არის გამოსული. ჩემი ალალი ბიძა იაკობ ხახაშვილი, თიანეთის რაიონიდან, მამის ღვიძლი ძმა ავბედით 37-ში დაიჭირეს და დახვრიტეს. ამის გამო, ცხადია, არც მამა და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრი კომუნისტურ პარტიას არასოდეს გაეკარებივართ. მაგრამ ობიექტურობა საჭიროა სწორი აზროვნებისათვის. ამასთან, იგი პიროვნების ღირსების საკითხიც არის, ბედნიერების საკითხიც, რამდენადაც ბედნიერება ხშირად სწორ აზროვნებასა და ღირსებაზეა დამოკიდებული.*

*ო. ხ.*

◎ რასაც გვიშვებიან

# მწარმოებს თუ ფეხებზე ჰკიდიხართ, კანონმა მაინც დაგვიცვას!

***ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიკული ზემოქმედება და კანის გაღიზიანება — როგორ გგონიათ, პატივცემულო მკითხველო, რას შეუძლია ასეთი დაუნდობელი „წყვილით“ კაცის „დასაჩუქრება“? რას და თხევადი გაზის დაწვის შედეგად ჰაერში გამოფრქვეულ ნაწვავს. არადა საქართველოში თხევადი გაზის უმეტესი ნაწილი, რომელსაც ჯერ კიდევ მოიხმარს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, აზერბაიჯანიდან, კერძოდ ქალაქ სუმგაითის ნავთობქიმიური ქარხნიდან შემოაქვთ.***



ეს თხევადი გაზი ბუთილენ ბუტადიენის ფრაქციას წარმოადგენს, რომელიც ადამიანზე ზემოქმედებით მეოთხე (ანუ მაღალი ხარისხის) რიგის საშიშროებას წარმოადგენს, როცა მისი შემცველობა ჰაერის კუბურ მეტრში ას მილიგრამს გადააჭარბებს.

ამ საკითხს საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ხელმძღვანელობამ. გავრცელებულ პრესრელიზში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ **ამ პროდუქტის გამოყენება საყოფაცხოვრებო, კერძოდ, ოჯახურ პირობებში, ყოვლად დაუშვებელია.** პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ საქართველოს ეროვნული სტანდარტის „აირები, ნახშირწყალბადური გათხევადებული საწვავი საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის“ მიხედვით, რომელიც 2000 წლის 15 ოქტომბერსაა მიღებული, **ძირითადი შემადგენელი კომპონენტების შემცველობის მიხედვით გამოიყენება მხოლოდ სამი მარკის გათხევადებული ნახშირწყალბადური (ანუ თხევადი) გაზი, კერძოდ, ტექნიკური პროპანი, ტექნიკური პროპანისა და ტექნიკური ბუტანის ნარევი და ტექნიკური ბუტანი.** როგორც ხედავთ, **ბუთილენ ბუტადიენის** ფრაქციის ხსენებაც არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ **ქვეყნის ეროვნული სტანდარტის მიხედვით მისი გამოყენება საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის აკრძალულია.**

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ ერთი, ჩვენი აზრით, ერთობ კურიოზული გარემოება (სხვა, უფრო „მძიმე“ გამოთქმა რომ არ გამოვიყენოთ): **აღნიშნულ პრესკონფერენციას, მიწვევის მიუხედავად, არ დასწრებიან არც ჯანდაცვის, არც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების წარმომადგენლები, რომლებიც სისხლხორცეულად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტაში.** კიდევ ერთი გასაკვირი მომენტი იყო იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენლის განცხადება, რომ მათ ბუთილენ ბუტადიენის ნამწვავის ჰაერში გამოფრქვევაზე კონტროლის დაწესების იურიდიული უფლება არ აქვთ, რაც სავსებით ცხადს ხდის სათანადო კანონმდებლობის შემოღების აუცილებლობას.

თავის მხრივ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის წარმომადგენელმა, ამასთან დაკავშირებით განაცხადა:

— ჩვენი სამსახური სავსებით იზიარებს პრობლემის აქტუალობას. ტექნიკური გამოყენების თხევადი გაზი ნამდვილად მავნებელია ჯანმრთელობისთვის, ამდენად იგი მხოლოდ სათანადოდ ტექნიკურად აღჭურვილ ადგილებში უნდა გამოიყენებოდეს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამის კონტროლი სცილდება ინსპექციის კომპეტენციის ფარგლებს, ამდენად ჩვენ არ გვაქვს უფლება შევამოწმოთ მისი ხარისხი, სერტიფიცირება, უსაფრთხოების სხვა პარამეტრები და მხოლოდ გასაღების თუ მოხმარების ადგილების ტექნიკური აღჭურვილობის წესრიგში ყოფნის შემოწმება გვევალება. ზოგადად კი მიგვაჩნია, რომ სტანდარტიზაციის საკითხი არამარტო თხევად გაზთან, არამედ სხვა ენერგოშემცველებთან დაკავშირებითაც უნდა გადაწყდეს და ამ პროცედურას საქსტანდარტი უნდა ახორციელებდეს, როგორც წინა წლებში ხდებოდა.

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა ექსკლუზიურ ინტერვიუში, კერძოდ, განაცხადა:

— როცა ეს საკითხი დავაყენეთ, ცხადია, მისი გადაწყვეტის გზაც გავიაზრეთ. **ესაა სახელმწიფოს მიერ კონტროლის დაწესება როგორც იმპორტული გაზის (და არა მარტო მის) განბაჟებაზე, ასევე შიდა მოხმარების პროცესზეც. უფრო კონკრეტულად რომ გითხრათ, განბაჟებისას მეწარმე ვალდებული უნდა იყოს წარმოადგინოს სათანადო საბუთი იმის თაობაზე, თუ სად იქნება გამოყენებული მის მიერ შემოტანილი პროდუქცია თავისუფალი ბაზრის პირობებში.** ამჟამად აზერბაიჯანიდან შემოტანილი თხევადი გაზი გამოიყენება მხოლოდ... კაუჩუკის წარმოებაში (!) იქნებ ვინმემ გვითხრას, თუ სად აწარმოებენ საქართველოში კაუჩუკს? იმ მოცულობის თხევადი გაზი კი, რომელიც სადღეისოდ საქართველოში შემოაქვთ, სადღეისოდ მოქმედი საწარმოებისთვის ნამდვილად მეტია, ამდენად ნათელია, რომ იგი იმთავითვე საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვისაა გამიზნული, რაც ყოვლად დაუშვებელია. მისი იმპორტის ერთ-ერთი სტიმული კი ის არის, რომ ადგილზე იგი იაფია, ხოლო განბაჟებისას აქციზის გადასახადით არ იბეგრება, რადგან ეს ქიმიური პროდუქციაა და არა ნავთობპროდუქტი, ამდენად მეწარმე მისი შემოტანით გაცილებით მეტ მოგებას ნახულობს, ვიდრე ხარისხიანი (ვთქვათ, ბაქოს №1 ქარხნის) პროდუქციის იმპორტირებისას. მოხმარების ბაზარი კი საკმაოდ ვრცელია — მარტო თბილისში თხევადი გაზის უამრავი მომხმარებელია, ამას რომ დავუმატოთ თხევად გაზზე მომუშავე ავტოტრანსპორტი, ის სოფლები და მთლიანი რეგიონებიც კი (მაგალითად, სამეგრელო, აჭარა), სადაც მოსახლეობას ბუნებრივი გაზი არა აქვს, თხევადი გაზის გამოყენების საერთო სურათი საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება. **რაც შეეხება პრობლემის გადაჭრის გზას, ესაა, ჩემი აზრით, სათანადო კანონმდებლობის შემოღება, რომელშიც ყველა საკითხი სავსებით ნათლად იქნება გაწერილი.**

**ოთარ ტურაბელიძე.**

◎ ინფორმაცია

## ჭიათურელმა პენსიონერებმა შიმშილობა შეწყვიტეს

**ჭიათურაში პენსიონერებმა შიმშილობა შეწყვიტეს, თუმცა აქციებს პერმანენტული ხასიათი ექნება.**

ეს გადაწყვეტილება სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის“ ე.წ. რეგრესის პენსიონერებმა „ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის“ წევრებთან შეხვედრის შემდეგ მიიღეს.

საპროტესტო აქციები ჭიათურაში ორ კვირაზე მეტია, იმართება. ხუთი დღე 20-მდე ქალბატონი შიმშილობდა კიდეც. საწარმოს 900-მდე პენსიონერი სხვადასხვა წლების დავალიანების დაფარვას ითხოვს.

აქციის მონაწილეებს დახმარებას პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანიც დაპირდა და შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდა. თუმცა, საწარმოს პენსიონერები აცხადებენ, რომ მაჭავარიანის არ სჯერათ და, შესაბამისად, შიმშილობა მისი თხოვნის გამო არ შეუწყვეტიათ.

ინტერპრესნიუსი



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №136

ზამთრის დღე მალე ილევა და უთუოდ მიმწუხრი იწყებოდა, რადგან ნამეტანი ჩამობნელდა და სამიკიტნოს მსახურმა, ღვინოსთან ერთად მოგვიტანა ანთებული ჭრაქი, რომელიც დაიდგა ჩვენს გვერდით, მაღალ კასრზე, ჭრაქის შუქმა კიდევ ახალი განწყობილება შექმნა და ჩვენ უზომოდ გაგვეხარდა.

– აი, ბაჯადო, – სთქვა ნიკამ – როგორ არ მიყვარდეს ქვეყნიერება! ქვეყნიერებაზე არსებობს აი, ეს – ნიკამ სამიკიტნოს თვალი მოავლო – ქვეყნიერებაზე არსებობს აგრეთვე ფიროსმანი, საწყალი ნიკალა ფიროსმანი!

– ვაშა ნიკა! ყოჩაღ, ყოჩაღ, ყოჩაღ! – თამამად ბრძანა:

– ჩვენ გეახლებით დიდი ადამიანის, საწყალი ნიკალა ფიროსმანის სადღეგრძელოს – უთუოდ რაღაც საერთო იყო ჩვენს სამიკიტნოში შექცევასა და ფიროსმანის მხატვრობას შორის.

მე რამდენჯერმე მინახავს და ხანგრძლივად ვმდგარვარ ფიროსმანის ტილოების წინაშე: ვხედავ, ნახელოვნევია სადად, უბრალოდ; სჭარბობს შავი ფერები, საზოგადოდ მუქი; ადამიანის სახეებიც როგორღაც დაბურულია და მე, მათ მნახველს, მუდამ ამვსია სული და გული წუხილით. მხოლოდ არ ვიცი, იმის გამო ხდებოდა ეს, რომ მე ვერ ვწვდებოდი მხატვარს, თუ პირიქით, მხატვარი თვით სწუხდა და მე მივწვდი.

ყოველ შემთხვევაში, რაკი ნიკამ ფიროსმანი ახსენა, ჩვენ უთუოდ მთვრალები ვართ. მაგრამ ჯერ კიდევ იყო სმენა და გაგონება.

თომა ფერეულს მეტად ტკბილი ხმა ჰქონდა და მან იცოდა ადამიანის თვალებში ჩახედვა. ბევრმა იცის ასე, მაგრამ უმრავლესობა, თვალებში რაღაცას დაეძებს, ზვერავს შიშველ სულსა და ეს არ არის სასიამოვნო, თომა არაფერს დაეძებდა; ჩაგხედავდა ნათელი, თითქო თბილი თვალებით; ასე ჩამხედა თომამ თვალებში და მითხრა:

– არის, ბაჯადო, შენში რაღაც ისეთი, რაც ადამიანის ყურადღებას იპყრობს და აჯადოებს, ჰო, ჩემო ბაჯადო! –

ეს იყო ჩემთვის მოულოდნელი; თუმცა შექება ძალიან მიამა, მე სიცილი არ შემიწყვეტია და თითქოს ჩვეულებრივი კარგი სიტყვა მითხრეს და მე მათთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმეცეს, ისე ვუპასუხე:

– გმადლობ თომა, დიდად გმადლობ! მაქვს იმედი თქვენი მეგობრობის, –

საბოლოოდ აივსო ჩემი სული სიხარულით და როდესაც მორიგი სუფრული წამოიწყეს (თუმცა ბიჭებს ერჩიათ ბობოქრობა – იძულებული იყვნენ ემღერათ დაბალი ხმით, რადგან თომა ასე მოითხოვდა), ნიკა გადმოიხარა ჩემსკენ და ჩამოაგდო ფიროსმანზე ლაპარაკი...

* * *

**გუნებრივია, რომ ვიქტორ ნოზაძის წინათქმაც და ფრაგმენტიც მოთხრობიდან მრავალი პასუხგაუცემელი კითხვის წინაშე გვაყენებს და მოთხრობის ავტორის ბიოგრაფიაში ღრმად ჩახედვის სურვილს აღძრავს, რაც სამწუხაროდ, დღემდე თითქმის შეუძლებელი გახლავთ.**

**„კვირაძალს საკითხავი“ სიამოვნებით გამოაქვეყნებს ცნო-**

# დაუმთავრებელი პორტრეტი

**„ვაი, როგორ დაღუპულხარ, მეგობარო კარგო, ისღა დამრჩა, შენი ხსოვნა მოგონებად ვქარგო“...**

**ლიტერატურული თვალსაზრისით, ძალიან სუსტი, მაგრამ ტკივილითა და გულწრფელი ლექსით გამოეხმაურა სრულიად უჩვეულო გარემოებაში დაღუპული თანამემამულის სტეფანე კასრაძის ხსოვნას ემიგრანტი ევტიხი აბულაძე.**

**ცხადია, ოდენ გულწრფელობა ლექსის ღირებულების საზომად ვერ გამოდგება ისევე, როგორც შეუძლებელია პოეტური სტრიქონების მიხედვით რეალური ფაქტების დანახვა და სწორად ახსნა, მაგრამ სტეფანე კასრაძეზე არსებული მასალის სიმცირის გამო, ჩვენ მაინც ვცადეთ სტრიქონებს მიღმა დაგვენახა ახალგაზრდა კაცის დღეს უკვე ბურუსით მოსილი ბიოგრაფიის შტრიხები.**

ლექსში, რომელსაც „სტეფანე კასრაძის ხსოვნას“ ჰქვია და რომელიც 1945 წლითაა დათარიღებული, მისი ცხოვრების ამბავთა აღწერა დასასრულიდან ანუ სიკვდილის დღიდან იწყება: აღსასრული უცხო მიწაზე; დანთხეული სისხლი იქ, სადაც არ ელოდა, არარსებული, სამუდამოდ დაკარგული საფლავი, დაუბრუნებელი წიგნები და ბოლოს, ავტორისგან მომავლის ვიზიონერების მცდელობა:

## გასული საუკუნის ცოცხნე დადიანი

**„და როს ზარი გამარჯვების შემოკრავს სიონში თქვენ ერთ ადგილს დაიკავებთ ქართულ პანთეონში“...**

„გამარჯვების ზარებში“ სავარაუდოა, რომ საქართველოს განთავისუფლება იგულისხმება, ხოლო რაც შეეხება ქართულ პანთეონს, იქ სამწუხაროდ, დღემდე არ გახმაურებულა სტეფანე კასრაძის ოდესღაც იმედისმომცემი სახელი. იგი, როგორც ჩანს, მოთხრობებს წერდა და პარიზში გამომავალ ჟურნალ **„კავკასიონის“** რედაქციას უგზავნიდა, მაგრამ რედაქტორმა **ვიქტორ ნოზაძემ** მხოლოდ 1954 წელს გადაწყვიტა მისი ნაღვაწის ნაწილობრივ გამოქვეყნება.



სტეფანე კასრაძის აზროვნების ფორმა და სულისკვეთება მისდამი მიძღვნილი ლექსის რამდენიმე ფრაზაშიც იკითხება.

მაგალითად:

**„შენ გინდოდა საქართველო ყოფილიყო დიდი, – აღმოსავლეთ-დასავლეთის შემაერთი ხიდი!..“**

დაახლოებით ათი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ პუბლიკაციას ვიქტორ ნოზაძემ მცირე შესავალი წარუმძღვარა:

**„სტ. კასრაძე დაიღუპა უკანასკნელი ომის დროს აღმოსავლეთის ფრონტზე. იგი დახვრიტეს გერმანელებმა. მან და დათიკო ღუდუმიძემ თავის თავზე მიიღეს ის სამხედრო დანაშაული, რაც ქართველმა ახალგაზრდებმა ჩაიდინეს და ამგვარად ათეული კაცი გადაარჩინეს. ეს იყო მათი მხრივ დიდი გმირობა და თავგანწირვა მოყვასისათვის... სტეფანე კასრაძის მოთხრობის ორი თავიც კი არ დამიბეჭდავს სრულად. ხელთ შემრჩა მხოლოდ მისი ანაბეჭდი და ახლა იმედი მაქვს, სრულად დავბეჭდო. არ მსურს დავუკარგო (აქამდე, ჩემს ხეტიალში თან ვატარებდი!) მისი ნაწერი, ამ ნათელ და თავდადებულ ადამიანს. ესაა მისი უკანასკნელი ნაშრომი.**

გთავაზობთ ფრაგმენტს

* * *



**ბებს ამ ახალგაზრდა მწერლის და მასთან ერთად დაღუპული დათიკო ღუდუმიძის შესახებ, რომელთაც გასული საუუნის 40-იან წლებში ცოტნე დადიანის გმირობის მსგავსი თავგანწირული ჟესტი გაიმეორეს.**



ნოემბრის თარიღები

## პავლე ინგოროყვას დაბადებიდან 115 წელი

# უხსოვარი საუკუნიდან მოსული თანამედროვე

**1959 წელს, მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის დროს რესპუბლიკის სტატისტიკურ სამმართველოში ერთი კაცი მისულა... პორტფელი გაუხსნია და მაგიდაზე რვეულები დაულაგებია. რვეულებში გასაოცრად ზუსტი ცხრილები და აღწერის მონაცემების შესანიშნავი ანალიზები ყოფილა ჩაწერილი. უცნობს ზოგი რამის დასაზუსტებლად დამატებითი ცნობები მოუთხოვია. უთქვამს: მინისტრთა საბჭოში ვიყავი და იქიდან თქვენთან მომასწავლესო. სამმართველოს მუშაკებს გაჰკვირვებიათ, ვინ უნდა იყოს, ყველაფერი რომ ასე ზუსტად იცის ან სახელმწიფოს საქმეში რატომ ერევაო, უკითხავთ კიდეც – „ვინ ბრძანდებითო“...**

**– მე ის კაცი ვარ, ვისაც ყველაფერი ეხება და ეკითხება, რაც საქართველოს შეეხებაო, – ყოფილა პასუხი. სამმართველოს მუშაკები ჩაფიქრებულან... ბოლოს ერთ მათგანს შეუბედავს:**

**– ბატონო, თქვენ პავლე ინგოროყვა ხომ არ ბრძანდებითო...**

**– დიახ, სწორედ ის გახლავართ, – უპასუხია მოსულს.**

* * *

იგი თითქოს ორ დროში ცხოვრობდა... უხსოვარი საუკუნეებიდანაც მოდიოდა და ჩვენი თანამედროვე იყო. თითქმის ას წლამდე იცოცხლა და წავიდა თავის დიდ წინაპრებთან, ისტორიაში... ჩვენ კი დაგვიტოვა წიგნები, რომელთა სიღრმესა და ხილვებით სავსე ნაფიქრ-ნააზრევს ყველაზე უკეთ, ალბათ, მომავალი თაობები ამოიცნობენ...

შემთხვევით ქვეყნად იშვიათად ხდება რაიმე და არც ისაა შემთხვევითი, რომ მისი პირველი ნაშრომი, რომელიც 1913 წელს წიგნად გამოიცა, „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“ იყო. ესაა VII-X საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია საუფლო და წმინდა მოწამეთა საგალობელნი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს უნიკალური ანთოლოგიის ორტომეული, მან ის ოცი წლის ასაკში გამოსცა, თითქმის ბავშვმა.

პავლე ინგოროყვა მთელი თავისი სიცოცხლით იყო დაკავშირებული ძველ ქართულ მწიგნობრობასა და საერთოდ, საქართველოს ისტორიასთან, მის დიდ სულიერ საწყისებთან. ხელნაწერები, წიგნები, ძეგლები მისი დაუსრულებელი კვლევის საგანი იყო. მეუდაბნოე ბერის გულმოდგინებით ჩაჰყურებდა საქართვე-

# უხსოვარი საუკუნიდან მოსული თანამედროვე



ლოს მუზეუმის სიძველეებში ფერგადასულ პერგამენტებს და მათი ქარაგმებიდან ჩვენი წინაპრების მდუღარე სულის უძვირფასესი ნააზრევი ამოჰქონდა, წმენდდა, კითხულობდა, უვლიდა. სწავლობდა და იკვლევდა როგორც ძველ, ისე ახალ ქართულ მწერლობას. ერთნაირი შთაგონებით წერდა როგორც ანტიკური მწერლობის, ისე ფეოდალური საქართველოს პერიოდის წერილობითი წყაროებისა თუ მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსთა – ილიას, აკაკის, ბარათაშვილის შემოქმედებით საკითხებზე.

ბრწყინვალედ იცნობდა ძველ ქართულ ღვთისმეტყველებას, ჰიმნოგრაფიას, ისტორიას, ფილოსოფიას, ჰაგიოგრაფიას...

მთელი თავისი ვრცელი ცხოვრების მანძილზე პავლე ინგოროყვა არ განშორებია რუსთაველის თემას...

პავლე ინგოროყვა იყო ბრწყინვალე რედაქტორი, მწერალი, მკვლევარი... საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ხელოვნების დიდი მცოდნე – მწერალთა კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის ერთ-ერთი დამაარსებელი. ძნელია ყველა დამსახურების ჩამოთვლა, რომელიც ბატონ პავლეს ქართველი ერის წინაშე მიუძღვის. მაგრამ აუცილებლად და საჭიროდ მიგვაჩნია გავიხსენოთ ერთი: 1921 წელს, იგი, როგორც ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტი, მონაწილეობდა კომისიაში, რომელსაც უნდა დაეზუსტებინა საქართველოს საზღვრები, კერძოდ, საზღვრები საქართველოსა და უცხოეთს შორის. აქ ბევრი რამ იყო სადავო. კომისიას ხელთ ჰქონდა ორი წინასწარ შედგენილი საორიენტაციო დოკუმენტი, პირველი იყო რუკა, რომელზედაც საზღვრები შემოხაზული იყო მსხვილად გავლებული ხაზით, ხოლო მეორე – ნარატიული ხასიათის განმარტება. ზოგჯერ ეს ორი დოკუმენტი არ ემთხვეოდა ერთმანეთს და აი, აქ იწყებოდა დავა. პავლე ინგოროყვამ ამ დავის დროს მოიტანა ისეთი ურყევი და უმტკიცესი იურიდიულ-ისტორიულ-გეოგრაფიული საბუთები, საერთაშორისო სამართლის ისეთი მუხლები, რომ უცხოელმა რწმუნებულებმა გაჩუმება არჩიეს. ჭეშმარიტება პ. ინგოროყვას მხარეზე იყო და ამ გზით მან ადრე დაკარგული მიწებიდან საქართველოს საკმაოდ დიდი ტერიტორია დაუბრუნა. ამ ამბის მოსმენის შემდეგ გიორგი ლეონიძეს უთქვამს: სულაც რომ არაფერი არ დაეწერა პავლე ინგოროყვას, მარტო ეს ამბავი ღირს იმად, რომ ქართველმა ერმა მას სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგასო.

* * *

– ᲓᲘᲐᲮ! პავლე ინგოროყვა იყო პიროვნება, რომელსაც უფლება ჰქონდა ეთქვა: **„მე ის კაცი ვარ, ვისაც ყველაფერი ეხება და ეკითხება საქართველოს შესახებო“.**

ამიტომაც იქცა იგი ლეგენდად, ქართველმა ხალხმა ისევე შეიყვარა მისი სახელი, როგორც უყვართ თავისი სათაყვანო პოეტები... ასეთი რამ კი მხოლოდ ერთეულებს ხვდომიათ. აუწერელი და აუწონავია მისი ღვაწლი. ძვირფასი და ხელშეუხებელია ყოველივე, რაც მან თავისი ქვეყნის უკვდავებისათვის გააკეთა და მაინც... ყველა ამ საგანძურიდან ჩვენ ისევ ერთ მთავარს გამოვყოფთ – მის ღვაწლს ძველი სასულიერო მწერლობის წინაშე: „გალობანი ვარძიისანი“ (თამარ მეფის საგალობელნი), თხზულება „იოანე შავთელის, 1206 წლისა“, „თამარ მეფის იამბიკონი“, ისევ „ლეონტი მროველი“, „სვანეთის საისტორიო ძეგლები“, „ეფრემ მცირე“, „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“... ძნელია ყველაფრის ჩამოთვლა... მზესავით გაბნია მან თავისი სული ამ ნაშრომებში. პავლე ინგოროყვა იყო პირველი, ვინც შეეცადა ამოეცნო ფარული აზრები „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაიდან“...

ხოლო „გიორგი მერჩულე“... ეს ხომ საოცარი ფანტაზიითა და სიყვარულით შექმნილი V-XI საუკუნეების საქართველოს პოეტური და არა მარტო პოეტური ნააზრევის, არამედ მთლიანად, მთელი ამ პერიოდის მხატვრულ-ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის ენციკლოპედიური ნაწარმოებია. ბერული თმენით, ასკეტის სულითა და დიდი შინაგანი სანათლით, ასევე დიდი სიყვარულით შექმნილია ეს საოცარი, ფასეულობითაც და მოცულობითაც უზარმაზარი წიგნი. ათას ნაბეჭდ გვერდზე მეტს შეიცავს იგი. წიგნი გამოქვეყნდა 1957 წელს. იგი ორ ნაწილიანია. პირველი ნაწილი ისტორიულია და ეძღვნება გიორგი მერჩულის ვინაობასა და მის აგიოგრაფიულ თხზულებას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება.“ მასში ვრცლადაა განხილული VIII-IX საუკუნეების საქართველოს ისტორია, გეოგრაფია... აღწერილია სამხრეთ საქართველოს და კერძოდ, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცენტრების მშენებლობა და ამ ცენტრების ლიტერატურული საქმიანობა, წარმოჩენილია მანამდე უცნობი არა ერთი საეკლესიო პირის ვინაობა და ღვაწლი.

და ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი უანგარო ღვაწლი მიუძღვის მას თავისი ქვეყნის წინაშე...

* * *

**ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲗᲐ და ანგელოზთა ხსენების დიდ დღეს აღესრულეთ, თქვენ, ბატონო პავლე... ეკლიანი, მაგრამ ნათელი იყო თქვენი გზა ამქვეყნად. ვალმოხდილი მიბრძანდებით და... თანამედროვეთა გულისტკივილთან ერთად, იმ უძველესი ქართული გალობის ხმები მიგაცილებენ, რომლის წვდომისა და ახსნის ურთულეს ხვეულებში მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე იკვლევდით გზას... დავიწყებას რომ სტაცებდით ყოველივე ქართულს, ჩვენი წარსულის ისტორიიდან, სიხარულით მოგეგებებიან დიდნი ხანძთელნი და ოპიზარნი, მოგეგებებათ დიდი დავითი... რამეთუ მათებრ ნათელი და თავადაც მათნაირი ბრძანდებით.**

**დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს... და თანდათან უფრო მაღლდებით თქვენ, ერთი იმ დიდ ქართველთაგან, უკანასკნელი წარმომადგენელი თქვენი თაობის დიდ მამულიშვილთა, მამულის მოამაგეთა...**

**ერთ ადამიანს ძნელად ძალუძს იმდენის შექმნა, რამდენიც თქვენ შექმენით. ძველი ქართული ტაძრების კედლებიდან გადმოსულ უსახელო ოსტატთა მსგავსი ბრძანდებით... მოდიოდით უხსოვარი საუკუნეებიდან და ჩვენი თანამედროვეც იყავით. კრძალვას ვგრძნობდით თქვენს დანახვაზე... წიგნებსა და პერგამენტებში ჩაძირულმა იცხოვრეთ და საქართველოს მზესაც ხედავდით, საქართველოს მომავალიც გწამდით...**

* * *

ᲡᲐᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡᲝᲓ ხსოვნაში ჩაგვრჩა ის უკანასკნელი დღე მწერალთა კავშირის დარბაზში... თქვენი ფერმკრთალი – ზეცისკენ ზეაწეული სახე... თითქოს რაღაც, ჩვენთვის მიუწვდომელს, ამაღლებულსა და არამიწიერს უსმენდით. დაუტევეთ ყოველივე ამქვეყნიური... მსუბუქი იყოს თქვენი კუბო, როცა იგი ერთმანეთის მონაცვლეობით მამაკაცებთან ერთად ქალების ხელში გადადიოდა... მანქანას არ დაანებეს, ასე მიიტანეს დიდუბის პანთეონში და ღვთისმშობლის შობის ტაძრის ზარების გუგუნში თქვენი ამქვეყნიური სიამეთაგან განდგომილი მეუდაბნოეს მსგავსად, კარგა ხნის განდგომილი სხეული წმინდა მიწას მიაბარეს. დიდუბის ეკლესიის ზარებმა ამცნეს პირველად იქ განსვენებულ ნათელ სულებს თქვენი მიახლოება.

* * *

ᲛᲐᲨᲘᲜ რადიოკომიტეტში ვმუშაობდი.

სულ რამდენჯერმე თუ მოსულა სტუდიაში ბატონი პავლე. ერთხელ ძველი ქართული საგალობლების შესახებ და ერთხელაც გალაკტიონ ტაბიძის გარდაცვალების დღეებში. ასეც გვითხრა, გალაკტიონის გამო, თორემ მიჭირს მიკროფონთან საუბარიო. ორივე ჩანაწერი დღეს რადიოს „ოქროს ფონდშია“. რაც შეეხება წერილს „მუსიკა გაცოცხლებული ათასი წლის შემდეგ“, იგი გამოქვეყნებულიცაა, ხოლო სიტყვა გალაკტიონზე, თვით მისი ხელნაწერიც, ჩემთან დარჩა...

აი, ასეთია ეს სიტყვა:

*„მთაწმინდა ჩაფიქრებულა, შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა!*

*მთაწმინდა, ქართველი ერის ჩვეული შვილების წმინდა სავანე, დღეს მიიბარებს დიდი ქართველი პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის ნეშტს.*

*გვშორდება დღეს გალაკტიონი, როგორც ადამიანი, ქართველი ხალხის ღრმა მწუხარებით და მწვავე გულისტკივილით აცილებს უკანასკნელ გზაზე ტრაგიკულად დაღუპულს თავის საყვარელ შვილს.*

*მაგრამ გალაკტიონი კი არ შორდება თავის მშობელ ერს, არამედ იგი ამიერიდან იჭერს თავის მუდმივ ადგილს ქართველი ერის უკვდავების საგუშაგოზე.*

*უკვდავია გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, ჩვენ, მისნი თანამედროვენი, ვუსმენთ მას, როგორც მოჯადოებულნი. ვინ მიანიჭა ქართულ სიტყვას ასეთი ბრწყინვალება! ვინ აამღერა ქართული სიტყვა, ჩვენი ლამაზი დედაენა, ასეთის სინაზით, ასეთის მომხიბლავის მუსიკალურობით!*

*ამიერიდან ქართული პოეზიის ცაზე, ამ დიდ მნათობთა გვერდით მთაწმინდაზე ამობრწყინდება ახალი ვარსკვლავი პოეზიისა, ჩვენი საყვარელი გალაკტიონი...“*

* * *

**ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ წერს: „სხვა არაფერი უნდოდა, არც მოუთხოვია. გრიგოლ ხანძთელის შინაგანი სინათლით იყო განათებული. მასაც მეუდაბნოე ბერის შინაგანი რწმენა ეწეოდა თავდაუზოგავი, თავდავიწყებული შრომისაკენ. მან ისიც კი არ იცოდა, რომ მაგალითად იქცა დაუნჯებული, ცხოვრების ყაყანს განრიდებული, მეუდაბნოე მეცნიერის მაგალითით... საუკუნის აღმართში ჯვრის ზიდვა ასე ხანგრძლივად და ქედშეუხრელად, მხოლოდ ერთეულებმა შესძლეს...**

**...და ვინ იცის, ადრე თუ გვიან, ისევ მოვა ახალი მერჩულე რომ ტკივილი წმინდა მოხუცის დიდ საქმეთა, მსგავსად მისი ნაღვაწიც, სრული ზედმიწევნილობით აღნუსხოს, ღირსეულად შეაჯეროს, ბოლომდე ჩაწვდეს მისი ცხოვრებისა და საქმიანობის დედააზრს, რათა შთამომავლობას მათი გასაოცარი „ჭეშმარიტად თხრობილი“ ამბავი ამცნოს“.**

ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲙᲝᲑᲐᲚᲐᲫᲔ



ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲑᲐᲨᲔᲚᲘ, ᲞᲐᲕᲚᲔ ᲘᲜᲒᲝᲠᲝᲧᲕᲐ, ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲙᲝᲢᲔᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ
ᲜᲘᲜᲝ ᲮᲝᲤᲔᲠᲘᲐ
ᲓᲐ ᲙᲐᲮᲐ ᲥᲝᲠᲘᲫᲔ

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ბაქო თბილისს შეღავათიანი ფასების გარანტიას აძლევს

**აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიას განზრახული აქვს მიიღოს კონტროლი საქართველოს გაზის რესურსებზე. ამ მიზნით იქმნება სპეციალური კომპანია, რომელიც იმუშავებს ამ ქვეყანაში მიწოდებული ბუნებრივი გაზის განაწილებაზე.**

როგორც ჟურნალისტებს ინვესტიციის სამმართველოს უფროსმა ვაგიფ ალიევმა განუცხადა, ამჟამად საქართველოს აქვს გაზის იმპორტის რამდენიმე წყარო, ერთ-ერთი მათგანია შაჰდენიზის საბადო. ამას გარდა საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით სომხეთში მიდის რუსეთის გაზი.

„თუ ყველა ამ რესურსს შევაერთებთ, გამოვა ძალიან დიდი მოცულობა, და საქართველოს ნავთობგაზის კორპორაცია გადასცემს ამ მოცულობებს სპეციალურად შექმნილ კომპანიას ფიქსირებულ ფასად. მოხმარებაში დარჩენილ დეფიციტს დაფარავს საკუთარი გაზის მიწოდებით ჩვენი კომპანია", — განაცხადა ალიევმა. მისი სიტყვებით, ახალი კომპანია მოახდენს გაზის რეალიზაციას საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული მომხმარებელთა სოციალური ჯგუფის შესაბამისად.

გადაწყვეტილება ამის შესახებ მიღებული იქნა ამას წინათ ბაქოში გამართულ მეოთხე ენერგეტიკულ სამიტზე, ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებს რომ მიეძღვნა. მაშინ საქართველომ და აზერბაიჯანმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს აზერბაიჯანული გაზის საქართველოში მიწოდების შესახებ 2009 წელს. დოკუმენტს ხელი მოაწერეს კომპანიის პრეზიდენტმა როვნაგ აბდულაევმა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა ხუთი წლით მისი პროლონგაციის შესაძლებლობით კიდევ იმავე ვადით.

უნდა აღინიშნოს, რომ ბაქოც და თბილისიც კმაყოფილები არიან გარიგებით. „ეს დოკუმენტი საშუალებას მისცემს ჩვენს კომპანიას პირველი ხუთი წლის განმავლობაში ადგილი დაიკავოს საქართველოს გაზის ბაზარზე. შემდგომ კი კიდევ უფრო მეტად განიმტკიცებს თავის პოზიციებს", — მიაჩნია აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აზერბაიჯანმა მიიღო შესაძლებლობა, გააფართოოს თავისი ყოფნა საქართველოს ბაზარზე. რაც შეეხება თბილისს, მან მიაღწია ქვეყანაში ბუნებრივი გაზის გარანტირებულ მიწოდებას.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად აზერბაიჯანი არის საქართველოში ბუნებრივი აირის ძირითადი მიმწოდებელი. მიწოდებას ახორციელებს ზემოხსენებული კომპანია 1,5 მილიონი კუბური მეტრის ოდენობით დღე-ღამის განმავლობაში. კიდევ ერთ მილიონ კუბურ მეტრს საქართველო მიიღებს სამხრეთ კავკასიური გაზსადენით აზერბაიჯანულ საბადო შაჰდენიზიდან, აგრეთვე 10 პროცენტს რუსეთიდან სომხეთში მისი ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირებული საერთო გაზის მოცულობიდან. ამას გარდა საქართველოს მთელი რიგი დიდი საწარმოები პირდაპირი მოლაპარაკებით თავად ყიდულობენ რუსულ გაზს.

**სოხბეტ მამედოვი**

НЕЗАВИСИМАЯ



# არაოლიმპიური მიშკა

**სტამბოლში ევროპის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური ასამბლეის სხდომაზე საქართველო აპირებს დააყენოს საკითხი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სოჭიდან სხვა ადგილზე გადატანის შესახებ.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მისამართით გაგზავნილ წერილში ქართული მხარე ითხოვს, განიხილონ თამაშების მოწყობის მიზანშეწონილობის საკითხი იმ ქვეყანაში, რომელიც „შეიჭრა მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს ტერტორიაზე". საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩვენი გაზეთი დაარწმუნეს, რომ რუსეთისთვის XXII ზამთრის ოლიმპიური თამაშების უფლების ჩამორთმევის საქმეში საქართველოს გაუჩნდა მხარდამჭერები სხვა ქვეყნებიდანაც.




ევროპის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური ასამბლეის დღევანდელი სხდომა სტამბოლში, სადაც ჩამოვიდნენ რეგიონის ყველა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები, სკანდალური გახდა ჯერ კიდევ გახსნამდე. მის დაწყებამდე სამი დღით ადრე საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მიმართა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს თხოვნით, გადასინჯოს გასული წლის გადაწყვეტილება XXII ზამთრის ოლიმპიური თამაშების სოჭში გამართვის შესახებ. დიდი მოცულობის წერილში, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი და 16 ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი, აღნიშნულია, რომ „ქალაქი სოჭი, მიუხედავად მისი ღირსშესანიშნაობებისა, მდებარეობს ძალიან ახლოს ერთ-ერთ ყველაზე ფეთქებადსაშიშ ცხელ წერტილიდან — აფხაზეთიდან". ამას გარდა ავტორები მიუთითებენ, რომ „დღეისთვის საქართველოს ეს რეგიონი დაკავებულია რუსეთის მიერ, ხოლო 1990-იანი წლების დასაწყისში აქ რუსეთის ფედერაციის მდუმარე მხარდაჭერით მოხდა ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა".

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პასაჟი მიმართვაში ეძღვნება საქართველო-რუსეთის ურთიერთობის დღევანდელ სიტუაციას. მასში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ რუსი სამხედროები შეიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე პეკინში ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს, რის შედეგადაც ოლიმპიადა იმის ნაცვლად, რომ ყოფილიყო მშვიდობის სიმბოლო, „გამოიყენეს, რათა საერთაშორისო გაერთიანების ყურადღება გადაეტანათ შეჭრაზე". „საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის აფხაზეთი, იქნა ოკუპირებული. ასობით უდანაშაულო მოქალაქე დახოცეს, ათასობით დაიჭრა, ათეული ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე კი გახდა ეთნიკური წმენდის მსხვერპლი", — ნათქვამია წერილში. წერილში ბრალს სდებენ რუსეთს აფხაზეთის უკანონო გამოყენებაში, როგორც წყაროდ, „საიდანაც გააქვთ სხვადასხვა სახის ნედლეული სოჭის ოლიმპიადის ობიექტების მშენებლობისთვის". მიმართვის ავტორები ამტკიცებენ, რომ აგვისტოს მოვლენებმა სოჭი გადააქციეს გაზრდილი რისკის ზონად.

როგორც ჩვენმა გაზეთმა გამოიკვლია, თბილისმა ჯერ კიდევ ვერ მოძებნა მოკავშირეები რუსეთთან ოლიმპიურ დაპირისპირებაში. სდუმან საქართველოს მეგობარი ბალტიისპირა რესპუბლიკები. ლატვიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესმდივანმა ილზე აკივიკნემ კორესპონდენტს განუცხადა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება სოჭის ოლიმპიასთან დაკავშირებით აქ მიიღეს განხილვის გარეშე. „ჩვენ ვცდილობთ, არ ავურიოთ სპორტი პოლიტიკაში და არ ვხედავთ იმის აუცილებლობას, რომ განვიხილოთ ეს საკითხი".

თავად საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ასევე თავს იკავებენ ამ განცხადებასთან დაკავშირებით. კომიტეტის თავმჯდომარე ემანუელ მორომ გუშინ მხოლოდ დაადასტურა წერილის მიღების ფაქტი. ამ დროს კომიტეტის ერთ-ერთმა უხუცესმა წევრმა ვიტალი სმირნოვმა ეჭვი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ინიციატივა საერთოდ თუ იქნება განხილული.

საქართველოს მოქმედებაზე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში მშვიდი რეაქცია მოახდინეს. „სიტუაცია აფხაზეთში და მთლიანად რეგიონში კონტროლის ქვეშაა. არავითარ საშიშროებას ჩვენ ვერ ვხედავთ — სოჭში მიმდინარეობს გეგმიური სამუშაოები ოლიმპიადის გამართვისთვის საჭირო ობიექტების მშენებლობის დროულად დამთავრების უზრუნველსაყოფად. უბრალოდ, საქართველო პოლიტიკური მოტივებით ცდილობს ითამაშოს რუსეთის წინააღმდეგ".

**ვლადიმირ სოლოვიოვი**

Коммерсантъ

# თავი დავაღწიოთ მითებს საქართველოს შესახებ

**ასე მოიქცა „ნიუ-იორკ ტაიმსი"; მის კვალდაკვალ ასევე მოიქცნენ ევროპელი მეთვალყურეები, ბი-ბი-სი და ენ-პე-ერი. იმათ და ბევრმა სხვამაც მოაწყვეს 7 აგვისტოს სამხრეთ ოსეთზე თავდასხმის ვითარებათა გამოძიებანი, ინციდენტისა, რამაც შემდეგ გამოიწვია რუსეთის ფართომასშტაბიანი შეჭრა საქართველოში 8 აგვისტოს.**

მაინც რა არის მთავარი დასკვნა? ომის დამწყები იყო საქართველო, მის სინდისზეა მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლე. ჩემი დასკვნა? ჩვენ ეს უკვე ვიცოდით. ჩვენ აგრეთვე დიდი ხანია ვიცით იმის შესახებ, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თამამი დამნაშავეა. ერთი წლის წინათ მან დაარბია დემონსტრაცია თბილისში, დააპატიმრა ოპოზიციის ლიდერები და დაანგრია სატელევიზიო არხი, რომელიც ეკუთვნოდა რუპერტ მერდოკს — მაშინ ვწერდი, რომ ეს, ალბათ, არ არის ყველაზე საუკეთესო საშუალება, გამოიწვიო პოზიტიური რეზონანსი მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. მე მეუბნებიან, რომ სააკაშვილს, რომელმაც მართლაც თავიდან მოიშორა კორუმპირებული საბჭოთა ნომენკლატურა, ქვეყანას რომ მართავდა, ბევრი ღირსება აქვს. მაგრამ სიფრთხილე, გულითადობა, პატივისცემა, მშვიდობიანი ადამიანების სიცოცხლისადმი და დემოკრატიული ნორმებისადმი — ეს მისი საქმე არ არის.

ეს ყველაფერი მის შესახებ ვიცოდით ჩვენც და რუსეთმაც. სწორედ ამიტომ გასული წლის დიდი ნაწილი ისინი აღიზიანებდნენ და აშფოთებდნენ ქართველებს, ყრიდნენ მათ თვითმფრინავებს, ესროდნენ მათ პოლიციელებს, თავს ესხმოდნენ მათ სოფლებს — ყველაფერი ეს კეთდებოდა იმისათვის, რომ შეექმნათ ბელის კაზუსი სამხრეთ ოსეთში ან აფხაზეთში, კიდევ ერთ ნახევრადავტონომიურ მინიანკლავში, რუსეთის კონტროლის ქვეშ რომ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. ხოლო როდესაც სააკაშვილმა გააკეთა ის, რასაც ისინი მისგან ელოდნენ, ისინი მზად აღმოჩნდნენ ამისთვის. როგორც ერთმა რუსმა პოლიტიკოსმა აღნიშნა, მოსკოვის პასუხი არ ყოფილა იმპროვიზირებული რეაქცია საქართველოს მოულოდნელ თავდასხმაზე: „ის სისწრაფე, რითაც დიდი რუსული კოლონა შეიყვანეს საქართველოში, შავი ზღვის ფლოტის ოპერატიული ჯგუფის სწრაფი მოძრაობა, დიდი კონტინგენტის გაგზავნა აფხაზეთში, რომელსაც საქართველო თავს არ დასხმია, — ეს ყველაფერი, ალბათ, მიუთითებს საბრძოლო მოქმედებათა კარგად დამუშავებულ გეგმაზე". მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იყო ერთი პატარა შეცდომა. როგორც ამას წინათ რუსეთის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განუცხადა ასევე მაღალჩინოსან ევროპელს, „ჩვენ ველოდით, რომ საქართველო შეიჭრებოდა 8 და არა 7 აგვისტოს".

არ აქვს მნიშვნელობა: თავისი კარგად დაგეგმილი შეჭრის შემდეგ რუსებმა გააჩანაგეს საქართველოს სოფლის რაიონები, სისტემატურად ანადგურებდნენ ნავსადგურებსა და ქარხნებს და ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას; მათი ტანკები შევიდნენ ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, თითქოს მზად იყვნენ თბილისი მოეკვეთათ მათგან. თუმცა, საბოლოო ჯამში, მათ არ აუღიათ დედაქალაქი, ეჭვი არ მეპარება, რომ მათ სურდათ ეჩვენებინათ — რა შეუძლიათ გააკეთონ, თუ მოისურვებენ. ოპერაცია აღმოჩნდა წარმატებული: რუსები დაბრუნდნენ სახლში, გამოაცხადეს თავიანთი თავი სამხრეთ ოსეთში ადამიანთა უფლებების დამცველად, 20-ჯერ გაზარდეს იმ მშვიდობიანი მოსახლეობის რიცხვი, რომლებიც დაიღუპნენ სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში და დაგმეს სააკაშვილი, მას უწოდეს „ცერეუს მარიონეტკა სოროსის ხარჯზე". ეს ყველაფერი დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ვიმეორებ ამას იმიტომ, რომ ვიცოდეთ რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, როდესაც ვლაპარაკობთ ამ სიტუაციის ნიუანსებზე; მისი მოყოლა უკანასკნელ ხანებში პროპაგანდის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა, უფრო ხელსაყრელია წარმოვაჩინოთ საქართველო ერთ ციცქნად, გაბედულ და უდანაშაულო დემოკრატიულ სახელმწიფოდ, რომელმაც ამაყად უპასუხა ბოროტ რუსულ დათვს. „ჩვენ ყველანი ქართველები ვართ", — განაცხადა ჯონ მაკქეინმა. ასევე ხელსაყრელია წარმოვაჩინოთ საქართველო წვრილ დიქტატურად, ამერიკელების ბოროტ ლაქიად. უფრო მეტად მათთვის, ვინც ცდილობს „საქმე აწარმოოს რუსეთთან, როგორც ადრე", ეჭვი არ არის, უკიდურესად სასიამოვნოა აღმოაჩინონ, რომ დანაშაული პირველ რიგში ეკისრება საქართველოს.

სამწუხაროდ, არც ერთი ვერსია არ არის ზუსტი და ასეთად მას ვერ გახდის ვერავითარი ახალი „გამოკვლევანი" და „აღმოჩენები", რომლებიც შეეხება აგვისტოს ომს. სააკაშვილის თავდასხმა სამხრეთ ოსეთზე იყო კატასტროფა, რაც კიდევ უფრო გაამძაფრა მის შემდეგ ტრაბახულმა დღესასწაულებმა, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტმა მოაწყო. საზიზღარი პასუხი რუსეთისადმი აგრეთვე იყო სასწაულებრივი — როგორც ქართველებისთვის, ისე რუსეთისთვის, რომლის მეზობლებმაც ახლა უკვე ზუსტად იციან, თუ რას უნდა ელოდნენ მედვედევ-პუტინის რეჟიმისგან.

ეს არადამაკმაყოფილებელი, არაზუსტი სურათი გვიბიძგებს რთული დასკვნებისკენ, მაგრამ სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. მოკლევადიანი გეგმით ქართველებს უნდა გაეკეთებინათ ისე, რომ სააკაშვილი არ ყოფილიყო მოკლული ან ჩამოგდებული გადატრიალების შედეგად რუსეთის ხელშეწყობით. ხანგრძლივი დროით განსაზღვრულ გეგმაში ქართველებმა უნდა აირჩიონ ლიდერი, რომელიც შეძლებს უზრუნველყოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა. მანამდე კი დასავლელმა ლიდერებმა მხარი უნდა დაუჭირონ ქართულ დემოკრატიას და არა კონკრეტულ დემოკრატებს და მოამზადონ ერთიანი პასუხი რუსეთის სამომავლო სამხედრო ესკაპადებზე. და სანამ მღელვარებს პროპაგანდისტული ბრძოლები, ყურადღებით ვუმზიროთ მათ გვერდიდან.

**ენ აპელბაუმი**

washingtonpost

**რა დღეშიც ვართ**

***ახლა, როცა მსოფლიო ბიზნესი გლობალური კრიზისის კლანჭებში მოექცა, რაც უნდა საოცარი იყოს, საქართველოში ამ ეტაპზეც კი ბიზნესის განვითარება-გაფართოების რესურსები არ ილევა. სურსათთან, დენთან, გაზთან, წყალთან და ადამიანის არსებობის სხვა აუცილებელ წყაროებთან ერთად, საზოგადოება უმკურნალწამლოდ რომ ვერ იარსებებს, განა ამას დიდი მტკიცება სჭირდება? ჰოდა რა გასაკვირია თუ ამ რესურსს ჩაჭიდებული ფარმაცევტული კომპანიები კრიზისულ თუ ანტიკრიზისულ პირობებში პერმანენტულად მდიდრდებიან? თანაც თუ ამას ხელისუფლების უგუნურობის წყალობით ვალუტის კურსის უცაბედი რყევებიც დაემატა, იცოცხლე, მომენტს ხელიდან არ გაუშვებენ და ფულის ორმოში თავფეხიანად გადაეშვებიან.***

# თვითონ საავადმყოფო, სამკურნალწამლო ბიზნესი



## ესენი „ვანოს შოუს“ აფინანსებენ, ავადმყოფებს კი ატყავებენ

ასე მოხდა ამჯერადაც, ლარის კურსის ვარდნა ყველაზე ოპერატიულად მედიკამენტებზე აისახა. სავალუტო ბირჟაზე ლარის გაუფასურების პროცესი ჯერ დასრულებულიც არ იყო, რომ აფთიაქებში წამლებზე ფასები თვალის დახამხამებაში გაიზარდა. ამ უეცარი „გარდასახვის“ მომსწრე ბევრი მომხმარებელი, რომელიც აფთიაქში მედიკამენტის შესაძენად გამოზომილი თანხით მივიდა, პირდაღებული დარჩა. ასეთ სურათს ჩემდაუნებურად „ავერსის“ ერთ-ერთ აფთიაქში მეც გადავეყარე.

— შენ გაზრდას, შვილო, გრიპმა შემაწუხა და ერთი „ტაიქოლდი“ მომეცი, — სთხოვა ხანდაზმულმა ქალბატონმა კომპიუტერზე მოჩხაკუნე ქერა გოგონას, მერე საფულიდან ერთადერთი გადარჩენილი ორლარიანი ამოიღო და გაუწოდა.

— ორი ლარი არ ეყოფა, ქალბატონო, კიდევ უნდა დაამატოთ.

— ათიანს არ გეუბნები შვილო, საშაბიანი მომეცი.

— სწორედ მაგ სამაბიანს ვგულისხმობდი, თორემ ათაბიანს კაი ოთხი ლარიც უნდა.

— რას მეუბნები, — შეიცხადა მოხუცმა, — მაგას ადრე ყოველთვის ლარნახევრად ვყიდულობდი.

— ეგ ადრე იყო, ქალბატონო — მას შემდეგ წამლები ბარე სამჯერაც გაძვირდა. აი გუშინაც ზოგმა წამალმა 20 პროცენტით მოიმატა, ზოგმა — 25 პროცენტით და მეტითაც.

— კარგით, შვილებო, კარგით, თქვენ არაფერი გეტკინოთ და მე ისევ ცაცხვის ჩაის დავლევ, — მოიბოდიშასავით ჭაღარა ქალბატონმა და აფთიაქი თვალებში ცრემლმორეულმა დატოვა.

— ვაა, წამლის ფასებმა კიდევ მოიმატა, ეგ აღარ ვიცოდი? — გაიკვირვა სათვალიანმა მამაკაცმა, — აკი არაფერი გაძვირდებაო?

— ეგ ვინ გითხრათ? — დაინტერესდა კომპიუტერის გოგონა.

— ვინა და ამაღლობელმა, ბენდუქიძემ კიდე ცალკე დაგვაიმედა — ფასები რაც იყო, იგივე დარჩებაო.

— მე არ ვიცი, ბენდუქიძე რას შეგპირდათ, მაგრამ ჩვენ ფასები უკვე შეგვაცვლევინეს.

— რატომ?

— ლარი გაუფასურდა და იმიტომ.

— კი მაგრამ, როცა მყარდებოდა, რატო მაშინ არ უკლებდით ფასებს? — ხმას აუწია სათვალიანმა, — ვერაფერი გამიგია ამ მთავრობისა, ლარის გამყარებასაც ხალხის გასაყვლეფად იყენებენ და გაუფასურებასაც.

— რა არის ამაში გაუგებარი, ბატონებო, — სცადა კლიენტურის დაშოშმინება კაბინეტიდან გამოსულმა აფთიაქის თავკაცმა, — ჩვენ წამლები საზღვარგარეთიდან დოლარზე შემოგვაქვს, დოლარის კურსმა აიწია და შესაბამისად მედიკამენტების ფასებმაც.

— მაგრამ ეს წამლები ხომ ძველი შემოტანილია და ფასს დოლარის ახალი კურსის მიხედვით რატომ ანგარიშობთ? — დასვა კითხვა მომხმარებელთაგან რომელიღაც „ინტრიგანმა“.

მე პირადად, „ინტრიგანებს“ არასოდეს ვუსმენ და ამიტომ აფთიაქიდან გამოსვლა ვამჯობინე. საერთოდაც, რატომ უნდა დავუჯერო „არაკომპეტენტურ“ ადამიანებს, როცა გვყავანან ისეთი „კომპეტენტური“ სახელმწიფო მოხელენი, როგორიც, მაგალითად„ კახა ბენდუქიძეა. მისი აზრი ზუსტად „დაემთხვა“ ჩემსას, მან იმათ, ვინც ლარის კურსის გაუფასურებასთან და დოლარის გამყარებასთან დაკავშირებით, სამომხმარებლო ბაზარზე ფასების ზრდას ვარაუდობდნენ, არაკომპეტენტურები უწოდა და განაცხადა, რომ ფასების შენარჩუნებას თავისუფალი ბაზარი და კონკურენტული გარემო უზრუნველყოფსო.

ვერაფერს იტყვი, მით უფრო ვერ შეედავები ყოფილ სახელმწიფო მინისტრს ეკონომიკის დარგში. შეიძლება ბატონ კახას იმ მომენტში, როცა ამას ამბობდა, გამორჩა ან სულაც დაავიწყდა (რას იზამ, აგვისტოს ომმა ბევრი სახელმწიფო მოხელე დააბნია, ბევრსაც სკლეროზი დამართა), რომ ფასები უკვე გაზრდილი იყო და უკან ველარ მიაბრუნებდა, მაგრამ ეკონომიკური თეორიის საკითხებში რომ სწორუპოვარი ფალავანია (წონაც რომ ხელს უწყობს!), ამას ვერსად გავექცევით.

ვიცი, ზოგი მაინც შემეპასუხება: მაგ მამაცხონებულს, ყველაფერი რომ დაავიწყდეს, ის ხომ მაინც უნდა იცოდეს, ანტიმონოპოლიური კანონი და შესაბამისი სამსახური პირადი ინიციატივით რომ გააუქმა, ქვეყანაში თავისუფალი ბაზარი და კონკურენტული გარემო როგორღა იარსებებს? არადა ისეთ „თავისუფალ ბაზარს“, როგორიც საქართველოშია, რომელ დემოკრატიულ ქვეყანაში იპოვით? რამდენჯერ მსმენია, ამ წამლებს ყველა თავის ქეიფზე რომ ადებს ფასებს, ბოლოს და ბოლოს აფთიაქია თუ მიკიტნუმას დუქანიო? ამას, მე მგონი, უფრო „ავერსისა“ და „პსპ“-ს მესვეურთა გასაგონად ამბობენ, მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ, რომ აღნიშნული კომპანიები ქართული სამკურნალწამლო ბიზნესის გამორჩეული ლიდერები არიან. ჰოდა, თუ ლიდერები არიან, რაღას ვერჩით, ფასების ზრდაშიც ხომ უნდა ილიდერონ? მით უფრო ახლა, როცა ლარის კურსის მოულოდნელი ვარდნის გამო, ბიზნეს-კომპანიებმა აღარ უწყიან, ფასების ზრდის მარათონში რომელმა რომელს გადაუსწროს (!).

თუმცა, რას ავიჩემე ეს ლიდერები, ისეთებიც ხომ არიან, რომლებსაც „ავერსისა“ და „პსპ“-სთვის ლიდერობა ეცოტავება და მათ მონოპოლისტებად და მაფიოზებადაც კი ნათლავენ? ამ ორი დღის წინათ ერთი მწითური ლეიბორისტი ამტკიცებდა, მაგათი თავკაცები აფთიაქებში ფასებს ყოველდღიურად იმიტომ ზრდიან, რომ სამთავრობო კლანებთან არიან შეკრული და ღატაკი ხალხის (ძირითადად ავადმყოფების) კისრიდან ამოღებულ ფულებს თანაბრად ინაწილებენო.

მოდი და დაუჯერე, რას აღარ იტყვის განაწყენებული კაცის ენა, მით უფრო ოპოზიციონერისა. მე მათ ვეკითხები: კი მაგრამ, თუ მართლა მონოპოლისტები და ყაჩაღები არიან, ქველმოქმედებას როგორღა ეწევიან? წარმოიდგინეთ, ამაზეც აქვთ პასუხი: ქველმოქმედება უდიდესი მადლია, მაგრამ ეგენი ამას მადლის საქმნელად კი არა, მთავრობის უგუნური პოლიტიკისთვის ხალხის მისამხრობად და მათი გულის მოსაგებად აკეთებენო. ერთი სიტყვით, თვალთმაქცობენ, წამლებზე გაათმაგებული ფასებით ხალხს ტყავს აძრობენ, იმათ კისრიდან ამოღებული ფულის მცირე ნაწილს, ქვეყნის თვალის ასახვევად, ქველმოქმედებას ახმარენ, უფრო დიდ ნაწილს კი მსხვილ-მსხვილ ჩინოვნიკებთან ერთად ახრამუნებენო.

ეგ კი არა, სამკურნალწამლო ბიზნესში იმდენი ფული დაგროვდა, რომ მისი თავკაცები მთავრობის საამებლად სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, კინოსერიალებისა და ტელეშოუების დაფინანსებასაც აღარ თაკილობენ. აბა გაიხსენეთ, ტელეეკრანზე რამდენჯერ გინახავთ, რომ იგივე ზემოთ ნახსენები „ტაიქოლდი“, რომელიც იმდენად გაძვირდა, რომ ხალხი ველარ ყიდულობს, თურმე ამა და ამ ტელეგადაცემის სპონსორია, ხოლო ესა და ეს ფარმაცევტული კომპანია — „ვანოს შოუს“ აფინანსებს. ადამიანები ვანოს იაფფასიან იუმორზე უფასოდ კუჭკუჭებენ და ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ ამის საფასურს ფარმაცევტი ბიზნესმენი შემდეგ იქ, აფთიაქში, მათივე გახვრეტილი ჯიბიდან იღებს.

რას იზამ, ასე სცოდნია ბიზნესის გატაცებას, მით უფრო საავადმყოფო ქსელში, სადაც ავადმყოფებს ათმაგად გაძვირებული მედიკამენტებით მკურნალობენ, ხოლო თავად ბიზნესმენებს — ავადმყოფების ხარჯზე ნაშოვნი ფულის ტომრებით.

**ოთარ ხუციშვილი.**

**მოგვმართავენ, გვეკითხებიან**

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი. მამა გარდაცვლილი მყავს, რის გამოც დანიშნული მაქვს პენსია. ორ თვეში ვხდები 18 წლის, მეუბნებიან, პენსია მოგეხსნებაო. მართლა ასეა?**

**ნათია ბოჭორიშვილი**

**პასუხი:** მოქმედი კანონით, პენსია სტუდენტებს სწავლის დამთავრებამდე არ ეძლევათ. 18 წლის შესრულების შემდეგ, სამწუხაროდ, უწყდებათ.

* * *

**კითხვა: შესაძლებელია თუ არა ინდივიდუალური დავის განხილვა შემათანხმებელი პროცედურებით?**

**ლერი გაბიჩვაძე**



**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ინდივიდუალური დავის განხილვა შესაძლებელია შემათანხმებელი პროცედურებით, ინდივიდუალური მოლაპარაკების გზით ან სასამართლოს საშუალებით. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ამ გზით დავის განხილვა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს და მათ წარმომადგენლებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს დავა.

* * *

**კითხვა: თუ შეიძლება განგვიმარტეთ, მოქმედი შრომის კოდექსი როგორი წესით ითვალისწინებს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების გაცემას?**

**რევაზ ბოჭორიშვილი**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის II პუნქტის შესაბამისად, შრომის ანაზღაურება უნდა გაიცეს სამუშაო ადგილზე, თვეში ერთხელ.

* * *

**კითხვა: იბეგრება თუ არა ერთჯერადი მეცნიერულ-ინტელექტუალური შრომა და თუ იბეგრება თანხის რამდენი პროცენტით?**

**რუსლან ნოზაძე**

**პასუხი:** ერთჯერადი სამეცნიერო-ინტელექტუალური შრომა არ იბეგრება. მეცნიერთა ჯგუფს არ ევალება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადის რომელიმე სახის (მათ შორის საშემოსავლო გადასახადის) გადახდა.

* * *

**კითხვა: საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩემ შვილს მის მიერვე გამოგზავნილი თანხით ვუყიდე ბინა, რომელიც ჩემს სახელზე გავიფორმე. გთხოვთ, გამარკვიოთ, დამეკისრება თუ არა რაიმე გადასახადი და რა რაოდენობით?**

**თამილა საითიძე**

**პასუხი:** თქვენ, როგორც ბინის შემძენს, გადასახადის გადახდა არ დაგეკისრებათ, მაგრამ თუ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან ორი წლის განმავლობაში გაყიდით ბინას, უძრავი ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით, რომელიც შეადგენს 12 პროცენტს.

* * *

**კითხვა: ვმუშაობ შრომითი ხელშეკრულებით, მიმაჩნია, რომ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას დროულად და ხარისხიანად ვასრულებ. დამსაქმებელი მაინც უკმაყოფილოა ჩემი მუშაობით და დადებული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით მემუქრება. იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე და დახმარებისთვის ვის მივმართო?**

**გურამ ჯულუხაძე**

**პასუხი:** თუ თქვენი მხრიდან შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, დამსაქმებლის გადაწყვეტილება ყოვლად უმიზეზოდ ვადამდე შეგიწყვიტოთ ხელშეკრულება, არ იქნება მართებული. დაელოდეთ მოვლენების მსვლელობას, და თუ ნამდვილად, სათანადო საფუძვლის გარეშე ვადამდე შეგიწყვეტენ შრომით ხელშეკრულებას, მოტივირებული განცხადებით დაუყოვნელივ მიმართეთ სასამართლოს თქვენი კანონიერი უფლებების დასაცავად.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.
კოსტავას 12

◉ პრობლემა

***ჟურნალ „მასწავლებლის" პირველ ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში განათლების მინისტრი გიორგი (გია) ნოდია ბრძანებს: „ბოლო წლების მანძილზე განათლების სისტემაში ტექტონური ძვრები მოხდა, რის შედეგადაც სისტემის ზოგადი სტრუქტურა, შეიძლება ითქვას, უფრო ლოგიკური გახდა..."***

***ალბათ „ტექტონურ ძვრებში" „ტექტონიკურ ძვრებს" გულისხმობდა, მაგრამ რა მოაქვს ტექტონიკურ ძვრებს? თუ ეს ძვრები ძლიერია, დედამიწაზე დამანგრეველ მიწისძვრებს ვიღებთ (როგორც სპიტაკში იყო), ან საშინელ ცუნამს, ინდონეზიის თუ ინდოეთის სანაპიროებს რომ მიწასთან ასწორებს.***

# ჩვენ პროქართული განათლების სისტემა გვჭირდება და არა ტექტონიკური ძვრები ამ სისტემაში



სრულიად ვეთანხმები მინისტრის მოსაზრებას, რომ განათლების სისტემაში ტექტონიკურის მსგავსი ძვრები მოხდა და სწორედ ამიტომ მთლიანად დაინგრა, დაილეწა და მიწასთან გასწორდა მთელი განათლების სისტემა (დაწყებითი განათლების გარდაძ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც ხიროსიმასა და ნაგასაკში ორი ატომური ბომბის აფეთქებით განადგურებული იაპონია მიწასთან გახლდათ გასწორებული, ისეთი შიმშილი იყო ქვეყანაში, რომ ზოგი იაპონელი გარდაცვლილების ხორცით იკვებებოდა. რადგან დამხმარე არსაიდან ჩანდა (ალბათ ჰუმანიტარული დახმარებები მოდაში არ იყოძ, იაპონიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მთელი ბიუჯეტის 60 % განათლებისკენ მიემართა.

და სულ ორიოდე ათეული წელი დასჭირდათ, რომ იაპონია მსოფლიოს ერთ-ერთი ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო.

როდესაც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ აფხაზეთსა და შიდა ქართლში ჩვენს მიერ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ საკუთარი თავის გამანადგურებელი ორი ომი ჩავატარეთ, ეს ორი ომი იაპონიაში აფეთქებულ ორ ატომურ ბომბზე დამანგრეველი აღმოჩნდა. ჩვენ მორალურადაც გავნადგურდით...

ვხედავთ, რომ ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად განადგურდა, ყველა სტრატეგიული ობიექტი გავასხვისეთ, მთა-ბარი ტყეებითა და მდინარეებით გავყიდეთ და სინდისიც ზედ მივაყოლეთ, ქვეყანა მიწასთან გავასწორეთ და სამათხოვროდ გაშვერილი შიშველი ხელების ანაბარა დავრჩით.

კატასტროფა უკვე მოხდა. ხელისუფლებაც უუნარო აღმოჩნდა და ხალხიც — პასიური. ორივე გაწირულია მათხოვრობისთვის. ერთმა ხალხს პატიება უნდა სთხოვოს, მეორემ კი რაიმე სერიოზულის მოთხოვნის უნარიც კი დაკარგა.

დღეს აღარც უნივერსიტეტები გვაქვს და არც საშუალო სკოლები. საშუალო სკოლები საჯარო სკოლებად გადავაკეთეთ (ამერიკული „პაბლიკ სკულების" ორეულები, რომლებიც გონებრივად სუსტადგანვითარებული ბავშვებისთვისაა განკუთვნილიძ. რაც შეეხება უნივერსიტეტებს, ისინი არც სტუდენტთა კონტინგენტით და არც სასწავლო პროგრამებით ნორმალურ უნივერსიტეტს არ შეესაბამება. ჩატარებულმა კონკურსებმაც მნიშვნელოვნად დაადაბლა პროფესორ-მასწავლებელთა დონე (მრავალმა წამყვანმა პროფესორმა საერთოდ უარი თქვა ლექციების წაკითხვაზე სტუდენტების ძალიან დაბალი დონის გამოძ.

როგორ გამოვიდეთ ამ უმძიმესი მდგომარეობიდან? რა გზას დავადგეთ, როცა ჩვენი სამამულო მრეწველობა ისე დავანგრიეთ, რომ ჯართიც კი აღარ შეგვრჩა გასატანი?

პრეზიდენტმა სააკაშვილმა უცხოელ კორესპონდენტს განუცხადა, ათამდე მილიარდერი გვყავსო. სულ ცოტა ათჯერ მეტი მილიონერიც იქნება. მაშ, რატომაა ხალხი ასე გალატაკებული? იქნებ სწორედ იმიტომ, რომ ეს მილიონერები გამოვზარდეთ?

სამაგიეროდ, ჩვენი თანამემამულეებით გაივსო ევროპა, თურქეთი, ამერიკა. რა დღეში არიან ისინი? რამდენიმე ათეულ ან ასეულ მეცნიერსა და ხელოვანს თუ არ გავითვალისწინებთ, დანარჩენი ან მეძავობს, ან ქურდობს და ბანდიტობს, ან მოჯამაგირედ დაუდგა უცხოელ ბატონებს, ან ისეთ სამუშაოზე თანხმდება, რომელსაც ზანგები თაკილობენ...

მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა სასწავლებლად წავიდა ევროპასა და ამერიკაში, თუმცა მათი დაბრუნება საეჭვოა. სკოლის ახლანდელი მდგომარეობის შედეგად, ჩვენი ატესტატების ხარისხისა და ბავშვებისთვის მიცემული ცოდნის გამო, ევროპული დონის რამდენადმე ნორმალურ სასწავლებელში სწავლის გაგრძელება შეუძლებელია.

ბატონი მინისტრის ინტერვიუდან ვიგებთ, რომ სკოლის მთავარი პრობლემა „მმართველობის ახალი სისტემაა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის კარგად შეთვისებული". ამასთანავე, იგი აღიარებს, რომ „სკოლაში არაფერი მომხდარა სწავლის ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით"

არაა შეთვისებული და არცაა საჭირო. ჯერ ერთი, ქართული „სამეურვეო საბჭოები" ფუჭი სისტემაა და კორუფციის ახალ სისტემას ბადებს. რაც შეეხება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, სწორედ აქ მოხდა გამანადგურებელი ძვრები. რა გაუმჯობესებაზეა საუბარი, როცა სწავლების ხარისხი კატასტროფულად დაეცა? გადახედეთ დღევანდელ სახელმძღვანელოებს თუნდაც საბუნებისმეტყველო დარგებში და იმ სახელმძღვანელოებს შეადარეთ, რომლებითაც ოცი წლის წინათ სწავლობდით. განსხვავება ფანტასტიკურია: დღევანდელი სახელმძღვანელოები გონებასუსტი ბავშვებისთვისაა დაწერილი, ფერად-ფერადი სურათებით აჭრელებული და უამრავი შეცდომით გაძეძგილი.

მინისტრი მართებულად წერს, რომ „სერიოზული რეფორმების გატარება ბუნებით ისეთ კონსერვატიულ ორგანიზმში, როგორიც სკოლაა, ყოველთვის ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს".

ნამდვილად ნეგატიურს, მით უმეტეს, როცა რეფორმების შედეგად განათლების სისტემა ნადგურდება და როგორ და რით უნდა ახსნას მინისტრმა ასეთი რეფორმების აუცილებლობა?

იქნებ იმით, რომ საერთო ეროვნული გამოცდები ჩატარდა ძალზე დაბალი დონის ტესტური გამოცდებით? მართალია, უმაღლეს სასწავლებლებს კორუფციის საშუალება წაერთვა მისაღები გამოცდების დროს, მაგრამ ხალხმა ძალიან კარგად იცის, რომ კორუფციამ უმაღლესი სასწავლებლიდან გამოცდების ცენტრში გადაინაცვლა! ამის დასტურია არა მარტო ზოგიერთი მშობლის „პრივატული" განცხადება, არამედ ზოგი სტუდენტის არა მარტო სწავლის უკიდურესად დაბალი დონე, არამედ გონებრივი სისუსტეც, როდესაც სტუდენტს გამოცდაზე ერთი წუთის შემდეგ მარტივი წინადადების განმეორება არ შეუძლია.

რასაკვირველია, ტესტებს, სადაც კითხვები ელემენტარულია, ბევრი უპასუხებს. მაგალითად, რომელი სიტყვაა სწორი: ბავშვი, ბაშვი თუ ბავში? მაგრამ არის ისეთი შეკითხვებიც, რომლებიც არაკორექტულია და შეცდომებს შეიცავს.

ცხადია, შეცდომებიდან არავინაა დაზღვეული და მოსწავლის ცოდნისა და უნარის გამოვლენისთვის ზეპირი გასაუბრება იძლევა ყველაზე ობიექტურ შედეგს. მართალია, ამ დროს გამომცდელი წესიერიც უნდა იყოს და მცოდნეც. ასეთი გამომცდელების რაოდენობა კი ძალზე ცოტაა ჩვენთანაც და, მით უმეტეს, დასავლეთშიც. მახსოვს, როგორ შემომჩივლა საფრანგეთის განათლების სისტემის ერთმა ჩინოვნიკმა 1991 წელს: „ჩვენ სკოლებში 35 ათასი ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი გვაკლიაო"(?!ძ. ასეთივე ნაკლებობაა ამერიკაშიც, სადაც შევხვდი ეკონომიკური განათლების მქონე მასწავლებელს, რომელიც მერვეკლასელებს ფიზიკას ასწავლიდა. როდესაც ვკითხე, თუ როგორ შესძლებდა ბავშვისთვის აეხსნა მისთვის გაუგებარი ფიზიკური მოვლენა, მიპასუხა: „ეს სულაც არაა ჩემი საქმე. აქ, ნახეთ, რამდენიმე სახელმძღვანელოა და თუ პასუხი ვერ იპოვნა, ვისაც უნდა შეეკითხოს, მამისს, ბიძამისს ან სხვას. მე მხოლოდ ტესტებზე პასუხების შემოწმება მევალება ამ „გასაღებით", რომელსაც მის ტესტს დავადებ და სწორ პასუხებს დავითვლი".

ამდენად, ტესტების შემოღება სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ სკოლები შესაბამისი დონის მასწავლებლების დიდ ნაკლებობას განიცდიდა.

თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენ ამ მხრივ გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვქონდა, თუმცა ახლა ეს მდგომარეობაც მკვეთრად გაუარესდა.

ცხადია, მასწავლებელთა დონე აუცილებლად უნდა აიწიოს, მაგრამ ეს უმაღლესმა სასწავლებლებმა (და არა რაღაც სამთვიანმა კურსებმაძ უნდა შესძლოს, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელია უნივერსიტეტების განადგურების გამო. საკვალიფიკაციო გამოცდები დღეს უფრო სამთავრობო ჩინოვნიკებს, მათ შორის მინისტრებსაც სჭირდებათ, მაგრამ არც ამის შესაძლებლობაა. ამიტომ ისინი უნდა გამოიცვალონ და არა გადაადგილდნენ ერთი სავარძლიდან მეორეში.

რა უნდა გავაკეთოთ დღეს, რომ განათლების აღორძინება დაიწყოს?

ამას გონიერი ანალიზი სჭირდება და იმ კანონმდებლობის შექმნა, რომელიც არა მარტო მისაღები იქნება ფართო საზოგადოებისთვის, არამედ პირველ რიგში გაითვალისწინებს ქართველის ბუნებას, მისწრაფებებს, ტრადიციებს და ქართული სახელმწიფოს ინტერესებს. თუ ეს ვერ მოვახერხეთ, ახლო მომავალში არც ექიმი გვეყოლება, არც მეცნიერი, ინჟინერი და მასწავლებელი.

1991 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს ისრაელის განათლების სამინისტროს ოთხკაციანი ჯგუფი ესტუმრა. ვკითხე: „როდესაც თქვენ ახლად დაარსებული სახელმწიფო იყავით, რა განათლების სისტემა აირჩიეთ?"

„ჩვენ შევისწავლეთ თქვენი, გერმანული, ფრანგული, იაპონური და ამერიკული განათლების სისტემები და ვნახეთ, რომ არც ერთი ეს სისტემა არ გამოგვადგებოდა, რადგან ჩვენ ებრაელები ვართ. ჩვენ, ჩვენი ბუნებიდან გამომდინარე, განსხვავებული განათლების სისტემა შევქმენით", — განმიცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა.

მაშინ გამახსენდა მოსკოვიდან გადმოცემული ერთი სატელევიზიო ინტერვიუ, სადაც ნობელის პრემიის ლაურეატმა ამერიკაში გადასახლებულმა რუსმა ეკონომისტმა ლეონტიევმა კითხვაზე, თუ „რა ეკონომიკურ სისტემას ურჩევდით რუსეთს: ამერიკულს, იაპონურს თუ გერმანულს?", უპასუხა: რუსეთს ვურჩევდი, აერჩია იაპონური ეკონომიკური სისტემა, მაგრამ იმისთვის, რომ მან გაამართლოს, რუსეთში მხოლოდ იაპონელები უნდა ცხოვრობდნენო!"

გენიალური პასუხია.

რა განათლების სისტემა უნდა ავირჩიოთ? არც ერთი უცხოური განათლების სისტემის პირდაპირ, ბრმად გადმოტანა არ შეიძლება. ის არ გამოგვადგება, რადგან ჩვენ გერმანელები, იაპონელები ან ამერიკელები კი არა, ქართველები ვართ და განათლებისადმი ჩვენებური, სხვებისაგან განსხვავებული დამოკიდებულება გვაქვს. ჩვენ კი ამერიკელებმა თავს ის განათლების რეფორმა მოგვახვიეს (ამერიკული სამი უნივერსიტეტის გაერთიანებამ RTIძ, რომელიც ტანზანიაშიც ჩაატარეს. რაც მთავარია, ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და მსოფლიო კულტურას ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურა და სულიერი სიმდიდრე უნდა შევუნარჩუნოთ! ამდენად, ჩვენ ვალდებული ვართ, მათგან რამდენადმე განსხვავებული განათლების სისტემა შევქმნათ ყოველგვარი დამანგრეველი „ტექტონიკური ძვრების" გარეშე.

**მერაბ ჯიბლაძე.**
**„ქართული აკადემია".**

◉ ინფორმაცია

## თურმე თავდაცვის სფეროში პროგრესს მივაღწიეთ

**საქართველოს** თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში, სამხედრო პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე საქართველოს მიერ დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესით თავდაცვის სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შეფასებითი დოკუმენტის განხილვას დაესწრო.

საქართველოს დელეგაციას თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი მუჩაიძე ხელმძღვანელობდა.

სხდომაზე საქართველოს თავდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესები და სამომავლო გეგმები განიხილეს. ალიანსმა საქართველოს მიერ თავდაცვის სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და სამომავლო რეფორმების სამოქმედო გეგმები დადებითად შეაფასა.

## რუსები ოჩამჩირეში საზღვაო ბაზის მშენებლობას იწყებენ

**რუსეთის** ფედერაცია შავი ზღვის ფსკერის გამოკვლევას იწყებს. უახლოეს დროში სევასტოპოლელი მეზღვაურ-მყვინთავები აფხაზეთის პორტის ოჩამჩირის რაიონის აკვატორიაში შავი ზღვის ფსკერის გამოკვლევას დაიწყებენ. რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ოჩამჩირის რაიონის საზღვაო აკვატორიის გამოკვლევა რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტის ამ რაიონში ბაზირების საკითხის გასარკვევადაა საჭირო.

რუსული მედიას აფხაზ სეპარატისტთა ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებაც მოჰყავს, რომელიც მან რამდენიმე ხნის წინათ სოხუმში გააკეთა. მაშინ სერგეი შამბამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტის განთავსების შესახებ მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

მისივე თქმით, რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტის გემების ოჩამჩირის რაიონში ბაზირება სეპარატისტულ აფხაზეთს თავის საზღვაო საზღვრის უკეთ და საიმედოდ დაცვის საშუალებას მისცემს.

ჯი-ეიჩ-ენი

## სად გაქრა ექვსი მილიონი ლარი?

**სიღნაღის**, ლაგოდეხის და გურჯაანის მუნიციპალიტეტებისთვის გამოყოფილი ექვსი მილიონი ლარის არამიზნობრივად გახარჯვის ფაქტზე კახეთის საოლქო პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. როგორც „ადამიანის უფლებათა ცენტრიდან" იტყობინებიან, პროკურატურამ გამოძიება თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზე საქართველოს მთავრობის 327-ე განკარგულებით დაიწყო.

ინტერპრესნიუსი

**კალათბურთი**

# მადლობა ფედერაციას



**სუპერლიგის მორიგი ტურის შეხვედრები კალენდარის შესაბამისად კვირას უნდა გამართულიყო, მაგრამ კალათბურთის ფედერაციის მესვეურებმა გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ გიორგობის რელიგიური დღესასწაულის გამო ადვილი შესაძლებელია, სპორტის სასახლის ტრიბუნებზე სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო და მატჩები დღეისთვის გადმოიტანეს. გულშემატკივართა სახელით მადლობის მეტი რა გვეთქმის გათამაშების ორგანიზატორებისადმი – თამაშები ხომ, უპირველესად, სწორედ მაყურებელთათვის ტარდება.**

**რაც შეეხება XVIII ეროვნული ჩემპიონატის V ტურს, მისი განრიგი ასეთია:**

12:15 თსუ – „მაქაბი". 14:15. სსსუ – „ბათუმი". 16:15. „ავიამშენი" – „დინამო". 18:15. ნტდ – „ენერჯი ინვესტი".

დაგვეთანხმებით, მეტოქეთა ძალების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლა დებიუტანტების – სასოფლოელთა და ზღვისპირელთა დუელშია მოსალოდნელი, თუმცა, ვფიქრობთ, არც ქვეყნის მოქმედ ჩემპიონსა და მიმდინარე ასპარეზობის უმთავრეს ფავორიტს – რუსთავის გუნდს ელის იოლი გასეირნება ქართულ-აზერბაიჯანულ კლუბთან, მით უმეტეს, როცა ორივენი ჯერჯერობით უდანაკარგოდ გამოდიან.

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია გასაკვირად, რატომ შერაცხეს სუპერლიგისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის შესაბამისი რედაქციის თანამშრომლებმა დღის ცენტრალურ შეხვედრად „ავიამშენისა" და „დინამოს" მატჩი – ტელეაუდიტორიას ხომ მხოლოდ მისი პირდაპირი რეპორტაჟისთვის მოუწევს თვალის მიდევნება.

**ძიუდო**

# ევროპის დასალაშქრებად



**ზაგრებში (ხორვატეთიძ გუშინ დაიწყო და ხვალ დამთავრდება 23 წლის ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც მთავარი მწვრთნელის – ბორის ფირცხელიანის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ასპარეზობს:** ბეთქილ შუკვანი (60 კგძ, უჩა ხუციშვილი (66 კგძ, თენგიზ პაპოშვილი (73 კგძ, გიგა წიკლაური (81 კგძ, გიორგი ეპიტაშვილი (90 კგძ, დავით ლორიაშვილი (100 კგძ და ადამ ოქრუაშვილი (მძიმე წონაძ.

**ჭიდაობა**

# ოთხი მედალი სტამბოლიდან



**უზბეკური ჭიდაობა კურაში ძალიან წააგავს ქართულ ჭიდაობას, ამიტომ ჩვენი სპორტსმენები ხშირად მონაწილეობენ ამ სახეობაში გამართულ ტურნირებში.** ახლაც ახალგაზრდებმა სტამბოლში მსოფლიო პირველობაზე იასპარეზეს. აბსოლუტურ წონაში ოქროს მედალი გიორგი იაძემ მოიპოვა, ქალთა შორის თეონა სუხიტაშვილმა (70ძ მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ვაჟებში დევი ოსიშვილი (66ძ და გიორგი ჩიტაშვილი (73ძ ბრინჯაოს დაჯაბულდნენ.

**„სოჭი – 2014"**




# სოჭის ოლიმპიადას საფრთხე ემუქრება?

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სოჭში დაგეგმილი ოლიმპიადის სხვაგან გადატანას მოითხოვს.**

ამ საკითხს კომიტეტის თავმჯდომარე გია ნაცვლიშვილი ევროპის ოლიმპიური კომიტეტის ასამბელაზე დააყენებს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელი ემანუელ მორო ადასტურებს, რომ კომიტეტში საქართველოდან სოჭის ოლიმპიადის სხვა ქალაქში გადატანის თხოვნით ოფიციალური წერილი მიიღეს.

ქართული მხარის ოფიციალურ წერილში ნათქვამია, რომ 2014 წელს რუსეთის ქალაქ სოჭში ზამთრის ოლიმპიადის ჩატარება დაუშვებელია, რადგან ქალაქის უსაფრთხოება გარანტირებული არ არის.

**ინტერპრესნიუსი**

**ჭადრაკი**

# საპრიზოს შანსი შემორჩათ

**მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მეშვიდე ტურში საქართველოს ქალთა ნაკრები ესპანეთის გუნდს შეხვდა და წინა დღეს პოლონელებთან მარცხისთვის ჯავრი პირენეელებზე იყარა – ჩვენებმა ოთხივე შეხვედრა (ნანა ძაგნიძემ, ლელა ჯავახიშვილმა, მაია ლომინეიშვილმა და სოფიკო ხუხაშვილმაძ მოიგეს. დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა:** ჩინეთი – აშშ 2:2, გერმანია – იტალია 2:1, რუსეთი – პოლონეთი 2:2, ჰოლანდია – უკრაინა 0,5:3,5, ბულგარეთი – ინდოეთი 1,5:2,5. შვიდი ტურის შემდეგ 13 ქულით ჩინელები ლიდერობენ. ქულით ნაკლები აქვს უკრაინას. 11-11 ქულით III-VIII ადგილებს რუსეთი, აშშ, უნგრეთი, სერბეთი, პოლონეთი და ინდოეთი იყოფენ. საქართველოს ნაკრებს 10 ქულა აქვს.



ვაჟებში ქართველთა კვარტეტმა 3,5:0,5 სძლია შოტლანდიელებს. ბაადურ ჯობავამ, მიხეილ მჭედლიშვილმა და დავით არუთინიანმა პარტიები თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს, ზვიად იზორია კი მეტოქეს დაუზავდა. ახლა ჩვენებს 10 ქულა აქვთ და ერთპიროვნულ ლიდერს – სომხეთის ნაკრებს 3 ქულით ჩამორჩებიან. ქართველთა სამხრეთელმა მეზობლებმა ჩრდილოეთ მეზობლებს – რუსებს დაამარცხეს – აყრევინეს ფარ-ხმალი – 2,5:1,5. ასეთივე ანგარიშით გერმანიამ რუმინეთს სძლია, ინდოეთმა – საფრანგეთს, ამერიკამ – უნგრეთს. დაზავდნენ ჩინეთი – უკრაინა (2:2ძ და ინგლისი – აზერბაიჯანი (2:2ძ, ისრაელმა ესპანეთს მოუგო – 3:1.

შვიდი ტურის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, 13 ქულით სომხები მეწინავეობენ. 12-12 ქულა აქვთ გერმანიას, ისრაელსა და საფრანგეთს, თითო ქულით ნაკლები – რუსეთს, უკრაინას, ჩინეთს, ვიეტნამსა და ამერიკას.

**ინტერნეტიდან**

## ჩვენი მოთხოვნა ასე აღიქვეს




**საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის განაცხადს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სოჭიდან სხვაგან გადატანის თაობაზე ერთ-ერთი პირველი, რასაკვირველია, რუსეთი გამოეხმაურა პუტინის თანამებრძოლის, ვიცე-პრემიერის დიმიტრი კოზაკის სახით, სწორედ მას აქვს დავალებული ოლიმპიადის მზადების საკითხების კურირება.**

მისი თქმით, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის განცხადებას, „შეიძლება უწოდო სიგიჟე, რასაც ყურადღება არ უნდა მიაქციო. არ არის საჭირო ერბოკვერცხის ღვთის წყალობასთან არევა, სპორტი არ უნდა ავურიოთ პოლიტიკაში. სპორტი ცალკეა, პოლიტიკა – ცალკე და საჭირო არაა მათი ერთმანეთში არევა" – იტყობინება „იტარ-ტასსი".

საინტერესოა, ეს „სიბრძნე" ბატონ კოზაკს მხოლოდ ამ ჩვენებურ განცხადებაზე გაახსენდა?

## ქარავანი წინ მიიწევს

**იალქნიანი იახტებით დედამიწის გარშემო ლეგენდარული რბოლის VOLVO OCEAN RACE მონაწილეებმა გადალახეს 58-ე გრძედი, რომლის მიხედვითაც ერიცხებათ მორიგი ჩათვლის ქულები.**

ყველაზე სწრაფად ამ „მიჯნაზე" აღმოჩნდა შვედური აფროსანი Ezisson-4, რითაც 4 ქულა დაიმსახურა, საერთო ჩათვლაში კი 18 ქულა აქვს, რითაც თავის ლიდერობა უფრო განიმტკიცა.



როგორც იტყობინებიან, ახლა მარშრუტზე ძალზე ცივა და ნესტმაც შეაწუხა მეზღვაურები. მაგრამ სულ მალე თბილ წყლებში მოხვდებიან და რბოლაც უფრო საინტერესო გახდება.

## რაც ყველაზე ლამაზი აქვს



**სპორტის ყველა სახეობიდან რუსეთელ იულია დრაგუნოვას ყველაზე ძალიან სამთო თხილამურები მოსწონს. ამასთან ერთად ტომსკელი მინიატურული ლამაზმანი გადარეულია მოგზაურობაზე და ცდილობს, თავისი ყოველი ასეთი „ღონისძიება" დაუვიწყარი გახადოს.**

ყველა გააკვირვა, როცა ჟურნალ „MAXIM კონკურსზე „Miss Maxim 2008" იულიამ მეორე ადგილი რომ დაიკავა. რატომ პირველი არაო, შეწუხდნენ მისი თაყვანისმცემლები. 171 სმ. სიმაღლის იულია ხომ მხოლოდ 49 კგ-ს იწონის, თუმცა ეს ხელს არ უშლის თავისი ფორმებით მამაკაცების მოხიბვლაში. მისი პროპორციები ხომ თითქმის იდეალურია – 88-60-87". ციმბირელი ლამაზმანი თავის მთავარ კოზირად თვალებსა და დუნდულებს თვლის, „მთავარია, საიდან შეხედავ ქალს – წინიდან თუ უკანიდან"! – ამბობს იულია.

## ქალები არ დაუშვეს

**საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი 2006 წლის გადაწყვეტილება და ისევ უარი თქვა 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ტრამპლინიდან ქალთა ხტომების შეტანაზე.**

როგორც სოკ-ის პრეს-ატაშემ ემანუელ მორომ განაცხადა, სპორტის ამ სახეობის განვითარება და მასში მონაწილეთა რაოდენობა ჯერჯერობით არასაკმარისია ოლიმპიურ თამაშებზე მოსახვედრად. თუმცა ისიც თქვა, რომ ტრამპლინიდან ქალთა ხტომას კარგი პერსპექტივები აქვს მომავალში თამაშებზე მოსახვედრად.

თუმცა ასეთ გადაწყვეტილებას ძირითადად აპროტესტებენ კანადელი მხტომელები. მათ სასამართლოშიც კი იჩივლეს, მაგრამ ამაოდ.

◉ პროტესტი

# შეარცხვინა თუ არა გრიგოლ რობაქიძემ საქართველო?

**გაზეთ „ასავალ დასავალის“ ა.წ. 27/X-2/XI-ის ნომერში ახალი რუბრიკით „5 ადამიანი, რომელმაც ყველაზე მეტად შეარცხვინა საქართველო“, დაიბეჭდა საზოგადოება „სტალინელის“ თავმჯდომარის ბატონ გრიგოლ ონიანის მოსაზრება, მან დიდი ქართველი მწერალი, ესეისტი, დრამატურგი, ბრწყინვალე გერმანისტი გრიგოლ რობაქიძე შემარცხვენელთა სიაში მოიხსენია.**

სამშობლოს მგზნებარე მოყვარული, მასზედ მლოცველი გრ. რობაქიძე უცხოეთიდან ქართველ ახალგაზრდებს სწერდა: „მოწყვეტილი ვარ ჩვენს დედამიწას, ხოლო შორეული ფესვებით მაინც მასთან ვარ. ეს ფესვებია უცხოეთში რომ მაცოცხლებენ. ქალნო და ვაჟნო, ახალგაზრდებო! დღე არაა თქვენზე და თქვენზე არ ვფიქრობდე გულაჩუყებული და თვალცრემლიანი...

„ვზივარ აივანზე (აქ ლაპარაკია მისი ცხოვრების ჟენევის პერიოდზე, — **ვ. მ.**) და ვერთვი ნელ-ნელა მდინარის ხმაურს... ხანდახან მგონია: რიონი თუა იგი ანდა მტკვარი, ხოლო ვამჩნევ, რომ მას აკლია ძალაყრილი რიხი პირველის და ძლევა მჯერი სიმდოვრე მეორესი: მზე უხვად ეფინება ჩემს ბინაში, მაგრამ იგი არაა „ცხრათვალა“, როგორც ჩვენში: მყუდრო თალარში აცილებული. ვიხილავ კვლავ შენს სამფლობელოს, დიდო კარდუ: საქართველოს ან „საკარდუელოს“... გული კბენარე გზნებს და ტკივილი ურვად გადადის ფიქრებში... და ასე დღე ყოველი: დედულსა და მამულს მოწყვეტილი, შევჩივი ბედს, „ბედზე მიგდებული“... „რამ შეგაურვა?“ — მესმის შენი ხმა: სულმალხენარი, დანელებული, ხოლო თანვე მტკიცე და მაგარი. „განრიგებას ღვთისა არ შეემართების რა“...

მიუხედავად სამშობლოდან გადახვეწისა, ის მაინც მისი სიხარულით ხარობდა და მისი წუხილით წუხდა.

ცნობილია, როგორი აღფრთოვანებული წერილი უძღვნა შვეიცარიაში ქართულ ქორეოგრაფიულ ანსამბლს, ქართულ ცეკვას, როგორ გამოეხმაურა გალაკტიონის ლექსს „ნიკორწმინდა“: „გუშინ დიდი სიხარული განვიცადე, როგორც ქართველმა, კალათბურთში, ევროპის თასზე თბილისის „დინამომ“ მადრიდის „რეალს“ მოუგო: ფანტასტიკურია! საქართველო ცოცხალია! გაუმარჯოს საქართველოს!“ — წერდა უცხოეთში დიდი მწერალი.

მის შემოქმედებაში მაინც საქართველო დომინირებდა: „მეგი ქართველი ასული“ — 1932 წ., „ჩაკრული სული“, რომანი — 1933 წ., „ქალღმერთის ძახილი“, რომანი — 1934 წ., „დემონი და მითოსი“ — 1935 წ., „წმინდა გრაალის მცველნი“, რომანი — 1937 წ., „კავკასიური ნოველები“ („ჯადოსნური წყაროები, „წმინდა ხარის მოკვლა“, „იმამ შამილი“)... რა სამწუხაროა, რომ მათი კრებულად გამოცემა დღემდე ვერ მოხერხდა.



გრიგოლ რობაქიძემ გააცნო ევროპას ქართული უძველესი კულტურა, ეპოსი, მითოსი. დიდმა მწერალმა გერმანულ ენაზე აახმიანა ის, რაც აქამდე უცნობი იყო საზღვარგარეთელი მკითხველისათვის, ხოლო როგორ გააცნო და რა გამოხმაურება მოჰყვა ამას, იმ წერილების ამონაწერებიდან შევიტყვეთ, რომელიც ნეტარ ხსენებულმა გურამ შარაძემ დაგვიტოვა:

**„პოეზიაში ნამდვილი ეგზოტიკის მოცემა შეუძლია მხოლოდ ღვიძლ შვილს, თავის ხალხისას, მასში სულით ფესვებგამდგარს... თაგორმა და განდიმ გაგვიხსენეს ჩვენ თანამედროვე, მეტად ცხოველმყოფელი ინდოეთი და ახლა, მე ვფიქრობ, პირველად ჰორიზონტზე ჩნდება ერთი ახალი ერი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის ამ რომანით ქართველთა უძველესი ერი“. „ცხოვრობს ჩვენი დედამიწის უმშვენიერეს კუთხეში, განთქმული თავისი სიმღერებით და ლეგენდებით, და მაინც, ჩვენდა სამარცხვინოდ, უცნობია ჩვენთვის, ევროპელებისათვის. თუ რა მდიდარია საქართველო მითიური ძალებით, სავსე ჰეროიკული გონით და ამავე დროს თანამედროვეობისკენ სწრაფვით — ეს პირველად ახალგაზრდა მწერლის ამ წიგნიდან გავიგე, რითაც მან თავის სამშობლოს და ამით ჩვენც დიდი სამსახური გაგვიწია“. „ზოგჯერ გვერდების ამოჭრა გსურს და სტროფებად დაყოფა, როგორც ლექსებისა, რაც ისინი მართლაც არის; ზოგიერთი თავი, გსურს წაიკითხოს ზღაპრების მთხრობელმა... ყოველ ფურცელს გააჩნია ცეცხლოვანი ბალადური მომენტები, სრულიად უცხო სახის სიმშვენიერისა... და მიუხედავად იმისა, რომ გრძნობას მკაფიოდ არ შეუძლია გაარჩიოს, სინამდვილეში ვის უნდა უმადლოდეს ამ გამაბრუებელ სურნელებას — მწერალ რობაქიძეს, თუ თვით საქართველოს“...**

სტეფან ცვაიგი

**„მონე სიულს (ცნობილი დრამატიული მსახიობი — ვ. მ.) მოაჯადოებდა რობაქიძის „ლონდა“, მაგრამ მონე სიული აღარ არის ცოცხალი. მე მიმაჩნია, რომ ეს ნაწარმოები, განსაკუთრებით მისი პირველი და უკანასკნელი ნაწილი, უფრო ახლოს დგას ჩვენ დიდ მუსიკოსებთან, ვიდრე პოეტებთან, მისმა მუსიკალურმა არქიტექტურამ გამაოცა...“**

რომენ როლანი

ხოლო ჩვენი თანამემამულე, ემიგრანტი, ქართველი მეცნიერი, პროფესორი **მიხაკო წერეთელი** ასე მიმართავდა:

**„შენ, ძვირფასო გრიგოლ, უდიდესი ღვაწლი მიგიძღვის შენი სამშობლოს წინაშე, შენი წიგნები, გერმანულად დაწერილი „გველის პერანგი“, „მოკლული სული“, „ქალღმერთის ძახილი“, „გრაალის მცველები“ და სხვა ძველი წესით დაწერილი „რომანები“ არ არის „ჩვენი ცხოვრებიდან“, არამედ შენი ორიგინალური შემოქმედებაა, გულწრფელად გეტყვი, გადაჭარბებითაც რომ ვინმემ ჩამითვალოს, მე არ მეგულება არც ერთი სხვა მწერალი, რომელსაც პროზით, მოთხრობა სიტყვათა მუსიკად, სიმფონიად გადაექციოს ისეთი საკვირველი ხელოვნებით, როგორც შენ შესძელი... ეს სიმფონია საქართველოს მიწაზე აღესრულება... საქართველო და ქართველიც მარად დაუვიწყარი და პატივით მოხსენებული იქნებიან, რადგან შენი ხელოვნება ყოველთვის აღაფრთოვანებს მათ, ვინც რჩეული არიან იმ მაღალი ხელოვნების გაგებისათვის და სიყვარულისათვის, რომლითაც შენი ქვეყანა და ერი ადიდე“...**

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, შეიძლება გრიგოლ რობაქიძეს საქართველოს შემარცხვენელი ვუწოდოთ?

**ვალერიან მამუკელაშვილი**

◉ ინფორმაცია

## სასამართლო დარბაზიდან კიდევ ერთი ბრალდებული გათავისუფლდა

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის გვანცა გუგეშაშვილის რეკომენდაციით, ბრალდებული წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდა.**

როგორც იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახური იუწყება, ქურდობის ბრალდებით დაკავებულ გრიგოლ ს.-თვის ბრალდების მხარე, აღმკვეთი ღონისძიების სახით, ორთვიანი პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა. საზოგადოებრივმა ადვოკატმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ არ არსებობდა სათანადო მტკიცებულებები და მას წინასწარი პატიმრობა არ უნდა შეფარდებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლემ ადვოკატის მოთხოვნა დააკმაყოფილა და გრიგოლ ს. სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

**ინტერპრესნიუსი**

შალვა გულუა

# და ლექსის ყანა პაწია ვაჯეჯილე და ვახარე...



შალვა გულუა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტია, დამსახურებულია თავისი მრავალწლიანი ნაყოფიერი შრომით. ორი წელიწადი რედაქტორობდა თბილისის საქალაქო მრავალტირაჟიან გაზეთ „ტრანსპორტელს“, ხოლო შემდეგ 30 წელიწადი საქართველოს რადიოში იმუშავა. სხვადასხვა დროს გამოცემული აქვს მხატვრული ნარკვევების რამდენიმე კრებული. ახლა თბილისის მახლობლად სოფელში ცხოვრობს, მიწას და სიტყვას თანაბრად არის შეჭიდებული, ახლახან ლექსების პატარა კრებულიც გამოსცა („მაჯამების კონა და ერთი ოდა“), რომლის შეძენის მსურველთ შეუძლიათ, რომ მიაკითხონ მაღაზია „საუნჯეს“ (რუსთაველის 24) და საქწიგნის სარეალიზაციო ცენტრს (მარჯანიშვილის 9). ქვემოთ გამოქვეყნებული ლექსები ბატონმა შალვამ სწორედ ამ კრებულიდან შემოგვთავაზა.

იმედია, პოეზიის მოყვარულნი სიამოვნებით დააჭაშნიკებენ ჟურნალისტის ლექსად გარდათქმულ გულისნადებს.

### აჰა!..

**აჰა!.. აღსრულდა!**
**რისთვისაც,**
**ოფლის ნაკადი დავღვარე**
**და პოეზიის დიდ ხნულში**
**პაწუნა კვალი დავღარე!**
**ვფიქრობ, გამიგებ, მკითხველო!**
**გუთნად კალამი ვიხმარე;**
**და რომ შევძელი, რაც მსურდა,**
**მთელი არსებით ვიხარე!!!**
**მერე მოვდექი, სათუთად**
**ლექსის მარცვალი ჩავყარე**
**და ლექსის ყანა პაწია**
**ვაჯეჯილე და ვახარე.**
**მსურს ვიყო ბოროტთ**
**მჩაგვრელი,**
**სიკეთისა კი — დამხმარე!**
**ჯერ კიდევ ვერ შეგვიგნია,**
**რა ქვეყანა გვაქვს, რა მხარე!**
**არსთა სულისდგმავ, ძლიერო!**
**კეთილთ ზეობა მახარე!!!**

### დრო დადგა

**ჩემი სამშობლო დღეს არის**
**დიდი ვულკანის სადარი!**
**როგორ მსურს გამაგებინა,**
**გადარჩენის გზა სად არი?!**
**ვხედავ მამულის მთა-ბარი**
**დევნილთა ცრემლმა დანამა.**
**ვინც ეს ქართველებს გვარგუნა,**
**ყელი გამოსჭრას დანამა:**
**ნუღარ ვაყოვნებთ: დრო დადგა!**
**ჭკუას მოვუხმოთ და გულსა:**
**მხსნელად დავუდგეთ ქვეყანას!**
**ბოროტთა ხანძრით დაგულსა!!!**

### ცხოვრება შექმნეს ლამაზი

**ნაღდ გლეხკაცს გულით**
**ახარებს,**
**როცა მზიანი დარია.**
**მისი ყოველი ნაბიჯი**
**ვეფხვის ნახტომის დარია!**
**მის სივაჟკაცეს, სიმხნევეს**
**ხელი ვერავინ დარია,**
**და აღტაცებას ვერ მალავს**
**მისი მეუღლე დარია.**
**ცხოვრება შექმნეს ლამაზი,**
**სამოთხის შესადარია.**
**ხუთ შვილს უზრდიან ქვეყანას.**
**თითო ვარსკვლავის დარია!**

### დედა იყო

**ჟამს ნადირობის დავლაშქრე**
**მთის კალთა, კლდე და ღრენია:**
**ერთგან დათუჩა შემოხვდა**
**გადარეული, ღრენია.**
**ის შვილებს, პაწაწკუნტელებს,**
**ტორით უხშობდა ნებასა,**
**დედა იყო და მიტომაც**
**მივუშვი თავის ნებასა!**

### საგანძე

**ძალუმად ელტვის სრულყოფას**
**გონი და სული ერების:**
**ჩვენც ვართ მოვალე, ვამრავლოთ**
**საგანძე სულიერების!**

### მზის სადღეგრძელო

**თამადამ ლაღმა დიდ ყანწით**
**მზის სადღეგრძელო დალია:**
**შუქი ადიდა, ბნელი კი**
**დალეწ-დანაცრა, დალია!**
**იყო სიმღერა, მოლხენა,**
**ცეკვა-თამაში და რია:**
**არ უნდა დავთმოთ გზა-შარა,**
**ავდარია თუ დარია!!!**

### უბრალო ჭეშმარიტება

**სამშობლოს კეთილდღეობის**
**წყაროა ჩვენი ერთობა,**
**მავნებელია ყველა, ვინც**
**დემაგოგობით ერთობა!**
**იმას, ვისაც ეს არ ესმის**
**ვერაფერი გაუგია;**
**ხალხის ნდომა და გულისთქმა**
**ფეხქვეშ ნოხად გაუგია.**
**არ გეგონოთ, რასაც ვამბობ,**
**უსაფუძვლო აუგია;**
**მხოლოდ ის მწამს, ვისაც ქვეყნის**
**ძლევის ზღუდე აუგია,**
**წინსვლის გზები გაუწალდავს,**
**მტკიცედ, ფართოდ დაუგია,**
**ქვეყნის სიძლიერის ბურჯი**
**აღუმართავს და უგია!!!**

### ვინც მებრძოლია, იმარჯვებს!

**— მატულობს ეშხი თამაშის,**
**შეტევას მოსდევს შეტევა!**
**აი, დასტურიც სულ მალე,**
**რაც მოხდა მართლაც ახია,**
**გუცაევისა დარტყმამა**
**ბადე კინაღამ გახია!**
**სიხარულისგან ვბობოქრობ,**
**ვეალერსები გვერდით მჯდომს.**
**ოსტატნი ნაღდი თამაშის,**
**ჩვენი ბიჭები ჰგვანან ლომს!**
**ნაღდ თამაშით მოხიბლულთა**
**ხმები სწვდება თითქმის ცამდე:**
**შენგელიას ლამაზ გოლმა**
**შეარხია კიდევ ბადე:**
**აი, პენალტიც, სულ მალე,**
**ურტყამს ჩივაძე, გოლია!**
**თითქოს სიხარულს ვერ მალავს,**
**თბილად იცინის მოლია:**
**რა ლამაზი ხართ, ჭაბუკნო!**
**ბურთთან ტრფიალში გართული!**
**ფიცხლივ უჩვენეთ მეტოქეს**
**ცეცხლოვანება ქართული!**
**მუხლებზე დადგა კლემენსი,**
**აოცებს წვიმა გოლების!**

◉ ენას გიწუნებ!..

## აუცილებლათ, გასამაგრებლათ, პერიოდულათ...

**აფთიაქში შევიარე ბერიკაცური წამლების შესაძენად და სანამ პროვიზორი კომპიუტერში ამოწმებდა ჩემს პენსიონერულ შეღავათს, იქვე დასტად დაწყობილ ფურცლებზე გამექცა თვალი. „დიაბეტით დაავადებულთა ბიულეტენი №5“ ეწერა თავში და რაკი თურმე „ბიულეტენი ვრცელდება უფასოდ“ — იყო ბოლო წარწერა, ვიჩუქე კიდევაც.**

გუმანმა არ მიმტყუნა და უწიგნური შედგენილი გამოდგა, რაც სათაურიდანვე გამოჩნდა: „შაქრიანი დიაბეტის პროფილაკტიკა“. რუსულ ენაში ასობგერა „ქ“ არა აქვთ და უცხო სიტყვებში „კ“-ს ხმარობენ, მაგრამ ჩვენ ხომ გვაქვს და უნდა ვწეროთ „პროფილაქტიკა“, „სუბიექტი“, „ბაქტერია“ და არა „პროფილაკტიკა“, „სუბიეკტი“ ან „ბაკტერია“, როგორც ბიულეტენშია.

პირველივე წინადადებაში ვკითხულობთ: „ინსულინ დამოკიდებულ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პირთა შვილებმა აუცილებლად უნდა გაიარონ გამოკვლევა“... განა უფრო გამართული არ იქნებოდა „ინსულინზე დამოკიდებულ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა შვილებმა აუცილებლად უნდა გაიარონ გამოკვლევა“... და განა ეს ძნელი მისახვედრი იყო? „ად“ დაბოლოებას მაინც სულ არ წყალობენ შემდგენლები და წერენ და წერენ „აუცილებლათ“, „გასამაგრებლათ“, „პერიოდულათ“, „პრეპარატათ“...

ალბათ რუსულიდანვე მოდის უცხო სიტყვებში ორი ერთნაირი თანხმოვნის გვერდიგვერდ ხმარებაც: „იმმუნური“ და „იმმუნოლოგიური“ (სწორია „იმუნური“ და „იმუნოლოგიური“ძ; ოღონდ ქართული სიტყვები „შექმნა“ და „წარმოქმნა“ რატომ დამახინჯდნენ „შეგვნად“ და „წარმოგვნად“, აი ეს გაუგებარია.

„შემდგომში“ გავრცელებული შეცდომაა და ბიულეტენშიც გვხვდება (აქ „ში“ სრულიად ზედმეტიაძ; იგივეს ვკითხულობთ „გაუკეთდეს... პრობა“ (კიდევ ერთი მაგალითი, რუსული ტექსტი რომ ყოფილა პირველწყაროძ; რასაკვირველია, „პრობას“ ნაცვლად უნდა იყოს „სინჯი“. „მაღალ საშიშროებას... წარმოადგენს“, „საშიშროებას „მაღალი“ არ უხდება და „დიდ საშიშროებას“ იქნებოდა უპრიანი.

„სპეციფიური“ კი არა „სპეციფიკური“, „შემოთავაზა“ კი არა „შესთავაზა“ და ა. შ. რომელი ერთი ვთქვათ!

**თამაზ ებანოიძე**

## განცხადება

### აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 8 დეკემბერს 12 საათზე, ხონში, კაკაბაძის №17 (ხონის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) ,,ხონის რაიკოპერატივის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება ხონში □ჭანტურიას №8–ში მდებარე შემდეგი ქონება:**

1. **საწყობი 11500 ლარი;**
2. **საიუველირო მაღაზია 7500 ლარი;**
3. **სპორტული მაღაზია 8000 ლარი;**
4. **სასურსათო მაღაზია 11400 ლარი.**

**ჯამი: 38400 ლარი.**

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 38400 (ოცდათვრამეტიათას ოთხასი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.**

**ტელ: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

გახსენება

# ეთერ რუხაძე-გეგეშიძე



უცებ არ წახვედი... გამომშვიდობებაც მოვასწარით, მოფერებაც და ჯერ კიდევ შენს თბილ მკერდზე ცრემლების დაღვრაც. მერე სამუდამოდ განერიდე წუთისოფლის დღესა და ღამეს. მას შემდეგ ორი წელი გავიდა, თუმცა, დღესაც ძლიერ, ძალზე ძლიერ გვტანჯავს შენი სიშორე. ვერა და ვერ დამშვიდდა აფორიაქებული ჩვენი სულები. ცხონებული პოეტის გაუხუნარი, მარგალიტივით ლამაზი გამოთქმა შენც გესადაგება, შენც დააკლდი გარემო-სივრცეს, უქვირფასეს ადამიანებს — მეგობრებს, ახლობლებს, დედმამის შვილებს, ნათესავებს, კოლეგა ექიმ-სტომატოლოგებს, სამედიცინო ინსტიტუტს და იქ შენი 45-წლიანი მოღვაწეობის ღირსეულად დამფასებელ სამეცნიერო საზოგადოებას. დააკლდი მშობლიურ ჯიხაიშს, სათაყვანებელ თბილისს და ბედკრულ საქართველოს.

შენი განუმეორებელი ღიმილი, სითბო და ალერსი სანატრელი გაუხდა ყველას: შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, შვილობილებს, რომლებმაც ცხარე ცრემლებით გაგაცილეს მარადისობისაკენ მიმავალ გზაზე. ეს გზა სიყვარულის გზაა, სიყვარული კი არ კვდება, არც ფერმკრთალდება, არც ჟამს ცნობს, არც სივრცეს, ორთავ სოფელს ამთლიანებს, ამიტომ მოგმართავ სააქაოდან: მე ჯერ კიდევ აქაური მხიბლავს მზეები, ჯერ კიდევ დამრჩა გზა და სავალი, რადგან, სანამ ვარ, შენც ცოცხლობ, ეთერ — ჩემი ცხოვრების იასამანი.

მერე, როგორც დიდმა
მგოსანმა შესძახა:
**„წამოვალ, წამოვალ
საცა გინდა“**
მჯერა, ჩემი იასამანი
იქ დამხვდები,
მწამს სულის უკვდავება.

**ბიძინა გეგეშიძე**

◉ ინფორმაცია

### დევნილებს შუქი არა აქვთ

**ქუთაისში კომპაქტურად ჩასახლებულ კოდორის ხეობიდან დევნილებს მეორე დღეა, დენი არ მიეწოდებათ.**

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ფილიალში განმარტავენ, რომ დევნილებს ელექტროენერგიის საფასურს სახელმწიფო უხდის, თუმცა მათ დაგეგმილი ლიმიტი ვერ დაიცვეს და ვალი დაუგროვდათ.

ზემო აფხაზეთიდან დევნილები ხელისუფლებისგან ყურადღებას ითხოვენ და საპროტესტო აქციით იმუქრებიან.

**ინტერპრესნიუსი**

შპს „მარნეულის სარაიონთაშორისო საავადმყოფოს“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ექიმი-ოფთალმოლოგი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის მონაწილე, აფხაზეთის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი 1989-1993 წლებში, ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენის კავალერი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი



თეიმურაზ არსენის ძე შურღაია

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით უთანაგრძნობენ სოსო ნინოშვილს მამის

ვახტანგ ნინოშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ნანა გიგინეიშვილი და ჯემალ გაგუნაშვილი ოჯახით გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ციალა შენგელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 21, 22 XI, 17 სთ. დაკრძალვა 23 XI, 14 სთ. მისამართი: ნუცუბიძის პლატო, V მიკრორაიონი, I კორპუსი, I სადარბაზო.

---

ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი ექიმი-რეპროდუქტოლოგი, მედიცინის დოქტორი

ევგენია (ჟენიაძ ბოჭორიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჰოსპიტალის ექიმ-გინეკოლოგი

ნელი ხარბედია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

## ი ყ ი დ ე ბ ა

ორხევში 2,9 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ოთხსართულიანი შენობა საერთო ფართით 2064 კვმ და 1500 კვმ-ის დამხმარე სათავსოები. შენობები და მიწის ნაკვეთი გატარებულია საჯარო რეესტრში, როგორც კერძო საკუთრება. გამოდგება ნებისმიერი სამეწარმეო, სამრეწველო, სასწავლო ან სხვა სახის კომერციული საქმიანობისათვის.

ტელ: 899 16-60-08, 877 50-25-11, 899 91-68-05.

FOR SALE

In Orkhevi 4 story building located on 2,9 hectares of land plot with the total size 2064 sqm and 1500 sqm of auxiliary store-rooms. Buildings and land plot are registered in the Public Register as private property. It is applicable for any entrepreneurial, industrial, educational or other type of commercial activity.

TEL: 899 16-60-08, 877 50-25-11, 899 91-68-05.

◉ ვინ ვინ არის?

# „კახა ბენდუქიძე „გრუ“-ს აგენტია!“

**პარტია „ახალი მემარჯვენეების“ წევრმა ფიქრია ჩიხრაძემ სახელმწიფო კანცელარიის უფროსი კახა ბენდუქიძე რუსეთის სპეცსამსახურთან ჯაშუშურ საქმიანობაში დაადანაშაულა და ამის თაობაზე საგანგებო ბრიფინგიც გამართა, სადაც „თვალსაჩინოებისთვის“, სპეციალური სქემის მეშვეობით, დეტალურად წარმოადგინა „ბრალდებულის“ დანაშაულებათა ნუსხა.**



— კახა ბენდუქიძე 1990-იანი წლებიდან მოყოლებული აქტიურად თანამშრომლობს იმ პირებთან, რომლებიც ქმნიან რეალურ რუსულ პოლიტიკას და ანტიქართული განწყობით გამოირჩევიან. მას აგრეთვე მჭიდრო ურთიერთობა აქვს „გრუ“-ს მაღალჩინოსნებთან, რომელთაც გამუდმებით აწვდიდა და, ალბათ, დღესაც აწვდის საიდუმლო (სახელმწიფოძ ინფორმაციებს. ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ჩვენს საიტზე უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღოს — იქ მითითებულია ყველა ინტერნეტ-ვებგვერდი, სადაც ბენდუქიძის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციაა მოთავსებული, — დასძინა ფიქრია ჩიხრაძემ.

საუბრისას მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა 1991 წელს დაარსებულ ორგანიზაციაზე „საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის საბჭო“, რომლის ერთ-ერთი თანადამფუძნებელი კახა ბენდუქიძეც იყო, აქვე ჩამოთვლილია ის პირები, ვინც ბენდუქიძესთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ამ ორგანიზაციის შექმნაში და ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ მათი უმეტესობა დღეს საქართველოს მიმართ აგრესიულ პოლიტიკას ემხრობა...

...სერგეი ლავროვი, ალექსანდრე კოსაჩოვი, ევგენი პრიმაკოვი, სერგეი მარკოვი, ვლეტ პავლოვსკი — ეს მოკლე ჩამონათვალია ანტიქართული პოლიტიკით გამორჩეული იმ პიროვნებებისა, რომლებთან მჭიდრო თანამშრომლობაშიც ფიქრია ჩიხრაძე კახა ბენდუქიძეს ადანაშაულებს და ვარაუდს გამოთქვამს, რომ შესაძლოა აგვისტოს მოვლენების დროსაც ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდა...

აღსანიშნავია, რომ ჩიხრაძის ბრიფინგს ხელისუფლების მხრიდან ჯეროვანი რეაგირება არ მოჰყოლია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ უმრავლესობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა მას „უსაფუძვლო განცხადება“ უწოდა.

**ჯაბა ჟვანია**

◉ ინფორმაცია

## სეინერები ზღვაში გავიდნენ

**ქართველი მეთევზეები ქაფშიის სარეწაოდ შავ ზღვაში გავიდნენ. სულ გასულია 26 სეინერი, საერთო კვოტაა 60 ათასი ტონა.**

ქაფშიის სეზონი პირველ ნოემბერს დაიწყო, თუმცა ქართული სეინერების მეპატრონეებს საზღვაო ადმინისტრაცია აფერხებდა და მიზეზად მცურავი საშუალებების ტექნიკურ გაუმართაობას ასახელებდა.

სეინერების მეპატრონეებს ხარვეზების გამოსასწორებლად ვადა 15 დეკემბრამდე მიეცათ.

ქაფშიის სეზონი შავ ზღვაზე 3-4 თვე გრძელდება.

**ინტერპრესნიუსი**

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

◉ გვიმრავლოს!



## საჭილაოში დიდი სახალხო ზეიმი მოეწყობა

*23 ნოემბერს აბაშის რაიონის სოფელ საჭილაოში (პირველი მაისიძ იხსნება წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.*

*რაიონის მრევლს კიდევ ერთი ღვთის სახლი შეემატა. გილოცავთ!*

◉ წკეპლიკა



**დაგელოცოს სამართალი, დიდო რუსეთო! საქართველოს აოხრების მიზეზად შენი მოქალაქეების დაცვა დაასახელე, თანაც მსოფლიოს გასაგონად დაიმუქრე — რუსეთის მოქალაქეებს ყველგან და ყოველთვის დავიცავთო. ისე, მოქალაქეები როგორ მოიმრავლე გინდა აფხაზეთში, გინდა „ცხინვალეთში“, ყველამ კარგად იცის: უამრავ ადამიანს, ძალით ჩასჩარე რუსეთული**

## ვისთან გასდის და ვისთან არა...

**პასპორტები და ისე შესტენე მოქალაქეობა.**

არადა, სომალელ მეკობრეებს წარბიც არ შეუხრიათ დიდი რუსეთის მუქარაზე და აგერ მერამდენედ დაუტყვევეს ნანინანატრი მოქალაქენი. ამჯერად სომალის წყლებში, ადენის სრუტეში შეუპყრიათ დანიური მშრალტვირთიანი გემი, რომელსაც ინდონეზიაში გადაჰქონდა ლითონის ნაკეთობანი. ბორტზე სულ 13 მეზღვაური ყოფილა, აქედან 11 — რუსეთელი!

წლეულს სომალის ზღვაოსანმა ყაჩაღებმა უკვე 60-ზე მეტი ხომალდი „აიყვანეს“. იმათ რიცხვში უკრაინული გემი „ფაინაცაა“, რომელიც თვეზე მეტია, რაც „გაბაწრულია“ და რომელზეც აგრეთვე ყოფილან რუსეთელები.

გითხარი, დაგელოცოს სამართალი-მეთქი! ამ ჩემს ქვეყანაში რომ დიდი გულით, დიდი ჯარით, სახმელეთო თუ საჰაერო იარაღით შემოხვედი, გონებით მიუწვდომო და არშინით გაუზომავო რუსეთო, ყურებზე ხახვიც დამაჭერი და ფეხებიც მომჭამე — სომალელ მეკობრეებს რატომ ვერაფერს ვერ აკლებ, იმათი ტყვეები უფრო არ არიან შენი მოქალაქეები, ვიდრე ცხინვალელი ოსები? მე გეახლოვებით და სომალი გეშორება, მე გეპატარავე და სომალი გედიდა? კი მაგრამ, ვენესუელა სომალიზე შორს არ არის, იქ რომ მიასრიალე სამხედრო გემები ძია სემის ჯინაზე? სომალიში რატომ ვერ გაგიგზავნია დამსჯელი ექსპედიცია და იქ რატომ ვერ გადაფოფრიხარ შენთვის ესოდენ ძვირფას მოქალაქეებს? ლუზა არ ჩაგივიდა თუ სხვათა მიწების გამთელავი ჩექმის მოყვარული ფეხი?..

**ლუკა გორგაძე**

◉ ანეკდოტები

გინდათ, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო იყოთ? გინდათ, რომ გოგოები თავპირის მტვრევით გამორბოდნენ თქვენს შესახვედრად, ზოგჯერ კი მოგსდევდნენ კიდეც? გინდათ, რომ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ამინდში გელოდნენ? — ავტოსატრანსპორტო საწარმო გთავაზობთ ავტობუსის მძღოლის სამუშაოს.



* * *

ახალგაზრდა წყვილს დიდხანს არ ჰყავდა შვილი. მათ ურჩიეს, ჩასულიყვნენ რომში და წმინდა პეტრეს ტაძარში სანთელი აენთოთ. რამდენიმე წლის შემდეგ კაცი, რომელმაც ცოლ-ქმარს ეს ურჩია, შემთხვევით მათს მშობლიურ ქალაქში მოხვდა და მათი მონახულება გადაწყვიტა. სახლის კარიბჭესთან მას ერთმანეთს მიყოლებული ბავშვების ჯგრო დახვდა.

— ბავშვებო, სად არის დედათქვენი? — ჰკითხა კაცმა.

— სამშობიაროშია.

— მამა?

— რომში წავიდა რომელიღაც წყეული სანთლის ჩასაქრობად!

* * *

ალპინისტები კლდეზე მიცოცავენ. უცებ ერთი მათგანი გადაიჩეხა.

— ჯონ! — ეძახიან ზევიდან.

— აუ!

— ცოცხალი ხარ?

— კი!

— ამოცოცდი ჩვენთან!

— არ შემიძლია!

— რატომ?

— ჯერ არ დავცემულვარ!

* * *

— რა გაინტერესებთ, ქალბატონო?

— საბავშვო ეტლები.

— თუ გსურთ, რომ ბავშვი უფრო ხშირად ასეირნოს მამამ, მაშინ ეს ეტლი აიღეთ საფერფლითა და ლუდის ბოთლის გამხსნელით.

◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.